ბავშვობაში ჭაში ჩაგიხედია?
მეც, თვალებში, მოდი, ისე ჩამხედე...
მოწყვეტილი ვარდის კოცნა გაგიბედია?..
ჰოდა, მოდი, გაბედე...

შენ რომ მოხვალ, ალბათ ყველა გაიგებს,
მალე მოდი, მოშრიალდი თეთრებში...
კაბაზე ხომ ყვავილებსაც დაიბნევ?..
ერთ ყვავილად, ალბათ, მეც ჩაგეთვლები.



მოდი ჩემთან, მალე მოდი, მოდი და,
საქართველოს ერთი ღამეც მოვაკლოთ...
სიყვარულით, ხედავ, მტკვარიც მოდიდდა,
ამბავს ჰყვება მეათასედ მონაყოლს.

ბავშვობაში ჭაში ჩაგიხედია?
მეც, თვალებში, მოდი, ისე ჩამხედე...
მოწყვეტილი ვარდის კოცნა გაგიბედია?..
ჰოდა, მოდი, გაბედე...

ვახტანგ ნადარეიშვილი



ნოველა

## აკაკის სავალალო ამბავი

შიშის საფუძველი

## ჩინელები ფუგდიდის სადგურში



#7

# მამული

ასავალ დასავალის პარტნიორობით

07 [illegible]
2003 წლიდან




## ოქრუაშვილის გამოსვლის სტენოგრამა

## სიახლე ემიგრანტებს!

გაზეთ „მამულის“ რედაქცია გაცნობებთ რომ, 2007 წლის 21 სექტემბერს, ნიუ-იორკის შტატის გუბერნატორმა ელიოტ სპითზერმა და ტრანსპორტის დეპარტამენტის ხელმძღვანელმა დავით შვარცმა ხელი მოაწერეს შეთანხმებას, რის საფუძველზეც ნიუ-იორკის შტატი შეუერთდა იმ 8 შტატს (ჰავაი, მაიამი, მერილენდი, მიჩიგანი, ნიუ მექსიკო, ორეგანი, უტა და ვაშინგტონი), სადაც ამერიკაში არალეგალურად მცხოვრები ემიგრანტთათვის მართვის მოწმობის ასაღებად შემცირებულია წარსადგენ დოკუმენტთა რაოდენობა (საუბარია, სოციალური დაზღვევის ბარათზე და ლეგალურობის დამამტკიცებელ სხვა მტკიცებულებაზე).

ეს რეფორმა გაყოფილია 2 ფაზად:

- პირველი ფაზა დაიწყება ამავე წლის ნოემბერ-დეკემბერში და შეეხება მხოლოდ იმ ემიგრანტებს, რომელთაც ოდესმე ჰქონიათ ნიუ იორკის შტატის მართვის მოწმობა, მოქმედების ვადა გაუვიდათ და არალეგალურობის გამო ვეღარ ახერხებენ მასზე ვადის გაგრძელებას. ასეთები ნოემბრის თვეში შტატის მთავრობიდან ფოსტის საშუალებით მიიღებენ მოწვევის წერილებს და მხოლოდ ამ წერილის მიღების შემდეგ შეეძლებათ ესტუმრონ საagentოებს. იმ შემთხვევაში თუ ძველ მართვის მოწმობაში დაფიქსირებული მისამართი შეცვლილი გაქვთ, დაუყონებლივ უნდა მიმართოთ სააგენტოს ახალი მისამართის მტკიცებულებით, რათა სააგენტომ ახალ მისამართზე შეძლოს მოწვევის გამოგზავნა.

თუკი თქვენს მართვის მოწმობას ორი წლის წინათ გაუვიდა ვადა, თქვენ მოგიწევთ გამოცდების თავიდან ჩაბარება, თუ ეს ვადა ორ წელზე ნაკლებია, მაშინ თქვენ უბრალოდ გადაცვლის პროცედურის გავლა მოგიწევთ.

მეორე ფაზა დაიწყება მომავალი წლის აპრილ-ივნისში და განსაზღვრულია შეეხოს ნიუ-იორკში მცხოვრებ ყველა არალეგალურად მცხოვრებ ემიგრანტს. დეტალური წესი მეორე ფაზის პროცედურისა, აპრილის თვეში იქნება ცნობილი, რასაც ჩვენი გაზეთის მკითხველები პირველივე გვერდიდან შეიტყობთ.



## რად გვინდა ქართველებს ნობელის პრემია?!

7 «რატომ» ჯორჯ ბუშს



## „სამშობლოდან“ გამოყრილები და სამშობლოდან გასაყრელები!

## ღია წერილი ილია ჭავჭავაძის საიუბილეო კომისიას

მოგეხსენებათ, წიწამურთან ილიას მკვლელობის ადგილას აღმართულ ობელისკზე ამოკვეთილია ასეთი წარწერა: „1907 წ. 12 სექტემბერს (30 აგვ. ძვ. სტილით) თვითმპყრობელობის დაქირავებულმა აგენტებმა აქ ვერაგულად მოჰკლეს ქართველი ხალხის დიდი მწერალი ილია ჭავჭავაძე". მასზე არის წარწერის რუსული ვარიანტიც. ობელისკი წარწერებითურთ დადგეს 1937 წლის 12 სექტემბერს, დიდი ქართველის დაღუპვის 30 წლისთავთან დაკავშირებით.

თავის დროზე, 1907-1909 წლებში, მეფის რუსეთის ხელისუფლებამ არაობიექტურად, ცალმხრივად გამოიძია ილიას მკვლელობის საქმე. საბჭოთა ხელისუფლება თითქოს შეეცადა ჭეშმარიტების დადგენას. მაგრამ გამოძიება და სასამართლო პროცესი კვლავ არაობიექტურად წარიმართა - დანაშაული გადააბრალეს მხოლოდ რუსეთის ხელისუფლებას, კერძოდ მის მიერ „დაქირავებულ ბანდას". სინამდვილეში უდიდეს ბოროტმოქმედებაში არანაკლები როლი მიუძღოდათ საქართველოს შინაურ მტრებს, განსაკუთრებით ქართველ ბოლშევიკებს, რაც კარგად უწყოდა იმდროინდელმა საზოგადოებრიობამ. ცხადია, საბჭოთა ხელისუფლებას არ აწყობდა ჭეშმარიტების დადგენა. ამჟამად კი სრულიად ნათელია, თუ ვინ და რა ძალები იყვნენ ტრაგიკული აქტის ჩამდენნი.

ასე რომ, ობელისკზე ამოკვეთილი ქართული და რუსული წარწერები უნდა შეიცვალოს და აღინიშნოს, რომ საზარელი მკვლელობა ჩადენილ იქნა ქართველი ერის მტრების მიერ (იგულისხმება, როგორც შინაური, ისე გარეშე ძალები). ასევე ხაზგასმულ უნდა იქნეს ილიას სათანადო მნიშვნელობა ქართველი ერის ისტორიაში (მისი ოდენ „დიდი მწერლის" სახით მოხსენიება სრულიადაც არ კმარა).

ზემოაღნიშნული განზრახ ჩადენილი შეცდომის გამოსწორება იქნება მცირეოდენი წვლილი, შეტანილი დიდი ისტორიული პიროვნების წლევანდელ იუბილეში.

**რა თქვა ირაკლი ოქრუაშვილმა ღია ეთერში?**

**საქართველოს უახლეს ისტორიაში, ალბათ, პირველი შემთხვევა იყო, რომ 25 სექტემბერს თითქმის მთელი ქვეყანა, როგორც ერთი კაცი, 23 საათზე იმედის არხის ეკრანს მიეჯაჭვა. ნაციონალური მოძრაობის ერთ-ერთმა ყოფილმა ლიდერმა, თავის დროზე ფრიად მაღალჩინოსანმა ირაკლი ოქრუაშვილმა ღია ეთერში ბევრი ილაპარაკა და ბევრ ისეთ რასმე ახადა ფარდა, რაც ან ხალხმა არ ვიცოდით, ანდა ეჭვად ტრიალებდა ათასგვარი პოლიტიკური ბატალიებით უკვე საკმაოდ დაღლილ ჩვენს საზოგადოებაში... ასე თუ ისე, ერთი აშკარაა: ყოველივე დაფარულის გაცხადების დიდი და ღრმატკივილიანი პროცესი დაიწყო. როგორც ჩანს, ყოველდღე სამზეოზე გამოტანილ სულ ახალ და ახალ გაცხადებულ ამბებს უნდა ველოდოთ. ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.**

**ქვემოთ გთავაზობთ „იმედის" არხის 25 სექტემბრის ღია ეთერის ჩანაწერს, ჩვენი ამჟამინდელი ურთულესი ცხოვრების ერთ-ერთ ფრიად საგულისხმო და მრავლისმთქმელ სურათს.**

## ოქრუაშვილის ფაქტორი



# ოქრუაშვილის ღია ეთერში გამოსვლის სტენოგრამა

## მრავალრიცხოვან მკითხველთა თხოვნით

**კითხვა: - პირველ რიგში, ბატონო ირაკლი ეს უნდა გკითხოთ: როდის, რის შემდეგ გადაწყვიტეთ ასეთი მწვავე გამოსვლა? საზოგადოება ალბათ ყველაფერს ელოდა, მაგრამ ასეთ სენსაციურ და მწვავე განცხადებას - არა.**

- დაახლოებით 4-5 თვის წინათ გადაწყვეტილება უკვე მიღებული მქონდა, რომ საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოვჩენილიყავი ბევრი მიზეზის გამო. ეს მიზეზები დღეს მე დეტალურად დავასახელე: შეცდომები, რომლებიც დაუშვა ხელისუფლებამ, თუნდაც ჩემი ხელისუფლებაში ყოფნის დროს ან მას შემდეგ. საზოგადოებისთვის უნდა გვეთქვა, რომ კმარა, ასე ცხოვრება აღარ შეიძლება, ამ სტილით ქვეყნის მართვის გაგრძელება შეუძლებელია.

ვარდების რევოლუციის დროს ქართველ ხალხს არ დაუკვეთია, რომ ხელისუფლებას ეშენებინა სასტუმროები, სადაც ხალხს ცხოვრების საშუალება არ ექნებოდა, ხალხის დაკვეთა არ იყო გზების მშენებლობა, მაშინ, როდესაც ამ გზებზე გადაადგილების საშუალება ქართველ კაცს არა აქვს. ქართველი ხალხის დაკვეთა არ იყო უფასო სასადილოების გახსნა... ხალხის დაკვეთა არ იყო სასტუმროების შენება, სადაც საშუალება ექნებათ, ჩამოვიდნენ და თვითონ იცხოვრონ. ჰაიეტი შენდება - ძალიან კარგია, შესანიშნავი ბრენდია, მაგრამ მე მაინტერესებს და ვსვამ კითხვას - ქუთაისიდან ჩამოსულ ადამიანს შეეძლება, რომ იქ გაჩერდეს ერთი ღამით მაინც?

ქართველი ხალხის დაკვეთა იყო უფასო სასადილოები ბენდუქიძის ფონზე. არა მგონია, ქართველი ხალხის დაკვეთა ისეთი ავტობანები ყოფილიყო, სადაც ადამიანები ისევ საბარგო ავტობუსებით სოფლის მეურნეობის პროდუქტებით იმგზავრებდნენ.

ჩვენ სულ სხვა დაკვეთა გვქონდა ხალხის მხრიდან 2003 წელს და, ვფიქრობ, რომ ეს მოლოდინი ხელისუფლებამ საკმაოდ დიდი დოზით გააცრუა. მე დიდი ხნის განმავლობაში მიწევდა ბევრ რამეზე თვალის დახუჭვა და, ბუნებრივია, ეს გარკვეულწილად დისკომფორტს მიქმნიდა ბევრი მიზეზის გამო. ბევრ რამეზე მე შიგნით ვცდილობდი სიტუაციის შეცვლას, მაგრამ ხშირად წარმატებას ვერ ვაღწევდი, იმის მიუხედავად, რომ საკმაოდ გავლენიანი პირი ვიყავი ხელისუფლებაში.

დიდი ხნით (ამას მინდა ხაზი გავუსვა) ბევრ რამეს ვითმენდი ერთადერთი მიზეზის გამო. ეს მიზეზი იყო იმედი იმისა, რომ ჩვენს ქვეყანას ამ წლების განმავლობაში ერთ-ერთ დაკარგულ ტერიტორიას მაინც დავუბრუნებდით და ამის რეალური შანსი არსებობდა.

მოდით, ასე ვთქვათ - მე თქვენს გადაცემაში გავაკეთე განცხადება, რომ ჩვენ 2007 წლის 1 იანვარს ცხინვალში შევხვდებოდით...

**- დიახ, სხვათა შორის, ძალიან ბევრი უკავშირებს თქვენს წასვლას თანამდებობიდან ამ განცხადებას...**

- გეტყვით, რა იყო ამ განცხადების რეალური შინაარსი, რას ვგულისხმობდი - 2004 წლის დეკემბერში მე საქართველოს პრეზიდენტის მიერ დავინიშნე თავდაცვის მინისტრად ერთადერთი დავალებით, საკმაოდ სწრაფად, მოკლე დროში და ხარისხიანად შეგვექმნა შეიარაღებული ძალები.

ბუნებრივია, შეიარაღებული ძალების შექმნის მიზანი იყო, შეიძლება არა უშუალოდ ამ ძალების მეშვეობით ერთ-ერთი ტერიტორიის დაბრუნება, არამედ იმ ატმოსფეროს შექმნა, რომ მტერს დაენახა: გვაქვს საკმარისი ძალა, პასუხი გავცეთ მას. გარკვეული მოლოდინი, პირდაპირ გეტყვით, საკმაოდ დიდი მოლოდინი, არსებობდა ყველა ქართველ ოფიცერში, ყველა ქართველ ჯარისკაცში, რომ ისინი ერთ დღეს მიიღებდნენ ბრძანებას (აქ ლაპარაკი არ არის ომზე და სამხედრო კამპანიაზე). იყო საკმაოდ დეტალური გეგმა, მცირე ოპერაციით, და დიდი დანაკარგების გარეშე მომხდარიყო ცხინვალის დაბრუნება.

**- როდის კონკრეტულად, ბატონო ირაკლი?**

- ლაპარაკია 2006 წლის გაზაფხულზე. 2006 წლის გაზაფხული გახლდათ მაქსიმალური ვადა, რომელიც შეთანხმებული იყო 3-4 ადამიანს შორის. ერთი გახლდათ პრეზიდენტი, მეორე - მე...

**- ვინ იყვნენ, დანარჩენები?**

- რა თქმა უნდა, მერაბიშვილიც იყო იქ, ადეიშვილიც. ბოკერია შეიძლება იყო, შეიძლება არა, არ მახსოვს. მნიშვნელობა არა აქვს ამას. და აი, ამ საკითხებზე, რის გამოც მე ხშირად მიწევდა თვალის დახუჭვა, მოთმინება, ჩემს გულში ჩაკვლა იმისა, რომ რაღაცაზე რეაგირებას ვერ ვახდენდი. მე დავასახელე კონკრეტული თარიღი: თუ ეს აქამდე მოხდებოდა, მე ხელისუფლებაში დავრჩებოდი, თუ არ მოხდებოდა, ხელისუფლებიდან წავიდოდი. ეს არ იყო ცხინვალში შეხვედრის თარიღის პირველი დასახელება. ეს იყო მაქსიმალური თარიღი, სადაც მე წყალგამყოფი გავავლე.

**- მათ იცოდნენ, რომ თქვენ ეს წყალგამყოფი გაავლეთ? თუ ეს ვთქვათ, იგივე პრეზიდენტმა ჩვენი გადაცემით მოისმინა?**

- ბუნებრივია, მათ ეს იცოდნენ. ბოლო პერიოდში საკმაოდ ხელოვნური ურთიერთობები მქონდა სააკაშვილთან. ხელისუფლებაში დაპირისპირება არ გვქონია. მე თქვენთან საჯაროდ ვთქვი, რომ არავისთან დაპირისპირებული არ ვიყავი. ვცდილობდი, შიგნით არანაირი დაპირისპირება არ მომხდარიყო. სანამ მე იქ ვიყავი, ბზარი არ უნდა გაჩენილიყო, იმიტომ, რომ ეს ქვეყანას სასიკეთოდ არ წაადგებოდა.

**- თუმცა, ბარამიძესთან, ჟვანიასთან, ხაინდრავასთან, მერაბიშვილთან მარად იყო ამ დაპირისპირებაზე ლაპარაკი...**

- ეს არ იყო დაპირისპირება. თქვენ თუ ამას დაპირისპირებას ეძახით, ეს არ იყო ქვეყნისთვის საზიანო. აქ სულ სხვა დაპირისპირებაზე ვლაპარაკობთ.

ის წყალგამყოფი, რის გამოც 2005 წლის დეკემბერში თქვენთან ეთერში განვაცხადე, რომ 2007 წლის 1 იანვარი იქნებოდა ჩვენი ერთ-ერთი ტერიტორიის დაბრუნების მაქსიმალური თარიღი. ეს წყალგამყოფი გავავლე მას შემდეგ, რაც 2005 წლის ივლისის დასაწყისში ჩემსა და პრეზიდენტს შორის ერთ-ერთი საუბარი შედგა.

**- რა საუბარი?**

- მან მე პირდაპირ მკითხა, რას ფიქრობ იმაზე, რომ ჩვენი მთავარი საფრთხე მოვიცილოთო. მე ვკითხე, რას გულისხმობდა ამ საფრთხეში. მან დამისახელა ერთ-ერთი პიროვნება, რომელიც დღესაც მიაჩნია, რომ ის მისი საფრთხეა.

**- ვინ არის ეს პიროვნება?**

- მივალ ამ თემამდე. პრეზიდენტმა კონკრეტული გეგმა დამისახა, თუ როგორ უნდა ყოფილიყო მოცილებული ის პიროვნება. მისთვის არც დადებითი, არც უარყოფითი პასუხი არ მიმიცია. ვთხოვე, დრო მჭირდება მოსაფიქრებლად-მეთქი.

**- პირადად თქვენ დაგავალათ ვინმეს მოცილება?**

- კი. ამაზე ვლაპარაკობ. მივხვდი, რომ ეს იყო ხაფანგი, და თუ ამ გადაწყვეტილებას მივიღებდი და შევასრულებდი, მეორე დღეს მეც მომიცილებდა.

ეს პიროვნება გახლავთ პატარკაციშვილი. პრეზიდენტმა მისი მოცილების კონკრეტული გეგმა დამისახა.

**- პრეზიდენტმა დაგიკვეთათ პატარკაციშვილის ლიკვიდაცია?**

- კონკრეტულ სიტყვებს ვამბობ. ის ისე უნდა მოვიცილოთ, როგორც რაფიკ ხარირი მოიცილესო. ის ლიბანის პრეზიდენტი იყო, რომელიც საკუთარ მანქანაში ააფეთქეს. ეს იყო 2005 წლის ივლისის დასაწყისი. შევეცადე ტაიმ-აუტი ამეღო და ამ საკითხზე მასთან აღარ მესაუბრა.

შევხვდი ერთ-ერთ პიროვნებას, რომელიც ამერიკელებზე მუშაობდა და პირდაპირ ვუთხარი, რომ პრეზიდენტის მხრიდან ასეთი დავალება მოდიოდა. ამით მე გარკვეული იმუნიტეტი მოვიმარჯვე იმ თვალსაზრისით, რომ ამერიკელები სააკაშვილს ამ გადაწყვეტილების შესრულებას გადააფიქრებინებდნენ.

**- ვინ იყო ეს პიროვნება?**

- დღევანდელი მოქმედი შეიარაღებული ძალების გენშტაბის უფროსი ზაზა გოგავა.

**- ზაზა გოგავა თქვენ საქმის კურსში ჩააყენეთ?**

- კი. ამერიკელების რეაქციამ დააგვიანა. დაახლოებით 3 კვირაში სააკაშვილმა მეორედ მომთხოვა იგივეს გაკეთება. შეიძლება ვცდები, იქნებ ერთ თვეში. მაშინ თურქეთში გადავფრინდი და ერთ-ერთ პიროვნებას, რომელსაც შეეძლო ამერიკელებთან ეს ამბავი მიეტანა, აქ არ იყო ლაპარაკი კონკრეტულად საელჩოს თანამშრომელზე, ან ვინმე ასეთთან შეხვედრაზე. ეს საკითხები ასეთ დონეზე არ განიხილება. მე მჭირდებოდა გარანტია, რომ ინფორმაცია უშუალოდ მივიდოდა იქ, საიდანაც გავლენას მოახდენდნენ სააკაშვილზე და ამ გადაწყვეტილებას შეაცვლევინებდნენ. ამ შემთხვევაში შედეგი დადგა.

**- ვინ იყო ეს ადამიანი?**

- ამ ადამიანს ვერ დავასახელებ.

**- ქართველია?**

- ქართველი არ არის, საქართველოს მოქალაქე არ არის.

**- „შედეგი დადგა" რას ნიშნავს?**

- სააკაშვილს ჩემთან ამ თემაზე საუბარი აღარ ჰქონია. ის მიხვდა, რომ მე, ფაქტობრივად, გეგმა ჩავუშალე, მაგრამ აქ ერთი ინტრიგაც იყო - ზაზა გოგავას ფაქტორი სპეციალურად იყო გამოყენებული.

**- რას გულისხმობთ, იქნებ უფრო კონკრეტულად ახსნათ?**

- ვგულისხმობ იმას, რომ ამ შემთხვევაში სააკაშვილს შეეძლო ეფიქრა, რომ ეს ჩემი მხრიდან კი არ გაიჟონა, არამედ სხვისი მხრიდან. ამაზე დღეს საუბარი უკვე ღიად შემიძლია.

ამ მომენტის მერე გადავწყვიტე, რომ წყალგამყოფი გამევლო.

**- თქვენ ბრძანეთ, როცა ეს ლიკვიდაცია დამავალა, მივხვდი, რომ შემდეგი მე ვიქნებოდიო. რომ არ დარწმუნებულიყავით, რომ შემდეგი შეიძლება თქვენ ყოფილიყავით, შეასრულებდით დავალებას ბადრი პატარკაციშვილის მიმართ?**

- მე ხელისუფლებაში იმისთვის არ მოვსულვარ, რომ ვინმეს სისხლში გამესვარა ხელები. მე ხელისუფლებაში იმისთვის მოვედი, რომ ქვეყანა გაგვემთლიანებინა. ჩვენ ხელისუფლებაში მივედით იმისთვის, რომ ქართველ კაცს ღირსეულად ეცხოვრა საქართველოში. ჩვენ ხელისუფლებაში მივედით იმისთვის, რომ პოლიტიკური ოპონენტების უკანონო სატელეფონო მოსმენები არ გვეწარმოებინა. ჩვენ ხელისუფლებაში მივედით არა იმისთვის, თვალყური გვედევნებინა, თვალთვალი გვეწარმოებინა, კონკრეტული საზოგადო მოღვაწეებისა თუ პოლიტიკოსების მისამართით. ჩვენ ხელისუფლებაში სულ სხვა მიზნებით მივედით.

**- ბატონო ირაკლი, როცა თქვენ გენერალური პროკურორი ან შინაგან საქმეთა მინისტრი იყავით, თქვენც იგივეს არ აკეთებდით? - თვალთვალი, სატელეფონო საუბრების მოსმენები ასე შემდეგ, ნიღბიანების მიერ ტელედაპატიმრებები გნებავთ, შევარდნაძის ჩინოვნიკების დაჭერები საკმაოდ მძიმე ფორმებით, ბორდელში შევარდნებით დაწყებული განა ირაკლი ოქრუაშვილის კისერზე არ არის? თქვენ იყავით ყველაზე გავლენიანი...**

- საკმაოდ დიდი სხვაობაა კაცის კვლასა და მაგ ყველაფერს შორის, რაც თქვენ ჩამოთვალეთ. მე მგონი, მეთანხმებით.

**- კაცის კვლასა და ამ ფაქტებს შორის კი, მაგრამ ფაქტები ხომ გვაძლევენ იმის საფუძველს ვიფიქროთ, რომ ამის მიღმაც ბევრი რამ არის კიდევ დამალული?**

- მე ჩემს სინდისთან მართალი ვარ. რაც ჩემი პროკურორობის დროს ხდებოდა, ეს იყო წესრიგის დამყარებისკენ მიმართული კამპანია, ეს იყო კონკრეტული მაგალითების გაჩენის კამპანია, რომ ადამიანი ისჯება იმის გამო, რაც მან ჩაიდინა, და არა ის კამპანია, რომელიც დღეს მიმდინარეობს - ადამიანების მართლა განკულაკების, სახლებიდან გამოყრის, სახლების ნგრევის, ეკლესიების ნგრევის, პიროვნების შეურაცხყოფის... და რა ვიცი, კიდევ რომელი ერთი ჩამოვთვალო. ის კამპანია იყო საკმაოდ მოკლევადიანი და რევოლუციური ტალღა უნდა დამთავრებულიყო. ჩვენ ამ დამთავრებასთან საკმაოდ ახლოს ვიყავით. ამნისტიის კანონი, რომელიც შემუშავდა და რომელმაც სამწუხაროდ არ იმუშავა (პირველი ამნისტიის კანონი მაქვს მხედველობაში). ბუნებრივია, როდესაც ხელისუფლებით ტკბები და ამ პროცესის ყოველდღიური მონაწილე ხარ, ცდუნება დიდია. აქედან გამოსვლა საკმაოდ ძნელია. დღეს შინაგან საქმეთა სამინისტროს, პროკურატურის თუ ნებისმიერი სხვა მაკონტროლებელი უწყების ნებისმიერი ჩინოვნიკს გაუჭირდება, იცხოვროს ცხოვრების სხვა წესით, ვიდრე ეს არის უშუალოდ დავალებული ხელისუფლების მაღალი თანამდებობის პირების მიერ.

**- ბატონო ირაკლი, მე მინდა ისევ მკვლელობების თემას მივუბრუნდეთ. გასაგებია, თქვენ უარი თქვით ბადრი პატარკაციშვილზე მიღებული დავალების შესრულებაზე. მაგრამ იყო თუ არა შანსი, პრეზიდენტს ეს დავალება თქვენს გარდა სხვისთვის მიეცა? და კიდევ ერთი: თქვენ ლაპარაკობთ მრავლობითში - მკვლელობები, ლიკვიდაციები. ანუ, ბადრი პატარკაციშვილის დავალების მიღმა კიდევ იყო ასეთი რამ? ძალიან ბევრს გაუჩნდა სხვადასხვა ეჭვი, მაგალითად თინა ხიდაშელმა გადაცემის დაწყებამდე რამდენიმე წუთით ადრე გვთხოვა, იქნებ დაგვეკონკრეტებინათ, ხომ არ იყო ეს ვალერი გელაშვილი?**

- იყო ეს ვალერი გელაშვილი, ოღონდ მისი ლიკვიდაცია არ იყო დაკვეთილი. ვალერი გელაშვილის ზუსტად იმ ფორმით ცემა იყო დაკვეთილი.

**- ესეც პრეზიდენტისგან მოდიოდა. პირადად თქვენ მოგცათ დავალება?**

- არა, იმ შეხვედრას ვესწრებოდით 3 ადამიანი. ეს დავალება საკმაოდ კარგად შეასრულა მერაბიშვილმა.

**- სამი ადამიანი ვინ იყავით - თქვენ, სააკაშვილი და მერაბიშვილი? ჯი-ეიჩ-ენ-ის ათ კითხვაში, არის ასეთი კითხვა - რას გულისხმობდა, როცა ხელისუფლებას ხაზგასმით უწოდა კაცისმკვლელებიო. რას იტყვით, ამ ფაქტებში იგულისხმებოდა თუ არა ზურაბ ჟვანიას ფაქტი?**

- მე არ მინდა ამ თემით სპეკულაცია, არ დავიწყებ მართლა სპეკულირებას და არ ვიტყვი, რომ ეს ასე იყო, ანუ ზურაბ ჟვანია მოკლულია. მე ამის ინფორმაცია არა მაქვს, მაგრამ მე ვფლობ ერთ ინფორმაციას.

**- რას?**

- რომ მისი გვამი იმ სახლში მიიტანეს.

**- რას ნიშნავს, იქნებ დაგვიკონკრეტოთ?**

- მისი გვამი იმ სახლში არ იყო, იგი იქ მიიტანეს.

**- ანუ იგი იმ სახლში არ დაღუპულა გაზით?**

- არ ვიცი. მე ვიცი, რომ გვამი მიტანილი იქნა.

**- იცით ვის მიერ?**

- დღეს ამაზე არ ვილაპარაკებ.

**- მე ვთვლი, რომ ძალიან საინტერესო განცხადებაა, რომელიც ჩვენ ახლა მოვისმინეთ. აქამდე, არავის უთქვამს, რომ ზურაბ ჟვანიას გვამი მიტანილი იქნა იმ სახლში. რა მინდა გკითხოთ, აი, თქვენ ამბობთ, რომ უარი თქვით კონკრეტული დავალებების შესრულებაზე, მაგრამ იყვნენ თუ არა ადამიანები, ან არიან თუ არა ადამიანები, რომლებიც თუ ამ დავალებას მიიღებდნენ, შეასრულებდნენ?**

- კი, რა თქმა უნდა.

**- ვინ არიან?**

- დღეს ეს არის ახალაიას საკმაოდ კარგად სტრუქტურირებული და ორგანიზებული ჯგუფი, რომელიც ნებისმიერ დავალებას შეასრულებს, ოღონდ მოდიოდესსააკაშვილის მხრიდან, და არა სხვისი მხრიდან.

**- როგორ აპირებთ პრეზიდენტს დაუმტკიცოთ, რომ მისგან მოდიოდა ეს დავალება. ეს ძალიან მძიმე ბრალდებაა. ეს რომ რომელიმე სხვა მაღალჩინოსნის მიმართ ბრალდება იყოს, შესაძლოა ასეთი მძიმე არ ყოფილიყო, მაგრამ თქვენ საქართველოს პრეზიდენტზე ლაპარაკობთ. როგორ აპირებთ, რომ დაუმტკიცოთ?**

- არც მე არ ვყოფილვარ რიგითი ჩინოვნიკი.

**- არც თქვენ არ ყოფილხართ რიგითი ჩინოვნიკი და აქედან გამომდინარეა სწორედ ეს ყველაფერი საინტერესო, მაგრამ რომ გამოვიდეს პრეზიდენტი და თქვას, ეს სიცრუეა, რომ ოქრუაშვილი იტყუებაო, როგორ აპირებთ ამის დასაბუთებას?**

- როგორ გგონიათ, დღეს სააკაშვილი როგორ ხასიათზეა?

**- მე ვფიქრობ, რომ იგი არ იქნება მაინც და მაინც კარგ ხასიათზე, თუკი ჩემი გულწრფელი პასუხი გაინტერესებთ, იმიტომ, რომ დღეს ეს განცხადებები გააკეთა მისმა ყოფილმა მეგობარმა, მისი გუნდის უახლოესი გარემოცვის მთავარმა ფიგურამ.**

- თქვენ როგორ ფიქრობთ, როდესაც ქვეყანაში მასშტაბური ხანძარი ჩნდება და იმ ქვეყნის საგარეო საქმეთა მინისტრი მივლინებაშია წასული, ის ვიზიტს არ წყვეტს და უკან არ ბრუნდება. ჩვენს ქვეყანაში ხანძარია.

**- რა ხანძარზე ლაპარაკობთ?**

- დღევანდელი მოვლენები ხანძარია. რა თქმა უნდა, სააკაშვილის ვიზიტის შეწყვეტაზე არ არის ლაპარაკი. სააკაშვილის მიერ პირში წყლის ჩაგუბება, სხვა არაფერია, თუ არა შეშინებული ადამიანის პოზიციაში ყოფნა.

**- თქვენი დღევანდელი განცხადებების ფონზე თქვენს მიერ პირში წყლის ჩაგუბება იყო თუ არა დანაშაული, თუკი თქვენ ფლობდით ინფორმაციას, რომ პრეზიდენტი იძლეოდა კონკრეტულ დავალებას კონკრეტული ადამიანების ლიკვიდაციაზე?**

- ამის შეფასება ჩემი პრეროგატივა არ არის, მივანდოთ საზოგადოებას, იმ ადამიანებს, ვისაც ეს ხელეწიფება, მაგრამ მე აშკარად და გულახდილად ვთქვი ის, რაც ხდებოდა, ის, რის გამოც მე იქიდან წამოვედი, ის, რის გამოც მე იქ ვრჩებოდი გარკვეული დროის განმავლობაში. ეს იყო მიზეზები, რაც მე მაიძულებდა, რომ იქ აღარ დავრჩენილიყავი. და მე გითხარით - იმედი ქვეყნის გამთლიანებისა იყო მთავარი მიზეზი, რის გამოც მე იმ დრომდე იქ დავრჩი.

**- თქვენ ამბობთ, რომ ქვეყნის გაერთიანება იყო ის იდეა, რის გამოც იყავით გაჩუმებული, მაგრამ დღეს, როდესაც მიდის მუშაობა, იგივე სანაკოევის მთავრობა, ირაკლი ოქრუაშვილი ვერ ხედავს იმ პერსპექტივას, რომ ცხინვალის დასაბრუნებელი რეალური მუშაობა მიდის?**

- სანაკოევს, ჯერჯერობით, ერთი ოსიც არ გადმოუბირებია ცხინვალიდან, გარდა სამის ძმა ქარქუსოვისა და ერთი პიროვნებისა, რომელიც ტელეკომპანია „ალანიაში" გადაცემას უძღვება. სხვა მე იქიდან გადმოყვანილი ოსი არ მინახავს, რომელიც ქართული სახელმწიფოს ერთიანობას მხარს დაუჭერს. ეს ერთი, და მეორე - როდესაც მე ვლაპარაკობდი ქვეყნის გამთლიანების შანსის ხელიდან გაშვებაზე, ერთ რამეს ვგულისხმობდი - იმ მომენტისათვის იმ მასშტაბის ოპერაციის ჩატარებას, რაც საკმაოდ დიდი ალბათობით შედეგის მომტანი იყო. დღეს ამის ალბათობა აღარ არის, იმიტომ, რომ იქ შექმნილია საკმაოდ მძლავრი სამხედრო მანქანა, რომელიც ასეთ ფუფუნებას აღარ მოგვცემს.

რაც შეეხება სანაკოევს. სანაკოევის კამპანიის ორგანიზება რომ მოხდა, ჩემი ბევრი მეგობარიც ამაში ჩართული იყო, სანაკოევი გახდა რაღაც ალტერნატიული პრეზიდენტი უცბად, მეორე დღეს ხალხმა გაიღვიძა და კითხვა დასვა - კი მაგრამ ეს ადამიანი ცხინვალში რატომ არ ჩადისო. ანუ ეს იყო ბლეფი და ფიქცია, მეტი არაფერი.

ჩვენ ვნახავთ, რა შედეგს მოიტანს სანაკოევი - აბსოლუტურად არაფერს.

მთავარი იყო ერთი რამ - საერთაშორისო თანამეგობრობისთვის და განსაკუთრებით რუსეთისათვის უნდა დაგვენახვებინა - ჩვენ ამ საკითხში ვიყავით პრინციპულები, ამ საკითხში ზიგზაგებით მოძრაობა არ იყო შედეგის მომტანი. ჩვენ დავიწყეთ რუსი სამშვიდობოების საქართველოდან გაყვანის კამპანია და ეს კამპანია სათავეშივე ჩაკლა სააკაშვილმა. მისი გაეროში გამოსვლის ტექსტი შედგენილი იყო. შარშან უნდა გამოსულიყო, თუ არ ვცდები გაზაფხულზე, სადაც მას პირდაპირ უნდა მოეხდინა იმ ხელშეკრულების დენონსირება, რომლითაც რუსი სამშვიდობოები დღესაც ლეგალურად იმყოფებიან საქართველოში. მან ეს ბოლო მომენტში გადაიფიქრა.

**- პარლამენტის მუშაობა როგორი იყო რუს სამშვიდობოებთან მიმართებაში?**

- პარლამენტმა აღმასრულებელ ხელისუფლებას დაავალა ამის გაკეთება, მაგრამ აღმასრულებელმა ხელისუფლებამ, ანუ პრეზიდენტმა ეს ბოლომდე არ მიიყვანა.

**- რატომ არ მიიყვანა, ბატონო ირაკლი? თქვენ ამბობთ, პრეზიდენტმა არ მიიყვანა ბოლომდე. პრეზიდენტის გამო ვერ მოხდა ამ ტერიტორიის უკან დაბრუნებაო, რატომ?**

- მაგ საკითხზე გადაწყვეტილებას იღებს ერთი ადამიანი, ისევე როგორც ყველა სხვა საკითხზე დღეს საქართველოში გადაწყვეტილებას იღებს მხოლოდ ერთი ადამიანი. მაგრამ ამ საკითხზე ის ადამიანი კონსტიტუციურად იღებს გადაწყვეტილებას. ეს არ იყო ოქრუაშვილის მისაღები გადაწყვეტილება, ეს იყო სააკაშვილის მისაღები გადაწყვეტილება და მან ეს გადაწყვეტილება არ მიიღო. მე როდესაც მოვდიოდი, კიდევ ერთი წლის განმავლობაში ვიტოვებდი იმედს, რომ ის, როგორც მინიმუმ საარჩევნო წლამდე, ქვეყნის შიდა პოლიტიკის წარუმატებლობის გამო ამ ნაბიჯს გადადგამდა, მაგრამ ეს აღარ მოხდა.

**- საინტერესოა, რას იტყვის ირაკლი ოქრუაშვილი პრეზიდენტ სააკაშვილის მართვის სტილზე? როდესაც თქვენ იქ იყავით, მესმოდა კულუარული ინფორმაცია, რომ იქ იყო ორი-სამი ადამიანი, ვინც პრეზიდენტთან ერთად იღებდა გადაწყვეტილებას, მათ შორის ერთ-ერთად თქვენ გასახელებდნენ. რეალურად როგორია თქვენი ყოფილი მეგობრის, თქვენი ყოფილი თანამოაზრის - საქართველოს პრეზიდენტის მართვის სტილი? ვინ მართავს ქვეყანას? როდესაც თქვენ ამბობთ: საზოგადოება ორ ნაწილად დაიყო - ჩარეცხილებად და მრეცხავებად, მოზარდებს მიზანმიმართულად ასწავლიან ბაბუების უპატივცემულობას, 40-50 წლის ადამიანები გაიგივებული არიან შევარდნაძესთან, ვისაც აქვს განსხვავებული აზრი, ქვეყნის მტრად არის გამოცხადებული, ვინაა ამ იდეოლოგიის მთავარი, ვინ იღებს მსგავს გადაწყვეტილებას?**

- ბოკერია და სააკაშვილი.

**- ბოკერიაა ყველაზე გავლენიანი?**

- ბოკერია დღეს ქვეყანაში მთავარი იდეოლოგია, ბოკერიას იდეებს სააკაშვილი ახორციელებს.

**- ანუ, პრეზიდენტი მას ყველაფერში უწევს ანგარიშს?**

- მე აღარ მინდა კონსპირაციებში ღრმად შევიდეთ.

**- უბრალოდ, საინტერესოა, ვინ იღებს გადაწყვეტილებებს?**

- გადაწყვეტილებებს იღებს ეს ორი ადამიანი - ყველაფერში, თუკი რაიმე ხდება დღეს ქვეყანაში, ცუდიც და კარგიც (კარგიც ხდება, რა თქმა უნდა), ამაზე თვალი არ უნდა დახუჭო. გადაწყვეტილებებს იღებს ორი ადამიანი. ეკლესიის დანგრევის ფაქტზე გადაწყვეტილება მიიღო ბოკერიამ.

**- საინტერესო განცხადებაა ბოლო ფაქტზე, რომელიც აჭარაში მოხდა... ვთვლი, რომ ეს იყო ძალიან სკანდალური, ძალიან სერიოზული პროტესტი საზოგადოების მხრიდან... მოდით, შეგახსენებთ: რევოლუციიდან არცთუ ისე დიდი ხნის შემდეგ, ჩვენი საზოგადოება გახდა მოწმე ფაქტისა - გლდანის ეკლესიის დარბევა დავარქვათ, ბასილ მკალავიშვილის დაკავების ფაქტი დავარქვათ. ფაქტი იყო, რომ ეკლესიის დარბევა მოხდა. იქ იყო მთელი სპეცნაზი, შეიარაღებული, მობილიზებული. იქ იყვნენ სხვადასხვა წარმომადგენლები, მაღალჩინოსნები - ბარამიძე, ადეიშვილი და ასე შემდეგ. სად იყო ამ დროს ირაკლი ოქრუაშვილი? დღეს, როდესაც ლაპარაკობთ, რომ გამალებული ბრძოლა მიდის ეკლესიის წინააღმდეგ, მაშინ როგორი იყო თქვენი პოზიცია?**

- მაშინ მე სახლში ვიყავი, ასევე ამ თემით არ ვაპირებ სპეკულირებას. ერთი რამე მინდა გითხრათ: აჭარაში ეკლესიის დანგრევის შემდეგ, გორის საკრებულომ (მე ვთხოვე რამდენიმე ჩემს მეგობარს, ანუ ამ საკითხის ინიციატორი მე ვიყავი) მიიღო გადაწყვეტილება და ეკლესიის მშენებლობისთვის გამოიყო 300 ათასი ლარი. მე შეიძლება ვერ აგიწეროთ სააკაშვილის რეაქცია, რაც მის ოთახში ხდებოდა, მაგრამ ის მდგომარეობიდან იყო გამოსული.

**- რატომ? არ მოეწონა პრეზიდენტს, რომ ეკლესია უნდა აშენებულიყო. თუ ფული დაენანა?**

- მას არ მოეწონა, რომ ქვეყანაში არსებული ასეთი პოლიტიკური ხაზის გამტარებელი აღარ არის. მას არ მოეწონა, რომ მისგან დაუკითხავად, ვიღაც ბავშვებმა 300 ათასი ლარი ეკლესიის მშენებლობაზე გამოყვეს.

დღეს, სამწუხაროდ, ის ფული სულაც არ მიუღია ეპარქიას. და იმ ფულს მათ აღარავინ მისცემს.

**- ძალიან საინტერესოა, რატომ არის ასეთი დამოკიდებულება ეკლესიის მიმართ. თქვენ ბრიფინგზე თქვით, რომ პრეზიდენტი მოწინააღმდეგეს ხედავს...**

- კონკურენტს ხედავს. გამოკითხვაში ეკლესია იმიჯის თვალსაზრისით, ერთ-ერთი ლიდერია. თუ ჩამოთვლით ინსტიტუტებს - ჯარს, პროკურატურას, სასამართლოს, მედიას, ეკლესია №1 ადგილზეა. რა თქმა უნდა, ეს პრეზიდენტს აღიზიანებს. მას არ მოსწონს, რომ ვიღაცა მის სიდიადეს ჩრდილავს. ეს არის ძალიან მარტივი პასუხი.

**- თქვენ თქვით: მე ხშირად მიწევდა პრეზიდენტის მხრიდან ისეთი იდეების მოსმენა, როგორიცაა ეკლესიის დანაწევრება, სასულიერო პირების დისკრედიტაცია. რა გეგმა მზადდებოდა, შეგიძლიათ თქვათ? თქვენ ამბობთ, რომ არ გინდათ ეკლესიის თემაზე საუბარი, მაგრამ...**

- ახალაიას პირდაპირ ჰქონდა დავალებული. რევოლუციიდან დაახლოებით 3-4 დღეში დაიწყო ეს კამპანია, კომპრომატების მოგროვება სასულიერო პირებზე უშუალოდ სააკაშვილის მხრიდან.

**- რატომ? რათა უბრალოდ შელახულიყო ავტორიტეტი, იმიტომ, რომ პრეზიდენტს კონკურენციის ეშინოდა?**

- ამაზე პასუხი ძალიან მარტივია.

**- ბატონო ირაკლი, კიდევ ერთი ძალიან საინტერესო განცხადება, რომელიც დღევანდელ ბრიფინგზე გაკეთდა, თქვენივე გამოსვლიდან ამონარიდებს გიკითხავთ: კორუფცია მხოლოდ მცირე წრისთვისაა დასაშვები, სააკაშვილის ოჯახისთვის და მისი უახლოესი გარემოცვისთვის. ხელისუფლებაში ადამიანები ცალ-ცალი კალოშით მოვიდნენ და მილიონერები გახდნენ. ვინ არიან ისინი? თუ შეგიძლიათ, გვითხარით?**

- დღეს როგორ გგონიათ, სააკაშვილის ოჯახის კაპიტალი რა ციფრებით გამოიხატება?

**- არ ვიცი, ნამდვილად ვერ გეტყვით.**

- რამდენიმე მილიარდით.

**- სააკაშვილის ოჯახს რამდენიმე მილიარდი აქვს?**

- კი. ის მითქმა-მოთქმა რკინიგზის შესახებ, რაც აქამდე იყო, ხომ დავრწმუნდით, რომ ჩვეულებრივი ბლეფი აღმოჩნდა. მაგრამ რკინიგზის მესაკუთრე აღარ არის სახელმწიფო, არის რომელიღაც კომპანია.

**- ფაქტებით ვისაუბროთ...**

- ეს კომპანია ეკუთვნის რეზო შარანგიას, რომელიც არის სააკაშვილის კარის ბიზნესმენი. კომპანია ბილაინის 40 პროცენტი ეკუთვნის სააკაშვილს. ტელეკომპანია რუსთავი-2 ასევე ეკუთვნის სააკაშვილს.

**- თუმცა ერთი პერიოდი კომპანია რუსთავი-2 ეკუთვნოდა ირაკლი ოქრუაშვილს, უფრო სწორად ირაკლი ოქრუაშვილის პარტნიორს ქიბარ ხალვაშს...**

- პარტნიორს არა! ის ჩემი პარტნიორი არ არის, ის ჩემი მეგობარია.

**- გნებავთ მეგობარი დავარქვათ, მაგრამ მას დღეს სერიოზული პრობლემები შეექმნა ბიზნესის თვალსაზრისით.**

- ეს მეორე თემაა. ეს, ზუსტად იმ ფაშიზმის გამოვლინებაა, რომელიც ვახსენე. საქართველოში ადამიანებს დევნიან მათი განსხვავებული პოლიტიკური შესაძლო ორიენტაციის გამო. დღეს მისი ბიზნესის დატერორება არ იყო მხოლოდ და მხოლოდ იმის გამო გაკეთებული, რომ ხალვაშმა ირაკლი ოქრუაშვილს გარკვეული ფინანსური დახმარება არ აღმოუჩინოს, გაკეთებული იყო უფრო მეტად იმის გამო, რომ ბიზნესმენებისთვის დაენახებინათ, რომ ვინც პოლიტიკაში ფულის ჩადებას გადაწყვეტს არა ხელისუფლების სასარგებლოდ, ყველა ასე დაისჯება.

**- მინდა კიდევ ერთი კითხვა დაგის-**

ვათ კორუფციასთან მიმართებაში. როცა ამბობთ, პრეზიდენტის ოჯახი რამდენიმე მილიარდის მფლობელიაო, როგორ ხდება ამ ფულის პრეზიდენტამდე მისვლა?

- ერთ რამეში შევთანხმდეთ - დღევანდელ გადაცემაში მთლიანად არ დავიხარჯოთ. მალე საკმაოდ ბევრი საინტერესო დოკუმენტის მხილველი გახდება საზოგადოება.

**- კარგით, არ დავიხარჯოთ ბოლომდე. ბოლომდე ნუ გაიხსნებით, მაგრამ უბრალოდ მინდა გკითხოთ, რა ფორმით ხდება პრეზიდენტის მხრიდან ამ ფულის კეთება?**

- თავდაცვის სამინისტროს გაზრდილი ხარჯები, ძირითადად, იარაღის შესყიდვებზე მიდის. დღეს იარაღის მთავარი შემომტანი საქართველოში პრეზიდენტის ბიძაშვილი ნიკა ალასანია გახლავთ.

**- მსმენია ხმები (ამაზე პრესა ძალიან ბევრს წერდა), რომ თავდაცვის ფინანსებთან დაკავშირებით, ძალიან ბევრი კითხვა იყო თქვენთან მიმართებაში...**

- ისრაელიდან უშუალოდ ამ ადამიანის მონაწილეობით არის ჩამოტანილი და თქვენ ახლა დამაჯერებთ, რომ ის ამაში საკომისიოს არ იღებს?

**- კონტრშეკითხვა: როდესაც იარაღის შეძენა თქვენს თავზე გქონდათ აღებული, ამით არ გამდიდრებულა ირაკლი ოქრუაშვილი?**

- თანამდებობიდან წამოსვლიდან დაახლოებით ორი თვის თავზე ჩემი დისკრედიტაციის აშკარა კამპანია დაიწყო. ეს ჯერჯერობით - მხოლოდ და მხოლოდ ბეჭდვითი მედიის დონეზე, შემდეგ უკვე გადავიდა ტელევიზიების დონეზე. გამოჩნდა რაღაც მილიონების სია, სადაც ეწერა, რომ თურმე მე დაახლოებით 250 მილიონი დოლარი მქონდა.

**- სინამდვილეში რამდენი მილიონი გაქვთ?**

- არანაირი მილიონები მე არ მაქვს, მაგრამ თუ ჩვენ მილიონებში არა ფულს, არამედ სხვა ფასეულობას ვიგულისხმებთ, ჩემი მილიონები ჩემი ოჯახია, ჩემი მთავარი ფასეულობა არის ჩემი ღირსება და ადამიანობა. ამაში შეგიძლიათ ძალიან ბევრი მილიონი დამიწეროთ, თავს არ ვიქებ, რა თქმა უნდა.

**- თქვენ არ გამდიდრებულხართ ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ?**

- მივალ მაქამდე. შეინიშნებოდა ეს კამპანია, მე არ ვყოფილვარ რიგითი ჩინოვნიკი. დღემდე მაქვს გარკვეული წყაროები, ძალიან მარტივად აღმოვაჩინე ერთ დღეს, რომ ეს სია შედგენილი იყო უშუალოდ სააკაშვილის კაბინეტში, მისი და მერაბიშვილის მიერ. იმ სიაში ვერც ერთ ისეთ პიროვნებას ვერ ნახავდით, ვის მიმართაც ოდნავ კითხვის ნიშანი გაჩნდებოდა, საიდან აქვს ამდენი ფულიო, გარდა ოქრუაშვილისა. მე მგონი, ამაში დამეთანხმებით. მეორე დღეს ეს სია იბეჭდება ბეჟუაშვილის გაზეთში.

**- რომელია ბეჟუაშვილის გაზეთი?**

- „ჯორჯიან ტაიმსი" და ამით ხდება აფიშირება, რომ ოქრუაშვილი მილიონერია. ბუნებრივია, ჩვეულებრივ ადამიანს უჩნდება კითხვა, საიდან აქვს ამ ადამიანს ამდენი მილიონიო. ეს ემსახურებოდა ერთადერთ მიზანს - ნელ-ნელა მომხდარიყო ჩემი დისკრედიტაცია და ჩემთვის ყოფილიყო გამოგზავნილი პატარა გზავნილი, ჩვენ შენზე შეგვიძლია რაღაც დავდოთ. დაახლოებით 7 თვეა ჩემი პოლიტიკური არენაზე გამოჩენის მოლოდინი იქმნება. როგორ ფიქრობთ, რამე რომ ჰქონოდა ხელისუფლებას, არ დადებდა?

**- პრინციპში, ოფისის გამო უკვე ერთი კვირაა სკანდალი მიდის. მილიონნახევარზეა ლაპარაკი?**

- ოფისზე გადავალ. არავითარ მილიონნახევარზე იქ არ არის ლაპარაკი. ეს ჩვეულებრივი ბლეფია, მეტი არაფერი. ჩემს ზურგს უკან რამე რომ ყოფილიყო, მე დღეს ამ განცხადებას გავაკეთებდი? როგორ ფიქრობთ?

**- რა ვიცი, შეიძლება ხვალ გააკეთოთ განცხადება, რომ იყო და არ უნდოდათ ამის გამოაშკარავება...**

- ფილმები აქვთ გადაღებული, როგორი მტარვალი ვარ, როგორ დავანგრიე ქვეყანა, როგორ მოვკალი კენედი, როგორ მოვკალი კიდევ ვიღაც და ასე შემდეგ.

**- და სად არის ეს ფილმი?**

- ამას აჩვენებენ თქვენი კოლეგა ტელეკომპანიების მეშვეობით.

**- ერთი კითხვა მინდა დაგისვათ, იყავით გულწრფელი: როდესაც სხვების მილიონებზე ვლაპარაკობთ, ირაკლი ოქრუაშვილს ფული არ უშოვია ხელისუფლებაში ყოფნისას?**

- არა.

**- სულ ლაპარაკია იმაზე, რომ ძალიან ბევრი გამდიდრდა, მათ შორის ირაკლი ოქრუაშვილი...**

- ირაკლი ოქრუაშვილს ხელისუფლებაში ყოფნისას ფული არ უშოვია. მარტივ კითხვას დავსვამ: როდესაც მე ნაციონალურ მოძრაობაში მივედი, მაშინ გარკვეული შემოსავლები მქონდა და არ ვიყავი ბოკერიას და მერაბიშვილისნაირად. ფინანსურ მდგომარეობას ვგულისხმობ.

მე მქონდა ჩემი დამოუკიდებელი შემოსავლის წყაროები, ჩემი საქმიანობიდან გამომდინარე, ადვოკატი ვიყავი. მე მქონდა გარკვეული ბიზნესწყაროები იმისთვის, რომ ასევე ნაციონალურ მოძრაობას გარკვეული შემოსავლებით დავხმარებოდი, და მე არასდროს ფინანსური პრობლემები არ მქონია, განსხვავებით ბოკერიასა და მერაბიშვილისგან. ისინი სწორედ რომ ცალ-ცალი კალოშით მოვიდნენ ხელისუფლებაში.

**- და დღეს მილიონერები არიან?**

- კი.

**- მერაბიშვილიც და ბოკერიაც?**

- ბოკერიას მამის ქონება, როგორ გგონიათ, რა თანხით გამოიხატება დღეს და რა თანხებით გამოიხატებოდა 3-4 წლის წინათ?

**- არ ვიცი. შეუძლებელია ჩემი მხრიდან ამაზე ზუსტი პასუხი.**

- დღეს აღარ გვინდა სპეკულაციები ამ თემაზე, მაგრამ საკმაოდ ჩანს ზედაპირზე, თუ ადამიანი მოინდომებს და დააკვირდება, რა ხდება ხელისუფლებაში, რათა ეს დოკუმენტურად დაინახოს.

**- დოკუმენტურად დანახვაზე როცა ვლაპარაკობთ, რას იტყვით იმ დოკუმენტზე, სადაც გედავებიან იგივე ტელევიზიები. პირველად ის დაიბეჭდა პრესაში, შემდეგ იყო, რომ რუსთავი-2-ით გავრცელდა ეს ინფორმაცია. ლაპარაკია იმაზე, რომ ირაკლი ოქრუაშვილი წერია №1 სიაში, ვინც შეიძინა ოფისი, 250 ათასია დაფიქსირებული. სინამდვილეში აქ ხომ მილიონზე მეტ თანხაზეა ლაპარაკი?**

- ლაპარაკი და არა ფაქტი. როგორ გგონიათ, ჩვენ ვერ შევძლებდით ამ ოფისის გაფორმებას ვინმე სხვა ადამიანზე?

**- ეგ კითხვაც გაჩნდა, რას ნიშნავდა ხელმოწერები ამ დოკუმენტზე?**

- იმ დროს, როდესაც ჩვენ ამ ოფისის ყიდვას ვაპირებდით, მაშინ რეალურად გადაწყვეტილება მიღებული მქონდა, რომ პოლიტიკურ აქტივობას ვაპირებდი. ამისთვის, ბუნებრივია, საჭირო იყო გარკვეული შენობა. მე ვთხოვე ამ ადამიანებს, შევკრებილიყავით და ჩემი აზრი გავაცანი. ესენი არიან ჩემი ყველაზე უახლოესი გარემოცვა. მე ვთხოვე ამ ადამიანებს შენობის შეძენა, და ვისაც რამდენი საშუალება ექნებოდა, დაედო. აქ ლაპარაკია არალეგალურ თანხებზე, ამ ადამიანების უმრავლესობა ჩინოვნიკი იყო და თანამდებობიდან გამომდინარე გარკვეული დეკლარაციის შევსება ევალებოდა. ყველა ადამიანმა თავისი გარკვეული თანხა მოიტანა. ეს ოფისი შეძენილი იქნა ზუსტად იმ თანხად, რა თანხაც დაფიქსირებულია ხელშეკრულებაში, მაგრამ ერთი არასერიოზული ფაქტია მთელ ამ გაუგებრობაში... როგორ გგონიათ, ადამიანი მიდის საფინანსო პოლიციაში, საგადასახადო სამსახურში და იძახის, მე ჩავიდინე დანაშაული და ამისთვის ოქრუაშვილი დასაჯეთო. გადასახადები ვინ დამალა - ოქრუაშვილმა თუ იმან.

# ირაკლი ოქრუაშვილი: პრეზიდენტი სააკაშვილი ქვეყანას უფსკრულისკენ მიაქანებს

**საქართველოს თავდაცვის ყოფილმა მინისტრმა ირაკლი ოქრუაშვილმა 25 სექტემბერს ახალი პარტიის - „მოძრაობა ერთიანი საქართველოსთვის" პრეზენტაცია გამართა.**

**ოქრუაშვილის პარტიის პრეზენტაციას თავდაცვის მინისტრის ყოფილი მოადგილე ლევან ნიკოლეიშვილი, დეპუტატები კოკა გუნცაძე, გია ცაგარეიშვილი, თეო ტლაშაძე, გია თორთლაძე, ქეთი მახარაშვილი, ადვოკატი ეკა ბესელია, ჟურნალისტები ნათია ლაზაშვილი და ნანა ლეჟავა, აგრეთვე, ყოფილი პარლამენტარი დავით კოღუაშვილი ესწრებოდნენ.**

**ირაკლი ოქრუაშვილმა გააკეთა განცხადება, რომელსაც გაზეთ „მამულის" მკითხველებს სრულად გთავაზობთ:**



**- დამალა იმან, ვინც გაყიდა, მაგრამ ოქრუშვილმაც ასევე დამალა, არ გადაიხადა...**

- რა უნდა გადამეხადა. გადასახადის გადამხდელი ის ადამიანია და, მართლაც, ალოგიკურია, ადამიანი იძახდეს, რომ მე ჩავიდინე დანაშაული და სხვები დასაჯეთო.

**- მაშ, რა მოხდა?**

- არაფერი. ის ადამიანი არის ჩვეულებრივი ბიზნესმენი. მე სულ ერთხელ ვნახე. აქვს საკმაოდ კარგი ბიზნესი და, ბუნებრივია, ამ ბიზნესის დაკარგვის საფრთხე რომ გაუჩნდა, თქვა ის, რაც უთხრეს, რომ უნდა ეთქვა. მეტი არაფერი.

**- კიდევ ერთი კითხვას დაგისვამთ. მე ისევ უნდა მივუბრუნდე კორუფციის თემას. კორუფციაზე ლაპარაკისას თქვენ გაიხსენეთ ფაქტი, როდესაც იყავით შინაგან საქმეთა მინისტრი და დააკავეთ პრეზიდენტის ბიძა. რას იტყვის ირაკლი ოქრუაშვილი ამ ფაქტზე? ეს იყო ასევე ძალიან სკანდალური განცხადება, იმიტომ, რომ ჭორის დონეზე მუდმივად ლაპარაკობდნენ ერთი პერიოდი, მაშინ თქვენ გავლენიანი ფიგურა იყავით ამ ხელისუფლების, ალასანია აკონტროლებდა ძალიან ბევრ რაღაცას საქართველოშიო, მაგრამ შემდეგ ეს თემა დამთავრდა ჭორის დონეზეც კი. იქნებ მოგვიყევით პირდაპირ ეთერში, სად მოხდა ეს ფაქტი?**

- ეს ფაქტი მოხდა, თარიღი იქნებ ზუსტად ვერ გავიხსენო, კონკრეტულად საქმის მასალებში ჩანს. შინაგან საქმეთა სამინისტროში ეს ფაქტი მოხდა პეროვსკაიაზე, რესტორან თანტაფეშიყ ეს ადამიანი 200 ათას დოლარს სძალავდა ზესტაფონის ფეროშენადნობი ქარხნის, თუ არ ვცდები, სამეთვალყურეო საბჭოს წევრს, ვინმე კაპანაძეს.

**- თვითონ თემურ ალასანია იქ იჯდა?**

- კი, სუფრასთან იჯდა ეს ორი ადამიანი. ეს თანხა იქნა გადაცემული მისთვის. ამ დროს მოხდა მათი დაკავება. თემურ ალასანია მას ჰპირდებოდა, რომ არანაირი წილების არევა არ მოხდებოდა, თუ მას ამ თანხას გადაუხდიდნენ. ეს იყო ის დრო, როდესაც ფეროს პრივატიზაცია მზადდებოდა და ფაქტობრივად იმ ავსტრიულ კომპანიას, რომელსაც წარმოადგენდა ეს პიროვნება, უწევდა გარკვეული წილის დათმობა სახელმწიფოს სასარგებლოდ.

თემურ ალასანია არა მარტო ამ შემთხვევაში, ძალიან ბევრ შემთხვევაში, ადამიანებს ე. წ. კრიშის გაკეთებას სთავაზობდა.

**- თქვენ იცოდით, რომ ეს იყო პრეზიდენტის ბიძა და აიყვანეთ პატიმრობაში?**

- არა. ის დააკავეს ადგილზე, ადგილზე დაკავებული ჰყავდათ რამდენიმე წუთის განმავლობაში. მე დავურეკე პრეზიდენტს და ვუთხარი, რომ ასეთი შემთხვევა იყო.

**- და როგორი იყო მისი რეაქცია?**

- საკმაოდ მშვიდი, მაგრამ მითხრა, რომ უნდა გამეშვა. სხვას რას მეტყოდა.

**- და თქვენ გაუშვით. დღეს თუკი ვინმე აკრიტიკებს ირაკლი ოქრუაშვილს, სვამს კითხვას, რატომ ახლა ამბობს, რატომ არ გააპროტესტა მაშინ, რატომ არ გამოვიდა მაშინ, რატომ არ თქვა, ხალხო, პრეზიდენტის ბიძა დავაკავე და გამათავისუფლებინესო...**

- ამაზე მე ვთქვი და აღარ განვმეორდები. არა მარტო ამ ფაქტის გამო, ბევრი სხვა ფაქტის გამო, რის გამოც დღეს უხერხულ მდგომარეობაში ვარ, თვალს ვხუჭავდი, რადგან იმედი მქონდა, რომ ქვეყანას გავამთლიანებდით. ეს არის ჩემი პასუხი.

* * *

**ირაკლი ოქრუაშვილმა ღია ეთერით არ გაახმიანა, აპირებს თუ არა საპრეზიდენტო არჩევნებში მონაწილეობის მიღებას. ამა და სხვა საინტერესო ფაქტებზე მას ინტერვიუ მიუცია გადაცემა „დროებისათვის" რომელიც კვირას, 30 სექტემბერს გავა ეთერში.**

ბოლო დროს ქვეყანაში განვითარებულმა მოვლენებმა, ფაშისტურმა ტენდენციებმა, ხელისუფლების მხრიდან ქართული სახელმწიფოს წინააღმდეგ გადადგმულმა ნაბიჯებმა იძულებული გაგვხადა, ამ შემადგენლობით და ჩვენი პოზიციით წარვმდგარიყავით საზოგადოების წინაშე.

სააკაშვილის მმართველობის სტილმა, რომელმაც ყოველგვარ ზღვარს გადააბიჯა, ცხოვრების ყოველდღიურ წესად აქცია უზნეობა, უსამართლობა, ადამიანების ჩაგვრა. ყოველდღიური რეპრესიები, სახლების და ეკლესიების ნგრევა, ძარცვა, ადამიანების განკულაკება და კაცის კვლა იქცა ხელისუფლების ჩვეულებრივ წესად. ამან შედეგიც გამოიღო, თავისთავად მიზანი გახდა ადამიანების დაშინება, და დღეს ბევრი ადამიანი ამის გამო საზოგადოებრივ ასპარეზზე გამოსვლას აშკარად ერიდება. მიმდინარეობს მოჩვენებითი ბრძოლა კორუფციასთან და პრეზიდენტის მიერ გამოცხადებული ნულოვანი ტოლერანტობა აშკარად შერჩევითი აღმოჩნდა. ეს ვრცელდება მხოლოდ უქონელთა მიმართ, როგორც ეს შევარდნაძის რეჟიმის დროს ხდებოდა, ხოლო აქლემის ქურდები ხელისუფლებაში სხედან, იგივე კაცის მკვლელები და მათში ყოველდღე დაუსჯელობის სინდრომი მატულობს. კორუფცია დასაშვები გახდა მხოლოდ გარკვეული კატეგორიის ადამიანებისთვის, ხელისუფლების მაღალი ეშელონებისთვის, სააკაშვილის ოჯახისთვის და მისი უახლოესი გარემოცვისთვის, მაშინ, როდესაც მძიმე სოციალური მდგომარეობის გამო ჩადენილი დანაშაულისთვის საპატიმროებია გადავსებული, ხოლო ხელისუფლებაში მოკალათებული არიან ადამიანები, რომელთაც ბოლო 4 წლის განმავლობაში მილიონები დააგროვეს. მაშინ როდესაც ისინი ხელისუფლებაში ცალ-ცალი კალოშით მოვიდნენ. ცნობისთვის ერთ ფაქტს გეტყვით - სამი წლის წინათ, როცა გახლდით შინაგან საქმეთა მინისტრი, გამოძალვისა და 200 ათასი დოლარის ქრთამის აღების ფაქტზე დავაკავე პრეზიდენტის ბიძა თემურ ალასანია და პრეზიდენტის დაჟინებული მოთხოვნით ის გავათავისუფლე.

ჩვენი ხელისუფლების მთავარი (მე მიწევს სიტყვა „ჩვენი" ვიხმარო, რადგან ერთ დროს მეც იმ გუნდის წევრი ვიყავი და, შესაბამისად, გარკვეულ შეცდომებზე პასუხისმგებლობას მეც ვიზიარებ) მონაპოვარი იყო უსამართლობის აღმოფხვრა და სამართლიანი ხელისუფლების იმიჯის დამკვიდრება, რაც სააკაშვილმა ბოლო 3 წლის განმავლობაში ფეხქვეშ გაათელინა მერაბიშვილს და მის ოჯახს. ბოლო წლების განმავლობაში მიმდინარეობს გამალებული ბრძოლა ავტორიტეტების წინააღმდეგ, როგორც სოფლის რიგითი ავტორიტეტების, ასევე კულტურის და ჩვენი ცხოვრების სხვა სფეროში მოღვაწე სახელოვანი ადამიანების მიმართ, რომლებიც გამოცხადებული არიან მეორეხარისხოვან მოქალაქეებად, და რომლებიც თითქოს საფრთხეს უქმნიან ვარდების რევოლუციის მონაპოვარს.

სააკაშვილი ცდილობს ფეხქვეშ გათელოს ადამიანის მთავარი ფასეულობა - ღირსება. გადახედეთ მის გარემოცვას და ყველა კარგად აღმოაჩენთ, რომ არც ერთი ღირსების მქონე ადამიანი მის გარემოცვაში არ არის, და ისინი სწორედ ამ კრიტერიუმებით იყვნენ თავის დროზე შერჩეული, რათა თავიანთი ბელადის სიდიადე არ დაეჩრდილათ.

მოზარდებს მიზანმიმართულად ასწავლიან წინა თაობების უპატივცემულობას და ჩვენი მშობლების, ჩვენი ბებიების და ბაბუების თაობები გაიგივებულია შევარდნაძესთან და სახელმწიფო დონეზე 40-50 წლის ასაკის ადამიანები გამოცხადებული არიან მეორეხარისხოვან მოქალაქეებად.

შევარდნაძის დროს აფხაზეთიდან და სამაჩაბლოდან დევნილები არ იყვნენ მიჩნეული სრულფასოვან მოქალაქეებად, საერთოდ არ იყვნენ მიჩნეული ადამიანებად. მათ ხელისუფლება ისე უყურებდა, როგორც აპარტეიდის რეჟიმის ზანგებს და სააკაშვილმა ეს ტრადიცია წარმატებით გააგრძელა.

საზოგადოება დაყოფილია კატეგორიად - ჩარეცხილებად და მრეცხავებად. გაფარჩაკებულებად და გამფარჩაკებლებად. და ეს უშუალოდ ხორციელდება პრეზიდენტის მხრიდან, ის, ვისაც კრიტიკული აზრი აქვს, გამოცხადებულია ქვეყნის მტრად და, ბუნებრივია, ხელისუფლება მათთან არანაირ დიალოგზე არ მიდის.

ასევე ხელისუფლების მთავარი მიმართულებაა ბრძოლა ქართული ტრადიციებისა და ფასეულობების წინააღმდეგ. მიზანმიმართული კამპანიაა გაჩაღებული ქართული ეკლესიის წინააღმდეგ. აშკარაა მცდელობა, მოხდეს საქართველოს ისტორიის გადაწერა.

ყოველდღიურად მკვიდრდება აზრი, რომ არაფერი ქართული ვარდების რევოლუციამდე არ არსებობდა და ახლა იქმნება ყველაფერი ქართული სააკაშვილის თაოსნობით, რომელსაც შინაგანი ზიზღი ამოძრავებს ქართული ეკლესიის მიმართ, როგორც ყველაზე ავტორიტეტული ინსტიტუტის მიმართ. ის მასში კონკურენტის გარდა, არაფერს არ ხედავს.

ვიყავი რა მისი გარემოცვის უახლოესი წევრი, ხშირად მიწევდა ისეთი იდეების მოსმენა, რომელიც ეკლესიის დანაწევრებას და სასულიერო პირების დისკრედიტაციას ისახავდა მიზნად. მე მწამდა და დღესაც მწამს, რომ საქართველო იქნება მთლიანი მხოლოდ ერთიანი საზოგადოების პირობებში. საქართველო იქნება მთლიანი მხოლოდ იმ პირობებში, როცა მთელი საზოგადოება იქნება მოწადინებული გაერთიანდეს ქვეყანა. იქნება მთლიანი მხოლოდ იმ პრეზიდენტის პირობებში, რომელიც საკუთარ საზოგადოებას, საკუთარ ხალხს შეურაცხყოფას არ აყენებს.

ჩემი საქმიანობა ხელისუფლებაში ყოფნის დროს მხოლოდ აქეთ იყო მიმართული. მე სხვა არაფერი გამიკეთებია ქვეყნისათვის, თუ არა სასიკეთო და, ბუნებრივია, ყოველგვარი მცდელობა, მოხდეს ჩემი დისკრედიტაცია, არის წყლის ნაყვა და მეტი არაფერი.

ხელისუფლებიდან წასვლისას, როგორ სასაცილოდაც არ უნდა მოგჩვენებოდათ პრეზიდენტის განცხადება ჩემი სასწავლებლად წასვლის შესახებ, მე შევეცადე, არ შემექმნა დისკომფორტი სააკაშვილისთვის. ეს მისი თხოვნაც იყო, ხმაურით არ დამეტოვებინა თანამდებობა და მე ამას გაგებით მოვეკიდე. ამას მე მავალებდა ჩემი მოქალაქეობრივი შეგნება და ამას მე მთხოვდნენ შეიარაღებული ძალების ის ოფიცრები, რომლებსაც მე დღესაც მეგობრებად მივიჩნევ. და ისინი მე მთხოვდნენ, რომ ჩვენში მტერს ბზარი არ უნდა დაენახა. და მე ის ნაბიჯი შეგნებულად გადავდგი, წავედი უხმაუროდ. და ერთი წლის განმავლობაში ვცდილობდი, ობიექტური თვალით მედევნებინა თვალყური ხელისუფლების მოქმედებისთვის, როგორც ტერიტორიული მთლიანობის აღდგენის, ასევე სხვა საკითხების გადაწყვეტისას.

ჩვენ ერთი ნაბიჯი გვაშორებდა ერთ-ერთი დაკარგული ტერიტორიის შემოერთებამდე, რომ არა პრეზიდენტის უუნარობა, სიმხდალე და ხელისუფლების დაკარგვის შიშით შეპყრობილი სააკაშვილის უსუსურობა, მიეღო პოლიტიკური და ისტორიული გადაწყვეტილება.

ჩვენ არ ვაპირებდით ამ საკითხში თვითშემოქმედებას, ჩვენ არ ვაპირებდით იმ გადაწყვეტილების მიღებას, რაც ქვეყნის უმაღლესი მთავარსარდლის მისაღებია. ჩვენი თვითშემოქმედება ამ საკითხში, ბუნებრივია, შეარყევდა ქვეყნის სტაბილურობას და ჩვენ ამაზე არ წავედით.

მე იმედი მქონდა, რომ ბოლო ერთი წლის განმავლობაში ის გამოჩენდა ნებას და მიიღებდა, კიდევ ერთხელ ვამბობ, ქვეყნის გამთლიანების ისტორიულ გადაწყვეტილებას, მოახდენდა თუნდაც რუსი სამშვიდობოების საქართველოში ლეგალურად ყოფნის ყველა ხელშეკრულების დენონსაციას, მაგრამ შედეგი არ ჩანს, გარდა ერთისა, ის ხალხში სრულიად უავტორიტეტო, კარიკატურული პერსონის ვინმე სანაკოევისა, რომელიც ისეთივე ფიქცია და მოჩვენებითი მცდელობაა ქვეყნის გამთლიანებისა, როგორც არაერთი ფასადი გვინახავს სააკაშვილის მიერ გახსნილი.

მაშინ როდესაც პრეზიდენტი სააკაშვილი ქვეყანას მიაქანებს უფსკრულისკენ და ქართველ ხალხს აფხაზეთის და ცხინვალის დაბრუნების რეალურ შანსს უკარგავს, მაშინ როდესაც მიზანმიმართულად ხდება ჩვენი მოსახლეობის შეურაცხყოფა, მისი არაერთი გამონათქვამი შეგიძლიათ გაიხსენოთ, მაშინ როდესაც ის ყოველდღიურ სპექტაკლებს დგამს ქვეყნის აღმშენებლობის ფასადებად, ჩვენ სხვა არაფერი დაგვრჩენია, თუ არა გამოვჩნდეთ საზოგადოებრივ ასპარეზზე.

ამ სიტუაციაში მიგვაჩნია, რომ სიჩუმე, ჩრდილში ყოფნა, მოვლენების გარედან თვალყურის დევნება დანაშაულია. ჩვენ ვიწყებთ მოძრაობას ერთიანი საქართველოსთვის, სადაც იქნება ერი მთლიანი, მთელი საზოგადოება მთლიანი და ჩვენ ვიწყებთ მოძრაობას იმისათვის, რომ ყველა ადამიანს ჰქონდეს ღირსეული მომავალი ამ ქვეყანაში, და არა მხოლოდ პრეზიდენტის ბებიას და ბაბუას.

ამ მოძრაობაში მონაწილეობა, ჩვენ ვფიქრობთ, რომ ჩვენი ქვეყნის ყველა მოქალაქის ვალია.

შემოგვიერთდით, თუ გწამთ, რომ საქართველოა უპირველეს ყოვლისა!

შემოგვიერთდით, თუ გწამთ, რომ ქვეყანა მიდის არასწორი მიმართულებით!

ნუ გეშინიათ ლომაიების, ნუ გეშინიათ ბოკერიების, ნუ გეშინიათ მერაბიშვილების, ნუ გეშინიათ სააკაშვილის!

ჩვენ ერთხელ დავძლიეთ უიმედობა, მოვიკრიფეთ ძალები და შევარდნაძის ხელისუფლებას სათანადო ადგილი მივუჩინეთ, ახლა კვლავ დადგა ჟამი, კიდევ ერთხელ მოვიკრიფოთ ძალები და ეს უწმინდურები გავაცილოთ ხელისუფლებიდან.

ეს იყო განცხადება, რომელსაც ჩვენი გუნდი ერთსულოვნად აკეთებს. დანარჩენი - სპეკულაციური თემები ოფისთან და სხვა საკითხებთან დაკავშირებით, მე მექნება დღეს საღამოს პირდაპირი ეთერით საშუალება ყველაფერზე გითხრათ ჩემი აზრი. გითხრათ ჩემი აზრი ყველა იმ დანაშაულზე, რომელიც ხდებოდა ხელისუფლებაში, ყველა იმ დანაშაულზე, რომელიც იყო დაგეგმილი ხელისუფლების მიერ, და მე არაერთხელ მიმიღია პრეზიდენტ სააკაშვილისგან დავალება ამა თუ იმ გავლენიანი და მნიშვნელოვანი ადამიანის ლიკვიდაციის შესახებ, რაზეც ხელი არასოდეს მომიწერია...

მე დღეს, საღამოს, საზოგადოებას ყველაფერზე გავცემ პასუხს.

**რედაქციისაგან:**

**გაზეთი დასაბეჭდად გასული იყო, როცა საკუთარი პარტიის „მოძრაობა ერთიანი საქართველოსათვის" ოფისიდან პატიმრობაში აიყვანეს ირაკლი ოქრუაშვილი.**

**გავრცელებული ინფორმაციით, სამართალდამცველებმა ქალაქში შესასვლელ გზებზე კონტროლირებაც გააძლიერეს.**

**„მამულისთვის" არაოფიციალური წყაროებით ცნობილი გახდა, რომ საქართველოს შეიარაღებული ძალები გადავიდნენ ყაზარმულ მდგომარეობასა და მობილიზაციის რეჟიმში.**

**საქართველოს მოსახლეობის დიდი ნაწილი ქუჩაში გამოვიდა ვადამდელი არჩევნების მოთხოვნით.**

**მოვლენების განვითარების მიხედვით საგანგებო რეჟიმში მუშაობას იწყებს გაზეთ „მამულის" რედაქციაც, საჭიროების შემთხვევაში იგეგმება „მამულის" სპეცნომრების გამოსვლაც.**



ნაწყვეტი რედაქტორის მომავალი წიგნიდან „წაშლილი სამშობლო“

# რად გვინდა ქართველებს ნობელის პრემია?!



ფიქრები ქართულ ლირიკაზე



**„რად უწოდებენ საქართველოს მგოსანთა მხარეს?**
**მის მთებს და ჭალებს, უღრან ტყეებს, ლამაზ ხეობებს,**
**მის ძველ ნანგრევებს, ციხე-კოშკებს, შემოგარეებს,**
**მის ჯირითობას, ბურთაობას, ხალხურ დღეობებს**
**უძველეს ხნიდან პოეზია სდევდა ზეპირი**
**(ადრე სანამდის შეუყვარდა ხალხს პერგამენტი),**
**მძლავრი, ვით ქარი, ნაზი - როგორც მთების ზეფირი;**
**ომის დრო იყო, თუ უღრუბლო იყო ამინდი“**

გალაკტიონ ტაბიძე („საუბარი ლირიკის შესახებ“)

### 1. ვის რაში სჭირდება ნობელის პრემია...

რად გვინდა ქართველებს ნობელის პრემია?

ჩვენ ხომ ისედაც დიდი სახელით ვსარგებლობთ ჩვენს მამულში?!

აი, მაგალითად, აკაკის... რას შეჰმატებდა მას ნობელის პრემია?

პრინციპულად არაფერს! პრაქტიკულად კი ამ პრემიით ვალებს გაისტუმრებდა, რაღაც ნაწილს ალექსის გაუგზავნიდა, რაღაც ნაწილს კი ბანქოს თამაშში „დაამღერებდა“ და ისევ საწყის მდგომარეობას დაუბრუნდებოდა, ე.ი. პრემიამდელ მდგომარეობას.

აკაკი პრემიითაც და უპრემიოდაც აკაკი დარჩებოდა - ჩიტივით თავისუფალი კაცი, რომელსაც სამშობლოსა და პოეზიის გარდა არაფერი დედამიწის ზურგზე არ აწუხებდა. აკაკისადმი სიყვარული და თაყვანისცემა ოდნავადაც არ მოიმატებდა, არც მოიკლებდა პრემიას თუ მიანიჭებდნენ, უბრალოდ იქნებოდა ერთი პირველთაგანი, რომელსაც დააჯილდოვებდნენ და ერთი მრავალთაგანი, რომელსაც ოდესმე ვინმესგან რაიმე ჯილდო მიუღია.

აკაკი სწორედ ის კაცია, რომელმაც უარი თქვა ნობელის პრემიაზე, და საერთოდ, ის სათაყვანებელი მგოსანია აკაკი, რომელსაც თავისი მისიისა და დანიშნულების პირნათლად შესრულების სანაცვლოდ არანაირი ჯილდო და პრემია არ მიუღია, გარდა ხალხის უსაზღვრო სიყვარულისა. აკაკი პრემიითაც და უპრემიოდაც ის აკაკი დარჩებოდა, რომელმაც მთელს თავის ეპოქაზე და მომდევნო თაობებზეც წარუშლელი კვალი დატოვა, - კვალი სასიკეთო, კვალი საამაყო. აკაკი არ იქნებოდა მედიდური, პრემია რომ მიეღო, პირიქით თვით ნობელის პრემიას დაამშვენებდა მისი სახელი, და არა პირიქით. სწორედ ამისთვის სთავაზობდნენ პრემიას აკაკისაც და ლევ ტოლსტოისაც. ერთმაც უარი თქვა და მეორემაც, თუმც ერთმანეთისგან დამოუკიდებლად. აკაკი პრემიითაც და უპრემიოდაც დაწერდა თავის შედევრებს, შემდეგ რომ ხალხი თავისდაუნებურად დაიღიღინებდა და მერე გიტარაზე დაამღერებდა, დაბოლოს, საქართველოს სიმბოლოდ გადაიქცეოდა ყველაფერთან ერთად -

**„ცა-ფირუზ,ხმელეთ-ზურმუხტო,**
**ჩემო სამშობლო მხარეო,**
**სნეული დავბრუნებულვარ,**
**მკურნალად შემეყარეო,**
**ვერ ავიტანე ობლობა,**
**სისხლის ცრემლები ვღვარეო,**
**წამძლია სულმა და გულმა,**
**შენს ნახვას დავეჩქარეო.“**

უკეთესად ვინ იმღერებდა -

**„ისევ შენ და ისევ შენ,**
**ჩემო ციცინათელა,**
**სხვებს ბნელშიაც უნათებ,**
**მე კი დღეც არ მარგიხარ...“**

თითქოს ენაზე გადგას სათქმელად, წვალობ, წვალობ და ვერ ამბობ, აქ კი ყველაფერი ერთი სრული ამოსუნთქვაა. ვერ იტყვი, თუ აკაკის შედევრები ღამისთევათა და ტვინის ჭყლეტათა შედეგია. გადაფურცლავ, წაიკითხავ, გულს ესიამება, ჩაგრჩება გონებაში, მერე ნაბახუსევზე გაგახსენდება ის ჰაეროვნება და დაამღერებ ჰანგებად. იფიქრებ, ასევე ჰაეროვნად დაიბადაო ეს პოეზია. კარგია, თუ ასე იფიქრებ, და ამ ფიქრს თუ იმ ფიქრსაც დააყოლებ, რომ რა მოგებას ნახავდა ან აკაკი, ან საქართველო ნობელის პრემიით, პასუხს ასევე ჰაეროვანი სისწრაფით იპოვი - ერთი სათქმელით მეტი გვექნებოდა ურა-პატრიოტებს, არც მეტი და არც ნაკლები.

ან გალაკტიონს რისთვის დასჭირდებოდა ნობელის პრემია?

მის სახელს არაფერს შემატებდა და არც მოაკლებდა! როგორი შეუცნობელიც იყო, ისეთივე დარჩებოდა. გალაკტიონისთვის ნობელის პრემია იქნებოდა ერთი გადაბმული თავდავიწყება, უცნაურობამდე მიტანილი პოეტური აღმაფრენა, თორემ გალაკტიონს ლენინის ორდენიც კი მიანიჭეს, მაგრამ ერთ-ერთ მარტოსულობის დღესასწაულზე მიაკარგა და მერე ისევ გამოუგზავნეს ახალი.

ასეთ კაცს რაში დასჭირდებოდა ნობელის პრემია?! იმასაც ისევე დაკარგავდა, როგორც ლენინის ორდენს. ერთს თუ გაუკეთებდა ეს ჯილდო პოეტს, იმას, რომ ევროპაში უკეთესად გადათარგმნიდნენ და უფრო მეტად მიაქცევდნენ ყურადღებას მას თუ არა, მის შემოქმედებას მაინც. სახელ-დიდებით კი გალაკტიონი მაინც გალაკტიონად დარჩებოდა. მაინც გალაკტიონურად შექმნიდა შედევრებს -

**„შეშლილი სახეების**
**ჩონჩხიანი ტყეებით,**
**უსულდგმულო დღეები**
**რბიან, მიიჩქარიან!**
**სიზმარიან ჩვენებით,**
**ჩემი ლურჯა ცხენებით**
**ჩემთან მოესვენებით,**
**ყველანი აქ არიან!“**

უფრო საუცხოოდ პრემია ვერ ათქმევინებდა გალაკტიონს -

**„და როცა ბედით დაწყევლილ გზაზე,**
**სიკვდილის ლანდი მომეჩვენება,**
**განსასვენებელ ზიარებაზე**
**ჩემთან არ მოვა შენი ხსენება!**
**დავიკრეფ ხელებს და გრიგალივით**
**გამაქანებენ სწრაფი ცხენები!**
**ღამენათევი და ნამთვრალევი**
**ჩემს სამარეში ჩავესვენები.“**

რომელი პრემია და ჯილდო შეცვლიდა გალაკტიონს, რას შემატებდა მის აზროვნებას, ან რა ზიზილ-პიპილოები გადაუბრუნებდა ტვინს, რომ არ ეთქვა, ამოეთქვა, აღმოხდენოდა ლოცვა ნუგეშსაცემად მარად საყვარელთა მიმართ, ის მარადსაყვარელნი, - მის ცნობიერებაში რომ დარჩა სამუდამოდ და ამოუთქმელად -

**„ხანმა უნდობარმა, გზა რომ შეელება**
**უხვად მოიტანა სისხლი და ცხედრები,**
**მძაფრი ქარტეხილი მას ნუ შეეხება,**
**მზეო თიბათვისა, ამას გევედრები.“**

რა ჯილდო უნდა მისცე ამის დამწერს, თუ არა უსაზღვრო სიყვარული?!

აღარაფერს ვამბობ ვაჟა-ფშაველაზე!

სად უნდა დაეკიდებინა ნობელის პრემიის მედალიონი?!

ან ვისთან უნდა მოეწონებინა თავი?!

ან რაში სჭირდებოდა ვაჟას ვინმესთან თავის მოწონება?!

აი, ნობელის პრემიას ნამდვილად დაშვენდებოდა აკაკის, ვაჟას, გალაკტიონის სახელები!

უდიდესი პატივი იქნებოდა ნობელის კომიტეტისთვის ილიას სახელის დაკავშირება ალფრედ ნობელის ანდერძის აღსრულებასთან. რაც ავტორიტეტი მას ამჟამად აქვს, ერთი ასად მეტი ექნებოდა იმიტომ, რომ ამ ავტორიტეტს ქართველ მამულიშვილთა საკმაოდ საპატივცემულო სახელები შემატებდნენ.

ჩვენთვის ბევრი არაფრის მთქმელია პირველ ნობელიანთა სახელები, თუ სპეციალურად არ გაეცნობი მათ ნაწარმოებებს ისე, როგორც ნობელიანტების შემოქმედებას. თუ არა ლიტერატურათმცოდნეთა სპეციფიკური დაინტერესება, მასიური მკითხველისთვის უცნობი სახელებია რენე სიულლი-პრიუდომის, თეოდორ მომზენის, ბიორნსტერნე ბიორნსონის, ფრედერიკ მისტრალის, ხოსე-მარია ვალდო ეჩეგარაი-ი-ეისაგირესის. სამაგიეროდ დედამიწის ნებისმიერმა დიდმა და პატარამ იცის ჯოზეფ-რედიარდ კიპლინგის, მორის მეტერლინკის, რაბინდრანათ თაგორის, რომენ როლანის, ანატოლ ფრანსის, ჯორჯ ბერნარდ შოუს, თომას მანნის, ჯონ გოლზუორთის და სხვათა სახელები.

რომელ განშტოებაში ჩაჯდებოდა ჩვენი დიდი კაცების სახელები? პირველ ჩამონათვალში, რომელიც იწყება, რომ ნობელის პრემია მიეკუთვნა ამა და ამ ხალხსო, თუ იმ ჩამონათვალს, სადაც ნობელის პრემია ზედნადებია და მკითხველი ჩვეულებრივ მოვლენად მიიჩნევს, რომ მათ მიანიჭეს ეს ჯილდოც (ამ შემთხვევაში აუცილებელია განსაკუთრებით გამოვყოთ „ც“).

ძნელი სათქმელია, რადგან ქართველებს ნობელიანტობის გემო არ გვისინჯია. ისე კი, ნობელიანად თუ უნობელოდაც დიდად საფიცარი პოეტები გვყავს.

თავ-თავიანთ სამშობლოებში შეიძლება ნაკლებად იცნობდნენ მამა-შვილ მისტრალების, იუჯინ ოძნილის, ერიკ კარლფელდტის შემოქმედებას და მოღვაწეობას, საქართველოში კი სახეზე ცნობდნენ გოგლა ლეონიძეს, ტიციანსა და პაოლოს, ლადო ასათიანს, ეამაყებოდათ მათთან გატარებული დრო, ზეპირად იცოდნენ მათი ყველაზე უხეირო ლექსიც კი, აღარაფერს ვამბობ შედევრებზე. სახელებით მოიხსენიებდნენ მათ, რადგან გვარი მხოლოდ ცნობისმოყვარეობის დაკმაყოფილება იყო, თორემ აკაკიც, ილიაც, ვაჟაც, გალაკტიონიც, ტიციანიც, პაოლოც ერთნი იყვნენ და ამ სახელებზე გვარის დამატება ზედმეტია.

თუ არა ცნობისმოყვარეობა, სხვა რაა ვაჟა-ფშაველასა და ლუკა რაზიკაშვილის იდენტიფიკაცია, ის ვაჟაა, და მეტის ცოდნა არ არის აუცილებელი, მთავარია იცოდე ვაჟას გულის ხვაშიადი. რელიქვიად ინახავენ ქართველ მამულიშვილებთან თუ ოდესმე ფოტო გადაუღიათ მამა-პაპებს, დიდი პოეტების მიერ ნაჩუქარ წიგნებს საკუთარივე ავტოგრაფით, ან სულაც პატარა ნაგლეჯ ფურცლებს ლექსდანაწერს, ან წერილებს. ეს სხვა ქვეყნებში შეუფასებელი საჩუქრებია, ჩვენში კი განსაკუთრებით.

ასე მაგალითად, რომელი ნობელის პრემია შეედრება ფრანგისთვის ბალზაკის, გერმანელისთვის შილერის, ინგლისელისთვის შექსპირის, რუსისთვის პუშკინის, ესპანელისთვის უნამუნოს, იტალიელისათვის კარდუჩის, ამერიკელისთვის მარკ ტვენის მიერ სასაჩუქრო წარწერით მიძღვნილ წიგნს, რომელიც საოჯახო სიწმინდედ ითვლება ყველა მომდევნო თაობისთვის. ჩვენშიც ხელუხლებელ განძად ითვლება ოჯახურ ბიბლიოთეკებში შემონახული ილიასეული, აკაკისეული, ვაჟასეული სასაჩუქრო წარწერებიანი წიგნები. ეს ბუნებრივია, მაგრამ ქართული ბუნება ქართველ პოეტს მაინც განსაკუთრებულ პატივს მიაგებდა, ვიდრე დანარჩენ მსოფლიოში სხვადასხვა ერები თავ-თავიანთ თანამემამულე პოეტებს.

ჩვენში „სულიკო“ ქართულად იმღერება და ისე იმღერება, რომ მთელ მსოფლიოში „სულიკოს“ „გატეხილი“ ქართულით, მაგრამ მაინც ქართული სიტყვებით მღერიან, მღერიან იმიტომ, რომ იციან, რასაც მღერიან, და მიტომ. სხვა შემთხვევაში მხოლოდ თარგმანები იქნებოდა საჭირო. და ისეა მორგებული ქართული პოეტიკა მუსიკას, რომ იმ პირველქმნილის სისპეტაკე და სილამაზე იკარგება თარგმანში. ამიტომ თარგმნიან ნაკლებად ქართველებს.

რუსი, მაგალითისთვის, იმღერებდა „Я твою могилу искал“. ამით სავსებით გააუფერულებდა ლექსის ქართულ იდუმალებას. აქ სასაფლაოზე, აკლდამაზე, ნეკროპოლისზე არაა საუბარი. სწორედ რომ სიტყვა „ могила“ ამძიმებს პოეზიას იმდენად, რომ პროზაულ თქმაში გადადის პოეტური აღმაფრენა „მე შენს საფლავს ვეძებდიო“, - ასეა გადარუსულებული გადმოქართულებულად, - და ასე გგონია ლექსი: ხარ სასაფლაოზე და ვერ ნახულობ ვიღაცის საფლავს. არადა, სწორედ ეს არაა ამ ლექსში ნათქვამი. სასაფლაო და საფლავი რაღაც ასპექტში ერთი და იგივე ცნებებია (ერთი კრებითია, მეორე კონკრეტული), მაგრამ პოეზია რისი პოეზიაა და მით უმეტეს ქართული: აი, როგორ უცვალა ფერი, ნირი და ზნე, მკაცრ სიტყვას სხვა, მეტმა თბილმა და არანაკლებ იდუმალმა სიტყვამ - „საყვარლის საფლავს ვეძებდიო“ - თუ არა, „შენს საფლავს ვეძებდიო“ - კი არა... ამ სიტყვაში („საყვარლის“) ავანტიურაა ჟინის მომცემი. აბა სცადე და მეტი უკეთესად თქვი მთელი სიღრმე იდუმალების, და უფრო მეტად, იმღერე, და თანაც ისე იმღერე, რომ სხვაც მიახვედრო რას მღერი და ის სხვაც აამღერო ისე, რომ ბაბილონური ცოდვა წაშალო ენათა აღრევის და იმ საწყისში მიხვიდე, შენ და ის უცხოელიც, ბაბილონის გოდოლამდე რომ იყავით აღურეველნი.

რად უნდა ამას ნობელის პრემია, ეს ხომ დამცირება იქნებოდა ქართველი ერის?!

**„ის არ მოემწყვდა პიროვნულ და**
**ინტიმურ სფეროს,**
**ის ასახავდა უურთულესს,**
**უღრმესს საეროს**
**. . . . . . . . . . . . . . .**
**აი, რად უყვართ საქართველო**
**მსოფლიო ქნარებს,**
**რად უწოდებენ საქართველოს**
**მგოსანთა მხარეს!“**

მაგალითები?!

უამრავია!!!

ლეგენდები?!

კიდევ უფრო მეტი!.. და აი, -

ალფრედ ნობელს ქალი ჰყვარებია (...) ნამეტნავად. მიმოიარა ბაქო, ბათომი... თავისი ქარხნები ჰქონდა ამიერკავკასიაში. ცდებს ატარებდა, იგონებდა, თუ გამოიგონებდა, ეს სხვა საკითხია. ერთის სიტყვით, მან დიდძალი კაპიტალი დააგროვა რუსეთის იმპერიაში. დააბანდა ევროპის ბანკებში თავისი და მამამისის მონაპოვარი. ქალი კი თურმე სხვას ყვარობდა. ვერ მოიხიბლა ნობელის ფულებით. თურმე ვიღაც საშუალო დონის მათემატიკოსი ანაცვალა მსოფლიო მნიშვნელობის ფიზიკოსსა და ქიმიკოსს.

გაბრაზებულა ნობელი, მართალია, ყუმბარებით არ შევარდნია სახლში გულის მურაზს. ერთი უცნაური რამ შურისძიება გამოიგონა (გამოგონებაში ნობელს ბადალი არ ჰყავდა): მთელი სიცოცხლე ყოველი მხრიდან მოედინებოდა დაბანდებული კაპიტალი და ჰონორარის საუცხოოდ ასტრონომიული ციფრები და ყველა ერთად იყრიდა თავს ნობელის ფინანსურ იმპერიაში. ჰოდა, სიცოცხლის ბოლოს, როგორც ყველა მოკვდავი, ისე მანაც დაწერა ანდერძი. და სწორედ ამ ანდერძით მან მთელი თავისი ავლა-დიდება ასევე მასავით დიდ ადამიანებს უანდერძა პრემიის სახით, რომელიც მაშინდელ დროშიც და მითუმეტეს ახლაც დიდ თანხას წარმოადგენს. პრემიას ნობელის ანდერძით აძლევდნენ ქიმიის, ფიზიკისა და ფიზიოლოგიის (მედიცინის) დარგებში, ასევე ლიტერატურასა და ზოგადად მშვიდობისათვის (პრემია ეძლევათ მხოლოდ სიცოცხლეში).

ასე მიიღეს ნობელის პრემია ვილჰელმ რენტგენმა, პიერ და მარია კიურიმ, ალბერტ აინშტაინმა, ნილს ბორმა, გუსტავ ჰერცმა, ენრიკო ფერმიმა, ლევ ლანდაუმ, პეტრე კაპიცამ, ერნესტ რეზერფორდმა, რიჰარ კუნმა, ივანე პავლოვმა, რობერტ კოხმა, ილია მეჩნიკოვმა, თომას მორგანმა, ალექსანდრ ფლემინგმა, ჰანს კრებსმა, მილტონ ფრიდმენმა, არტურ ლუისმა, ჯორჯ სტიგლერმა, ჯონ ნეშმა, გენტის საერთაშორისო სამართლის ინსტიტუტმა, თეოდორ რუზველტმა, მშვიდობის დაცვის საერთაშორისო კომიტეტმა, წითელი ჯვრის საერთაშორისო კომიტეტმა, თომას-ვუდრო ვილსონმა, ნანსენის ლტოლვილთა ფონდმა, ანდრია სახაროვმა, საერთასორისო ამნისტიამ, ჰენრი კისინჯერმა, დედა ტერეზამ, მე-14 დალაი-ლამამ, მიხეილ გორბაჩოვმა და სხვებმა, და სხვებმა, და სხვებმა.

ანდერძში კატეგორიული მოთხოვნა იყო, რომ არავითარ შემთხვევაში ნობელის პრემია არ მინიჭებოდა მათემატიკოსებს. 1969 წლიდან ნობელის კომიტეტმა დაუშვა პრემიის გაცემა ეკონომიკის დარგში განსაკუთრებული ღვაწლისთვის, თითქოს მიახლოვებული მათემატიკასთან, მაგრამ არა-მათემატიკოსებს.

უნიკალური გათვლა გააკეთა ნობელმაც, მისმა გულის მურაზმაც და იმ მათემატიკოსმაც. ეს არის ის შემთხვევა - „მოიისფროსი“, „გავძეხისი“ და „მაშასადამესი“. ცხოვრება ისეთი რამაა, რომ უნდა გაიმარჯვო ცხოვრებაზე კი არა, ცხოვრებაში. სწორედ ცხოვრებაში გაიმარჯვა იმ მათემატიკოსმაც და გულის მურაზმაც მისმა. ცხოვრებაზე კი ნობელმა გაიმარჯვა. რაღაც მიმზიდველი და პოეტური რომანტიკაა იმ გულისმურაზის არჩევანში, არათუ მათემატიკური გათვლებით, არამედ გრძნობებით ნახელმძღვანელები. გრძნობა პოეზიას წარმოშობს და პოეზია სასწაულებს. ნობელმა პრაგმატული თვალით შეხედა ამ საკითხს, თორემ...

მაშ, გაუმარჯოს ყველა დროის მათემატიკოსს, რომლებიც არ ელოდებიან ნობელის პრემიას და მაინც თავიანთ ანგარიშებში არიან გადავარდნილნი და ახალ-ახალ ფორმულებს იყვანენ, ამავე დროს თხოულობენ და უყვართ ცოლები, არ არიან ნობელის იმედად, არჩენენ ოჯახს და ცხოვრებაც ასე თუ ისე სიამტკბილობით მიდის.

იმასაც ამბობენ, რომ ეს მათემატიკოსი ქართველი იყოო. გამართლება ამით უპოვეს, ნობელის კომიტეტი რომ არ წყალობს ქართველებს. ქართველებს კი, თუ ის ჟინით, გრძნობით, გონებით, უპირველესად სისხლით ქართველია, არ სჭირდება ნობელის პრემია. ვისთვისაც ნობელიანტობა უდიდესი ავტორიტეტია და ავ-კარგიანობის სასწორი, იმათმა ელოდონ ამად გარდასახვას, ერთხელ კი არა, ათასჯერ წარადგინონ თავიანთი კანდიდატურები პრემიის მოსაპოვებლად.

მე კი დარწმუნებული ვარ, რომ ის მათემატიკოსი მართლაც ქართველი იქნებოდა, რადგან ისე მოინადირა მან იმ ქალის გული, რომ იმ გულის მურაზმა არაფრად ჩააგდო ნობელის ფულები. თვითონ იმ მათემატიკოსმა აჯობა ცხოვრებაშიც და ცხოვრების მერეც ნობელსაც, მის პრემიასაც და მისი პრემიის ყველა მფლობელს დღესამომდეც და დღეის მერეც.

გაუმარჯოს იმ მათემატიკოსს, საშუალო დონის მათემატიკოსს, რომელმაც ყველაზე დიდი ფორმულა აღმოაჩინა საკაცობრიო მოძრაობაში - გრძნობის ფორმულა, სიყვარული რომ ჰქვია სახელად.

გაუმარჯოს კაცს, დიდ კაცს, რომელმაც უარი თქვა ნობელის პრემიაზე და თავი არ დაივალდებულა დიდი მეცნიერის სულის წინაშე.

გაუმარჯოს აკაკის, არამარტო თავის ლექსებით, არამარტო თავისი მსოფმხედველობით, არამედ თავისი კაცობით, თავისი ვალებით, თავისი მიუსაფრობით, თავისი მარტოსულობით; კაცს, რომელსაც შეეძლო დარჩენილი ცხოვრება ტკბილად ეცხოვრა და მან მაინც თავისი თავისუფლება არჩია ყველა დროის უდიდეს და სახელგანთქმულ ნობელის პრემიას.

### 2. პოეზიისადმი მიდგომა პოეზიის გამოხატულების შესაბამისად

უნდა ითქვას, რომ ნობელის პრემია ვერ იქნება პოეზიის მსაჯული და იგი ვერ გამოდგება პოეტთა გადახარისხების სასწორად. რა თქმა უნდა, ნობელის პრემია ბევრმა დიდმა პოეტმა მიიღო და სრულიად დამსახურებულად, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ყველაფერი ამით იწყება და ამითვე თავდება.

დიახ, ეს პრემია მიიღეს ფრედერიკ და გაბრიელა მისტრალებმა, ანდრე ჟიდმა, თომას სტერნზ ელიოტმა, ბორის პასტერნაკმა, ხუან ხიმენესმა, სალვატორე კვაზიმოდომ, იოსიფ ბროდსკიმ და სხვებმა. ყველაფერი ეს კარგი, მაგრამ ნამდვილი პოეზია მაინც ყველაფერ ამის მიღმაა. აი, დავუგდოთ ყური გალაკტიონს, მივადევნოთ აზრი აზრს მისი მოსაზრების შესაბამისად, ჩამოვხსნათ სოც. იდეოლოგიური ნიღაბი და რეალურად დავინახავთ არათუ წარსულს, არამედ აწმყოსაც და მომავალსაც. ციტატად არ მოვიტან წინა ტაეპს, სადაც საუბარია გალაკტიონის პარიზში მწერალთა მსოფლიო კონგრესზე (1935წ.) ვიზიტზე, იმ პერიოდშიო, - ამბობს პოეტი, - საფრანგეთის აკადემიას სამასი წელი შეუსრულდაო. შემდეგ კი ციტატა -

**„მაგრამ მე ფრანგი პოეტები არ მეცოდება,**
**წმიდა ფრანგული მოწიწებით ეძლევა ოდეს,**
**აკადემიის წევრს უკვდავის სახელწოდება**
**და მომაკვდავის უბრალოსი -**
**ბალზაკს და დოდეს.**
**არც მოპასანი, არც ფლობერი, არც მოლიერი,**
**უკვდავთა შორის არ იქნება დაფნით მავალი**
**სამაგიეროდ იქ ჰერცოგი შედის ძლიერი,**
**დე-რიშელიე, კარდინალთა შთამომავალი.“**

მერე მოსაზრებაა ჩამოყალიბებული არათუ იდეოლოგიური, არამედ ცხოვრებისეული დრამატიზმით სავსე -

**„ის რიგიანად თუ ვერ დაწერს**
**უბრალო წერილს,**
**არის სიმბოლო საფრანგეთის**
**ძველი დიდების,**
**აქ ხმის მქონე დუმს გაოცებით,**
**უხმო კი მღერის**
**თავდავიწყებით,ხრინწიანად, გაბედითებით.**
**კათოლიკეებს, ფეოდალებს,**
**სარდლებს, პრელატებს**
**იმ დარბაზებში ვერვინ ეტყვის**
**„დაფნა ჩემია“,**
**ძალმომრეობის და დაცინვის**
**ფერადებს მატებს**
**ეხლაც, წინათაც ამნაირი აკადემია.“**

ვიღაც იტყვის - „საბჭოეთში უკეთესი აკადემია იყოო?!“.

მაგრამ პოეზია ისაა, რაც საბჭოეთით არაა შემოფარგლული და იგი, სადღეისოდაც დასახული წიგნი არაა. გალაკტიონმა საფრანგეთზე თქვა, მე საბჭოეთით შევცვალე საფრანგეთი, შენ საქართველოთი შეცვალე საფრანგეთი, მან ამერიკით შეცვალოს საქართველო. აქ მთავარი გეოგრაფიული კი არა, სტრუქტურული და ადმინისტრაციული მიდგომაა საკითხ-პრობლემისადმი. სოც. იდეოლოგია მასში ისაა მხოლოდ, რომ საფრანგეთი საბჭოეთისთვის ამ სტრიქონების დაწერის დროს კაპიტალისტურ სამყაროდ ითვლებოდა და ქვეტექსტი მისი იყო ის, რომ აი, როგორ არ აფასებენ დიდ კაცებს კაპიტალისტურ სამყაროში.

ვითომ უკეთესი იყო საბჭოეთში?

ან სადღეიოდ შეიცვალა რამე?

უფრო პირიქით, გაუარესდა და მეტი სიმძაფრე და აქტუალობა მიიღო ამ სტრიქონებმა ჩვენთვის, ვიდრე ფრანგებისთვის. იგავ-არაკი აბა სხვა არაფერი, თუ არა „ვწერ ერთზე, ვგულისხმობ მეორეზე“. ამ პრინციპით უნდა მივუდგეთ საკითხს.

პოეზია კი აკადემიებით და პრემიებით რომ არ განისაზღვრება, ამაზე ერთხელ და სამუდამოდ უნდა შევთანხმდეთ. შეფასება და მიდგომა პოეტის სრული შემოქმედებისა ყოფილა და არის მკითხველი, ნოვატორული იქნება პოეზია, თუ ტრადიციული, ამას არა აქვს გადამწყვეტი მნიშვნელობა. პოეზიისადმი მიდგომა მაინც და უმთავრესად ხალხური მიდგომაა და სახალხო გემოვნება-განწყობილების ამსახველია. ტრადიცია ამ შემთხვევაში გემოვნების კატალიზატორია, სხვა საკითხია ეპოქის მოთხოვნები, მისი მაჯისცემა და ესთეტიკური არსი, რომელსაც პოეზია თავის სახადს უხდის, რადგან ამ სახადის ხარჯზე სხვა უფრო მნიშვნელოვანი მარადიული ღირებულება ეძიოს და ჰპოვოს - მარადისობის საკურთხეველზე ეპოქის მაჯისცემა დააფიქსიროს. და ისევ კონკრეტდება მარადიულობის განფენილობაზე კონკრეტული სახელები. შესაძლოა დრომ ჩაყლაპოს პოეტის მნიშვნელობა, მარადისობა სრულად აღადგენს მას საწყისში და სულ სხვა კრიტერიუმებით შეაფასებს, გადააფასებს და დააფასებს ყველას. ის კრიტერიუმი არათუ ზომა, ან რითმა, ან თუ იდეა და აზრია პოეტის, იქ რაღაც სხვაა უფრო ღრმა და ძლიერი, ვიდრე თუნდაც ლექსწყობის საუცხოო მელოდიკით შექმნილი პოეტური ქმნილება, ან ლექსწყობის კანონების უგულებელყოფით ახალი პოეტიკის შექმნა. მთავარი იქნება ის, რაც არასდროს არ იცვლება, ის რაც ყოველთვის ღირებული და ფასეულია ყველა დროში. ზომაც და უზომობაც, რითმაც და ურითმობაც, იდეაც და უიდეობაც, მაგრამ ყველა დროის სანუკვარი ღირებულება ხალასი პოეტური შთაგონებაა, ხოლო რა მეთოდებით შეასხამს ფრთებს ესა თუ ის პოეტი თავის მუზას, ეს მის ესთეტიკურ გემოვნებასა და ეპოქის მოთხოვნილებაზეა დამოკიდებული.

ასე მაგალითად, ქართულ აზროვნებასა და მეტყველებაში ილია და აკაკი გაიგივებულნი არიან როგორც თანამოაზრეებად და ერთ მთლიან ძალად. სინამდვილეში კი, ორთავე ერთმანეთისგან დიამეტრალურად განსხვავებულ პოლუსებზე იდგნენ, მაგრამ ერთი იყო მათი საზრუნავი - საქართველო. ილია პუბლიცისტი იყო, ბანკირი, ეკონომისტი და ა.შ., აკაკი - პოეტი. მათი მსოფმხედველობაც ასე თუ ისე განსხვავდებოდა, მაგრამ საქართველოსთან მიმართებაში, როდესაც პრინციპულად იდგა საკითხი, არათუ ილია და აკაკი, მთელი თერგდალეულობა ერთ მუშტად იყო შეკრული. თუნდაც პოეზიის დანიშნულებაში განსხვავდებოდა ილიასა და აკაკის მოსაზრებები, მაგრამ ხალხმა ისინი პირველკაცებად გამოარჩია სწორედ რომ ორთავე ერთმანეთისგან რადიკალურად განსხვავებული ინტერესის მამულიშვილები. ილიას პოეტად მოიხსენიებენ, თუმცაღა თავის შემოქმედებაში რაოდენობრივად ყველაზე ნაკლებად პოეზიაში მუშაობდა იგი. მაგრამ რიცხოვნობა ხომ არაა შთაბეჭდილების შექმნის განმსაზღვრელი. ილიას პოეზია თავისი სტრუქტურით, სიტყვიერი მასალით, შინაარსით, იდეით ფილოსოფიური ასპექტითაა გადაწყვეტილი და მას როგორც ჰაეროვან პოეზიას ვერ შეხედავ, აქაც სრული ანტიპოდია აკაკი ილიასი. ილია თუ ამბობს:

**„მისთვის არ ვმღერ, რომ ვიმღერო,**
**ვით ფრინველმა გარეგანმა,**
**არამარტო ტკბილ ხმებისთვის**
**გამომგზავნა ქვეყნად ცამა.**
**მე ცა მნიშნავს და ერი მზრდის-**
**მიწიერი ზეციერსა,**
**ღმერთთან მისთვის ვლაპარაკობ,**
**რომ წარვუძღვე წინა ერსა“.**

აკაკი პასუხობს და ესიტყვება -

**„ხან უგნური ვარ, ხან ბრძენი,**
**ხან არც ესა ვარ, არც ისა,**
**გარემოების საყვირი,**
**არც მიწისა ვარ, არც ცისა,**
**ნუ მკითხავ, მნახო უგნურად,**
**ნურც გაიკვირვებ ბრძნობასა:**
**სულ სხვა ჰყავს ხელისუფალი**
**ამ ჩემს გონება-გრძნობასა“.**

ილიას თუ პირდაპირ აქვს დაყენებული - „მე ცა მნიშნავს და ერი მზრდისო“, აკაკი თავის თავს შუაკაცად მიიჩნევს მიწიერობასა და ზეციურს შორის.

ილიასთან ერის ხელმწიფების კურთხევაა, აკაკისთან არაა ხელმწიფების ნიშანწყალი, პირიქით, იგი ამბობს, რომ „სულ სხვა ჰყავს ხელისუფალიო“. აქ ილიასთვისაც და აკაკისთვისაც უფრო მეტია პოეტი, ვიდრე ლექსების დამწერი, ვიდრე მათემატიკური გაანგარიშებით ზომებში ჩამჯდარი ტკბილხმოვანების შემქმნელი. ჩვენში პოეტი ერის სულიერი წინამძღოლი იყო. ამიტომ კლავდნენ ილიას, აპატიმრებდნენ აკაკის, სიგიჟემდე მიჰყავდათ გალაკტიონი, გაუთვიცნობიერებლობაში გადაანაცვლეს ტიციანი და პაოლო, ვაჟას სუნთქვა შეეკრა...

და მაინც, ჩვენში პოეზია არ არის ლამაზად წარმოთქმული ტაეპები და სიტყვები. და მართებულადაც შენიშნავს გალაკტიონი:

**„ეხლა კი ჩემთვის ნათელია, თუ ივერის**
**მცირეზე მცირე, რიცხობრივად პატარა ერი**
**მარად ყოველმხრივ შემორტყმული**
**უამრავ მტერით,**
**მაინც გადარჩა, და გადარჩა ის, როგორც ერი, -**
**აქ პოეზია იყო მისი შემჭიდროვება,**
**ანკარა წყარო, მომჩქეფარე იმ ხალხის გულით,**
**მის სასიცოცხლო ძალთა-ძალაა და საზრდოება,**
**აი, ლირიკა, მთელი მისი დიდი წარსულით“.**

თუნდაც, მაგალითისთვის ავიღოთ ხალხური ეპოსის ერთი უმნიშვნელოვანესი და საუცხოო ნიმუში „ვეფხისა და მოყმის ბალადა“. უპირველეს ყოვლისა უნდა დაისვას კითხვა -

სად ვლინდება ერის სახე და მორალი?

და სადაა პოეზია, მარტოდენ თხრობაში, თუ თხრობის მიღმა?

ვეფხისა და მოყმის საბედისწერო შებმა ამ ნაწარმოებში არის წინარეისტორია ადამიანის სულიერების სიძლიერების წარმოსაჩენად, იგი ფონია, რათა ქართველი დედის სახისმეტყველება წარმოაჩინოს. გლოვაც გლოვაა, მაგრამ პოეზიამ ზნეობა წარმოაჩინა, ერის სახედ რომ იქცა. პოეზია აქ ისეთ სულიერ სიმაღლეზე ადის, რომ ძნელია პირველყოვლისა სრულად გაისიგრძეგანო, შეითვისო და ეს სახე მარადი-სახედ აქციო. დედა ამბობს თავის გლოვაში -

**„იქნება ვეფხის დედაი,**
**ჩემზე მწარედა სტირისა“.**

აქ უკვე უნდა გაჩუმდე და პოეზია თავად მოვა შენთან, რადგან პოეზია ზნეობრივია, მაგრამ მართალი პოეზია ზნემრთელია და იქვე ამბობს დედა -

**„წავიდე, მეც იქ მივიდე,**
**სამძიმარ ვუთხრა ჭირისაო“.**

მთელი ბალადა ამისთვის იწერებოდა, პოეზიაც, მორალიც და ერის სახეც ამ დედაში განისვენებს. სწორედ რომ პოეზიაა ის ძალა, ეროვნული ძალა, რომელიც ერს აკეთილშობილებს და იგი არაა მარტოდენ რითმაში მოყვანილი ტაეპების წყება. პოეზია უპირველეს ყოვლისა თვით პოეტია, პოეტი, რომელიც თავისი დაწერილის შესაბამისად ცხოვრობს და მაგალითს უჩვენებს მკითხველს. მკითხველი პოეტის და პოეზიის ბარომეტრია. ვინ, თუ არა მკითხველმა იცის საუკეთესოდ პოეტის ესა თუ ის ნაწარმოები გულის კარნახითაა დაწერილი, თუ ზედაპირული სიტყვიერი მასალაა, ასე ვთქვათ, სპეცეფექტების მოსახდენად. ამასვე მოუწოდებს გალაკტიონი ყველა პოეტს, რომ „უნდა შეეძლოსო სიტყვას მისცეს გრძნობის მახვილიო“, შემდეგ კი დასძენს:

**„ლექსებში ხშირად ყველაფერი თავის რიგზეა,**
**სახე და ფორმა, რითმაც თითქოს საკმარისია,**
**მხოლოდ ერთი რამ არის ცუდი: ყოველი წესით**
**თითქოს ლექსია, მაგრამ მაინც არ არის ლექსი“.**

და ეს იმიტომ, რომ პოეტი ზოგ, ან თუ ხშირ შემთხვევებში გულწრფელი არაა იმიტომ, რომ მისი ცხოვრება განსხვავდება მისი ლექსებისგან. ამის შესახებ ამბობს იესო ქრისტე:

„ხოლო თქუენ ნუ იწოდებით რაბბი, რამეთუ ერთი არს მოძღუარი თქვენი - ქრისტე, ხოლო თქუენ ყოველნი ძმანი ხართ. და მამით ნუვის ხადით ქუეყანასა ზედა, რამეთუ ერთი არს მამაო თქუენი, რომელ არს ცათა შინა. ნუცა გერქუმინ თქვენ წინამძღუარ, რამეთუ ერთ არს წინამძღუარი თქუენი - ქრისტე. ხოლო უდიდესი თქუენი იყავნ თქუენდა მსახური. ხოლო რომელმან აღიმაღლოს თავი თვისი, დამდაბლდეს; და რომელმან დაიმდაბლოს თავი თვისი, ამაღლდეს. ვაი თქუენდა, მწიგნობარნო და ფარისეველნო ორგულნო, რამეთუ შესჭამთ სახლებსა ქურივთასა და მიზეზით განგრძობილად ილოცვიდით. ამისთვის მიიღოთ უმეტესი სასჯელი“.

სწორედ ქრისტეს სიტყვების ნიშანსვეტია ნიკო სამადაშვილის ერთი პატარა პოეტური ქმნილება, რომლითაც პოეტის საკრალობაა წარმოჩენილი, რათა ლექსი და პოეტი ერთნი იყვნენ, პოეტმა თქვას ლექსი და ლექსმა პოეტი (ტიციანისეულად: „მე არ ვწერ ლექსებს, ლექსი თვითონ მწერსო“, - აი, ასე). პოეზიაში საუკეთესოდ ირწყმება ადამიანური ყოფის ყოველი ელემენტი დაწყებული პოლიტიკიდან დამთავრებული საყოფაცხოვრებო ეკონომიკით. კაცობრიულ გამოგონებათა არც ერთ სფეროს არ შეუძლია სრულად წარმოაჩინოს ადამიანთა ინტერესის ყოველი წვრილმანი დეტალი, გარდა პოეზიისა, და პოეზიამ, თუ ის ზნემრთელი პოეზიაა, საუკეთესოდ იცის, რა ფორმით წარმოაჩინოს იგი. პოეზია ერთგვარი რეკლამაა და ანტირეკლამა. თუ სწორი მიზნით მიუდგები ქრისტეს წინამდებარე სიტყვას, პოეზიას მეშვეობით საუფლო სიტყვის მართალი აღმსრულებელი იქნები.

და აი, ნიკო სამადაშვილის სიტყვიერი მადლი, სიბრძნე და ტრაგიზმი, კონტრასტი და ცხოვრებისეულობათა თანხვედრა როგორ წარიმართა -

**„თვალებს ტირილიც არ გაუმხილა,**
**გულს უღონებდა დარდების ლაქა,**
**ის დადიოდა ქუჩებში ფრთხილად,**
**ფოთლებთან დიდხანს ილაპარაკა.**
**მას არ ექავა ლარიბი ერდოც,**
**ან რა ჯანდაბად უნდოდა ნეტავ,**
**კიდევ კარგი, რომ ბინა არ ჰქონდა**
**და მკვდარი შიგნით ვერ ჩაიკეტა.**
**თორემ რა ექნათ მის ერთგულ ნაძვებს,**
**ვინ გაუღებდა კარს ერთი წამით?**
**ეხლა, შორს, ქარში კიდევ ძაგძაგებს**
**დაუმარხავი პოეტის გვამი“.**

სიმძაფრე და ტკივილი - არანაკლებ მოყმის დედისა. აქ ფარისევლური მწიგნობრობა არ იკითხება. ესაა გულწრფელობის ნიმუში, პოეტურ ქმნილებასაც რომ ნამდვილად აქცევს. პოეტი არ უნდა ცხოვრობდეს განცხრომაში, მისი ცხოვრება მისტიური საბურველით უნდა იყოს მოსილი, იდუმალება კი მისი მოვლინების არსს წარმოადგენდეს. ბოჰემა - აი, რა არის პოეტის ცხოვრების მიმზიდველობა, თავისი პოეტური შემოქმედების პარალელურად, თუნდაც პერპენდიკულარულად. მთავარია ცხოვრების არსი და პოეზიის არსი თანხვედრილი იყოს.

და კიდევ, ცხოვრებამ როგორადაც არ უნდა მიგაჯაჭვოს სახელმწიფოსთან (და არა სამშობლოსთან), მოგიწამლოს გონება ათასნაირი პოლიტიკური იდეოლოგიით, იმ დაუმორჩილებლობისა და პროტესტის, უკმარისობისა და ბუნტის (ამ სიტყვის კეთილშობილური გაგებით) მაღვალაკი არ უნდა გასვენებდეს პოეტს და იმ იდეოლოგიურ ჩარჩოებშიც რეალობის ასახვის მიღმა „საღმრთო, საღმრთოდ გასაგონი“ უნდა ითქვას მაინც, და ისე უნდა ითქვას, რომ ყველასათვის ზედმიწევნით გასაგები გახდეს ყველა დროში.

სწორედ ასეთ შემთხვევაში არ კვდება ნაწარმოები, იგი მუდამ კითხვადი იქნება - მეფეს უმღერებ, ნაპოლეონს, ფაშიზმს თუ „აყვავებულ“ დემოკრატიას. უდროობაში პოეზიაც განწირულია

და პოეტიც. მსაჯული დროის შესაბამისად სჯის განსასჯელს, რადგან დროება ერთადერთია, რომელიც მარადმოქმედია და დროში გამომწყვდეული პოეტი გარემოების მსხვერპლია და სხვა დროში, ან იმავე დროში, მაგრამ სხვა სივრცეში და საბოლოოდ სხვა ეპოქაში სხვადასხვა განფენილ სივრცეებში აუცილებლად დროის შესაბამისად განსჯიან მარადი-დროის (მარადისობის) ღირებულებით, რადგან ღირებულებანი შეფასებულ-გადაფასებული იქნება. ამიტომ რევოლუციური პათოსით და პოეტური შემართებით ამბობს გალაკტიონი, ამბობს და გადაძახილია იგი მომდევნო თაობებზე, ეპოქებზე და ერაზე -

**„არათუ წლები გადაეშვა ტყდომად -**
**წამიც კი გატყდა და რეკავს ცხარედ;**
**ნუ მიატოვებ ლექსს უთვისტომოდ,**
**დროის, ეპოქის და სივრცის გარეთ.**
**ბევრი მიეცა ტალახსა და ლექს,**
**ბევრის ნაბიჯი არის ტაატი,**
**დრო, დრო აღნიშნე, მოაწერე ლექსს**
**ეს წელიწადი, დრო და საათი!“**

ასეთივე საზომით უნდა განისაჯოს გრიგოლ რობაქიძეც, გერმანულ პერიოდში მისი მოღვაწეობაც. პრინციპში და პრაქტიკულად განსასჯელი განისაჯა უკვე. ყველაზე უკეთ და ტრაგიკულად თვითონვე პაოლო იაშვილის დოგის დატირებაში გამოთქვა, თვითონ პაოლოს ბედიც და ბედისწერაც იწინასწარმეტყველა. აი, ესაა პოეზია და არამარტო ლამაზი ლექსების წერა -

**„ლამაზო გერა! ვიცი ძაღლის წაილე წყენა,**
**ცრემლს ნუ მაჩვენებ, თუ გიყვარდე,**
**ამასა გვედრი,**
**ვინ იცის ეგებ შენი თრევა მიყივლოს ენამ,**
**იყოს აგრეთვე მოშხამული ჩემი ძმის**
**ხვედრი,**
**მიტოვებული, დავარდნილი,**
**ღვთის ანაბარად,**
**ეგებ შენსავით იგი ერთ□ელ ჩაიქცეს ღრეში,**
**დაიტირებენ შენს პაოლოს კოლ□ეთის ბარად**
**ჟუჟუნა წვიმა ჩვენი ყანის და**
**რბილი ხრეში“.**

და ეს ლექსი დაიწერა 1926 წელს. ამისათვისაა საჭირო ხელმოწერის გვერდით თარიღის დასმა, უფრო ფასეულს და ღირებულს ხდის ნაწარმოებს, და მიტომ.

## 3. მკითხველის რაობა მწერლის შემოქმედებისთვის

ყველა ეპოქას შესაფერისი მკითხველი ჰყავს დროის მოთხოვნისამებრ. ეპოქა ყოველთვის აყენებს შესაფერის მოთხოვნებს. ამ მოთხოვნებში აუცილებლად გათვალისწინებულია ყველა ის კრიტერიუმი, რითაც საზოგადოება ვითარდება და ყალიბდება მისი სათანადო ეპოქალური ესთეტიკური გემოვნება, ამავდროულად მკითხველის (კონკრეტულად ვინმესი და საზოგადოდ ყველასი) სიახლისადმი მოლოდინსაც განსაზღვრავს თავისებური დოზირებით, ანუ ეპოქა ადგენს შესაძლო, სავარაუდო და აუცილებელ საზღვრებს ამ სიახლისას, რომლის იქით ადამიანური გონება ვერ წვდება ისევ და ისევ ეპოქის ფაქტორიდან გამომდინარე.

ასე მაგალითად, რუსთველის ეპოქის მკითხველი, რა თქმა უნდა, რაღაც დოზით პოეზიიდან ელოდა სიახლეებს, მაგრამ იგი ვერასგზით ვერ აღიქვამდა და მოლოდინითაც არ ელოდა XX საუკუნის პოეზიის ტექნიკას, აზრობრივ სიღრმეს და პოეტურ გაქანებას, თუნდაც XVII-XVIII საუკუნეების პოეზიისას. ყველა დროში ჩამოყალიბებულია კრიტერიუმი და ეს კრიტერიუმი ალბათ იმისთვისაა საჭირო, რომ ამ კრიტერიუმის მიღმა წავიდეს პოეტიც და მკითხველიც, რათა მომდევნო ეპოქაში შეიქმნას ახალი კრიტერიუმები. ამ კრიტერიუმებში იმთავითვე გათვალისწინებულია მოსალოდნელი და მოულოდნელი შემთხვევები მწერლის მხრიდანაც და მკითხველის შეფასების მხრიდანაც. მაგრამ ქვეცნობიერად მაინც არსებობს მკითხველის მოთხოვნილების აუცილებლობის ფარგლები, რომლის მიღმაც მწერალი ამოვარდნილი იქნება ეპოქიდან, დროიდან და სივრციდან. მწერალი ყოველთვის უნდა უწევდეს ანგარიშს მკითხველის (ამ შემთხვევაში საზოგადოების) ზოგად ერუდიციას, რადგან მას საქმე აქვს ამ შემთხვევაში თვით ეპოქის ერუდიციასთან, რამდენად განათლებულია თუ გაუნათლებელი იგი.

მკითხველი არსებობს პროფესიონალიც, არაპროფესიონალიც და თუნდაც უწიგნური, მაგრამ ეს უკანასკნელიც სათვალავშია, როგორც პოტენციური მკითხველი. მართალია, მწერალი ვერ შეარჩევს თავის ნაწარმოებს ისე, რომ შენ ეს წაიკითხე და შენ კიდევ ისო. აქ უნდა მოხდეს შერწყმა ყველა დონის მკითხველისათვის, მაგრამ ამავდროულად მან თავისი სამწერლო ინდივიდუალობა ბოლომდე უნდა დაიცვას. თავის სიმაღლეზე უნდა აიყვანოს პროფესიონალი მკითხველიცა და პროფანიც, - და არამც და არამც მწერალმა არ უნდა დასცეს თავისთავადობა იმ პროფანის დონემდე, მკითხველად რაოდენობაში რომ შეემატოს იგი. ამით უფრო მეტ მკითხველს დაკარგავს, ვიდრე შეიძენს - იმ პროფესიონალ მკითხველს და მის უკან მდგარ მთელ მომდევნო თაობებს, რომლებმაც მწერალი სიცოცხლის შემდეგ უნდა ასახელოს. ასე, დაცემულ მწერლებზე აქვს შოთა რუსთველს ნათქვამი -

**„ვამსგავსე მშვილდი ბედითი**
**ყმაწვილთა მონადირეთა:**
**დიდსა ვერ მოჰკლენ,**
**ხელად აქვს**
**ხოცა ნადირთა მცირეთა“-ო.**

და მაინც, მკითხველი თავისი ყოველდღიურობით ცხოვრობს, თავისი გაჭირვებაა და დაულხენია, ამიტომ მისი დადანაშაულება რაიმეში, თუნდ უწიგნურობაში, ან რაღაც სახით მიკერძოებაში, მწერლის მხრიდან უგნურება და სიბრიყვე იქნებოდა. მკითხველი ერთგვარი მსაჯულია, მწერლის გარჯის ერთადერთი შემფასებელი. ზოგი მსაჯული გონიერია, ზოგი უგნური, ზოგი კეთილი, ზოგი ბოროტი, ზოგი ასეთი, ზოგი ისეთი, მაგრამ მწერლისთვის (მწერალს ვამბობ და პოეტსაც ვგულისხმობ) აუცილებელია მათთვის ანგარიშის გაწევა, მოფრთხილება სჭირდება მკითხველს, შეძენა სჭირდება მკითხველს.

მწერლობა, ისევე როგორც მკითხველობა, ორმხრივი ვალდებულებით არის დატვირთული. ანუ თუ მწერალი ხარ, ვალდებული ხარ (და არა მოვალე) შექმნა ნაწარმოები, შესაბამისად მოვალე ხარ შენი შექმნილის შესახებ პირუთვნელად მიიღო მკითხველის მოსაზრება (თუ ასეთი იქნება). შესაბამისად, თუ მკითხველი ხარ და გიყვარს წიგნი და თავს თვლი წიგნიერად, ვალდებული ხარ (და არა მოვალე) მწერლის მიერ შემოთავაზებული წაიკითხო, და საჭიროების შემთხვევაში კი (თუ ამის საჭიროებას დაინახავ პირადად), გამოთქვა შენი მოსაზრება მიკერძოებული თუ მიუკერძოებელი, გონიერი თუ უგნური და ა.შ. და ამავ დროს გქონდეს იმისი კულტურა, მოისმინო სხვათა მოსაზრებებიც, თუნდაც შენი მოსაზრების საწინააღმდეგო.

კომუნისტურ პერიოდში კარგად იყო განვითარებული საპოლემიკო კულტურა. ხშირი შემთხვევა იყო, როდესაც პრესის ფურცლებზე კრიტიკის ქარ-ცეცხლი ინთებოდა ამა თუ იმ მწერლის ან ნაწარმოების ირგვლივ, იმართებოდა დისპუტები, პოლემიკა გრძელდებოდა, პასუხი პასუხზე მოდიოდა. მკითხველიც ჩართული იყო ამ განხილვებში და მწერლებიც. კრიტიკა არ დაკლებია თეატრს, მსახიობს, რეჟისორს, ფილმს, მოქანდაკეს, ძეგლს, მხატვარს, მუსიკოსს და ჩამოთვლაც შორს წაგვიყვანს. არსებობდა ერთიანი კულტურა, ეთიკური ნორმები, რომლის გადალახვაც ყველას ეკრძალებოდა. სხვათა შორის ამ საპოლემიკო დისპუტებში არ ერთვებოდა ხელისუფლება და ყველას თავისუფლად შეეძლო გამოეთქვა თავისი მოსაზრება, რა თქმა უნდა, ზომიერების ფარგლებში, „დაუკრეფავში“ კი არავინ გადადიოდა. ერთი კია, რომ შესაძლებელი იყო, ამ პოლემიკათა ინსპირატორი და დამკვეთი კულუარებში იყო და არავის სურდა მისი გამომზეურება. სადღეისოდ კი ამ ფუფუნებას მოკლებულნი ვართ, თუნდაც პოლიტიკური ცენზურით გაჯერებულს. დღეს „წერე და იკითხეს“ ცინიზმით აღსავსე პოლიტიკა მეფობს. აკრიტიკე ყველა, ვინც გაგეხარდება, ლანძღე ყველა, ვინც მოგესურვება, მთავარია, შეიძლო და ამისი სურვილი გქონდეს. დღეს არავის ცხელა სამწერლო პრობლემებზე გადაიტვირთოს თავი. დღეს არავის აინტერესებს პოეზია, სამაგიეროდ „პოზიცია“ და „ოპოზიცია“ ყველა ილანძღება. ერს რეაქცია არა აქვს არაფერზე - კარგს იტყვიან თუ ცუდს. „მთავრობისტები“ თავიანთ გამოსვლებს იწყებენ და ამთავრებენ თავის ქებით და „ოპოზიციის“ ლანძღვით, „ოპოზიციაც“ იგივეთი პასუხობს. ტელევიზია გადართულია ამათი „ურთიერთპაექრობის“ გაშუქებაში და ერთით - დღეს ეს მოკლეს, ხვალ იმას მოკლავენ, დღეს ეს განადგურდა, ხვალ ის განადგურდება, დღეს ქათმის გრიპია, ხვალ ღორის ანგინა, დღეს ნახევარი საქართველო გაწყდება, ხვალ დანარჩენი, დღეს გლობალური დათბობაა, ხვალ გლობალური გამყინვარება და ა.შ.

ამ სახარბიელო ატმოსფერომ მწერალი და მკითხველი ერთმანეთს დააცილა, ერში გაჩნდა ტოტალური უწიგნურობა როგორც მკითხველის მხრიდან, ასევე მწერლის მხრიდანაც. ტელევიზიით ფართო აგიტაცია კეთდება, რომ არ არის საჭირო მწერლობაში პროფესიონალიზმი, საჭიროა იყო ორიგინალურიო. ასევე დიდი უბედურებაა ის, რომ დღევანდელი ე.წ. მწერლები წიგნს მიიჩნევენ გართობის ერთ-ერთ საშუალებად და ასეთ ვაიმწერლებს დღეს, გუშინაც და ალბათ ხვალაც დიდი პომპეზურობით ანიჭებენ „საბას“ პრემიებს. ასევე, მწერალს თავისი ინდივიდი თუ არა აქვს ყველაზე მაღლა დაყენებული, მე ის მწერლად არ მომაჩნია.

იკითხონ ერთი, ამ მწერლუკებმა - გართობაა თუ არა წიგნი? და კითხოს იგი პირველყოვლისა ბავშვს, რომელიც ანბანს სწავლობს; მერე რუსთველს ჰკითხოს, გასართობი პოეზია წეროს თუ ღრმა-ფილოსოფიური; ილიას ჰკითხოს, გასართობ ჟანრს მიხედოს თუ ერის საჭირბოროტო საკითხებზე იფიქროს; ყაზბეგს კითხოს, თამარის პირველ ღამეზე წეროს თუ ქართულ ტკივილებზე; ვაჟა-ფშაველას ჰკითხოს, რა არის წიგნი, გართობა თუ უძილო ღამეების გამაწვალებელი ტანჯვა. გალაკტიონი ხელთა მაქვს, აქ, ემიგრაციაში, და აქვე ვიტყვი, რას უპასუხებდა გალაკტიონი ამ შეკითხვას -

**„თავის სიმძაფრით, თავის ვნებით**
**სიტყვის ამ დარგებს**
**ამოუწურავ ენერგიით უფრო აკარგებს,**
**აღრმავებს განცდებს, აცხოველებ**
**გრძნობებს და მოსავს**
**ახალ ელფერით, ახალი გზით**
**მიმავალ პროზას.**
**რაც უფრო მაღლა მიდის აზრი ესევითარი,**
**ლირიკა ხდება უფრო მძლავრი,**
**უფრო მდიდარი,**
**ის შინაარსით ისევეა, რაც ფილოსოფია,**
**ხმათა შერჩევით კი მუსიკის ჰანგთა მყოფია.**
**როგორ სარკეობს იმისი ხმა და**
**როგორ ბროლობს -**
**ბევრი რამ გვითხრას შეუძლია**
**ფაუსტის პროლოგს:**
**აღტაცებული მომღერალი გულთ**
**რით აჩვილებს,**
**მარქვით, სტიქიონთ იმ მომღერალს**
**ვინ უმორჩილებს,**
**თუ არ აკკორდი, შემოქმედის**
**უმძლავრეს მწველი,**
**გულით ნახეთქი, მსოფლიოის**
**მთელის შემცველი,**
**სული პოეტის სარკე არის სივრცის,**
**დროისა,**
**სული პოეტის არის ცენტრი მსოფლიოისა...“**

ამის იქით მეტის თქმა აღარაა საჭირო, თუ რატომ, რა და როგორ. აქ პრობლემაცაა მოცემული და მისი გადაჭრის გზებიცაა ნაჩვენები: სად უნდა იდგეს სადღეისოდ პოეტი, რა საფიქრალით უნდა ფიქრობდეს და რით საზრდოობდეს. არადა, პოეტთა კრებულების ყიდვა მაღაზიებიდან შემცირდა ჯერ კიდევ გასული საუკუნის 80-იანი წლებიდან. ხალხში ნელ-ნელა ამოიძირკვა პოეტური სულისკვეთება.

მაგრამ ლექსებს წერენ და დაწერენ კიდეც! ეს ლექსები კი არ სცდება ასე ვთქვათ „არშიყის“ ფარგლებს. საწადელმიღწეულნი კი იმთავითვე ამთავრებენ ლექსების წერას, ესაოდა გიჟი ხომ არა ვარო და ვინმემ არ გამიგოსო, თუ ოდესმე ლექსი დამიწერიაო. და ეს ტენდენცია საქართველოშია, ჩვენდა სამწუხაროდ. მკითხველიც ამ „ლექსების დამწერთა“ შესაბამისად იქცევა.

მთავრდება ფლირტი, მთავრდება პოეზი, მაგრამ იწყება სექსი!

ძალუმად იოსებ ნონეშვილის შესანიშნავი ლექსი გამახსენდა, რომელსაც უკომენტაროდ დავტოვებ:

**„ო, დაუკვირდი, კარგო, ამ ამბავს**
**ბრძნულია იგი და ძველისძველი:**
**იმ ირემივით შენც ფიქრობ ალბათ...**
**დე, ესე იყოს სურვილი შენი.**
**მხოლოდ იცოდე, იცოდე მხოლოდ,**
**თუ ქებით უფრო გადაირევი,**
**ეგ სილამაზე დაგღუპავს ბოლოს,**
**როგორც დაღუპა რქებმა ირემი“.**

## 4. მიკერძოების პოზიტიური და ნეგატიური შედეგები

ნებისმიერი დონის მკითხველი ირჩევს თავისი გემოვნების შესაფერის მწერალს, ნაწარმოებს, ჟანრს. თავისთავად აქვე ჩნდება მისი პოზიცია - პირუთვნელი თუ ყალბი. პოზიცია იმთავითვე ორგვარია - პოზიტიური ან ნეგატიური, ანუ მკითხველი ამა თუ იმ მწერალს აფასებს ან დადებითად, ან კიდევ უარყოფითად, შეფასების კრიტერიუმი კი არის ან ობიექტური ან ტენდენციური.

ასე მაგალითად, ჩემს გემოვნებას აკმაყოფილებს ჟიულ ვერნი და არ აკმაყოფილებს ვიქტორ ჰიუგო. ჟიულ ვერნის მიმართ ჩემი პოზიტიური დამოკიდებულება გამოვხატე მხოლოდ და მხოლოდ ჩემეული კრიტერიუმით, ანუ ამ შეფასებაში მე ვარ ან ობიექტური, ან ტენდენციური, ე.ი. ჟიულ ვერნის შეფასებაში ან ვარ პირუთვნელი (ჩემივე გაგებით), ან რაღაც გარემოების გამო ვანიჭებ მას უპირატესობას.

ჩემი შეფასება შემიძლია თავს მოვახვიო სხვას, რომელმაც შესაძლებელია ჩემი გავლენით მართლაც არჩიოს ჟიულ ვერნი წასაკითხად, მაშინ, როდესაც, დასაშვებია მის სულიერ განწყობილებას ესადაგებოდეს ვიქტორ ჰიუგო, უფრო მეტიც, არ ესადაგებოდეს ჟიულ ვერნი. ამით მსურს აღვნიშნო ის, რომ მკითხველები ძალაუნებურად ერთმანეთზე ზემოქმედებენ. შესაბამისად ქმნიან მკითხველთა წრეს, რაც იმთავითვე საჭირო და აუცილებელია, თუნდაც იმ ნეგატიური პოზიციის გამოსახატავად, რომელიც ნაკარნახევი იქნება ამა თუ იმ შინაგანი რწმენით. იმთავითვე მე, როგორც მკითხველი, ძალაუნებურად ჩემი პოზიციის დაფიქსირებით პასუხს ვაგებ იმ ჟიულ ვერნის წინაშეც და იმ ვიქტორ ჰიუგოს წინაშეც კი, რადგან თუ გადავწყვიტე ჩემი მოსაზრება გამოვთქვა მათ შესახებ, მაშინ თუნდ ჩემი უარყოფითი შეფასებით მართალი უნდა ვიყო საკუთარ თავთან. ამ შემთხვევაში შეიძლება ვინმემ დამიჯეროს, მაგრამ ეს არ იქნება რეალური სახე საზოგადოებისა, ეს იქნება მხოლოდ და მხოლოდ ნიღაბი, რომელიც ნეგატიურად მოქმედებს მწერალზე, დრო კი ყველაფერს გადაალაგებს, თავ-თავის ადგილას.

სადღეისოდ მკითხველის მისიაც დამახინჯებულია და აი, როგორ:

მომწონს, მაგალითად, ოსკარ უაილდი. ამას ხმამაღლა ვამბობ და ვურჩევ ყველას შეიძინოს მისი წიგნები. ამ დროს საკუთარ თავში ხომ ვიცი, რომ ოსკარ უაილდი არ მომწონს, არ მომწონს კი არა, ვერ ვიტან და ვერც ვგებულობ. მაგრამ საჭიროა, რომ ასე ვილაპარაკო. მაშინ, როცა პროსპერ მერიმეს შემოქმედების კითხვით ვერ ვძღები და სხვებს მოვუწოდებ, არ წაიკითხონ ეს მწერალი, არაფრად არ ვარგაო. საქმე მაინც დამახინჯებულ პიარამდე მიდის. განა თუ ის, რომ ამ მწერლის ეს სტილი მომწონს, იმ მწერლის თემა, კიდევ იმისი სიუჟეტური ქარგა და კიდევ იმისი ის სიტყვიერი წყობაო. არა!.. არ ვარგაო, და ამით მთავრდება მსჯელობა, თუ რატომ არა ეს და რატომ მაინცა და მაინც ის.

სწორედ რომ მკითხველიდან დგინდება ის კომისიები, რომლებიც ამა თუ იმ პრემიის მინიჭების უფლებამოსილებას იღებენ საკუთარ თავზე. ჩვენში ხომ ეს, როგორც ყველაფერი დანარჩენი, შინაური გარიგებებით წყდება - ანუ, „მინდა მე, მომეცი შენ, იმას არავინ ეკითხება, კიდევ ის განზე დარჩება“. ყოველ შემთხვევაში „საბას“ ლიტერატურულ კონკურსზე დღემდე ასე ხდება.

და დავუბრუნდეთ ნობელის პრემიას -

ნობელის კომიტეტიც მკითხველთაგან შედგება, რა თქმა უნდა, გაცილებით მაღალი დონის მკითხველებისაგან და თავიანთი საქმის პროფესიონალებისაგან, შედარებაც რომ არ შეიძლება ქართველებთან (ჩვენდა სამარცხვინოდ და სამწუხაროდ). მაგრამ ტენდენციურობა იქაცაა, მაგრამ ეს ისე კეთდება, რომ არავინ იჩაგრება ამით, არც მწერალი და არც მკითხველი. აი, თუნდაც -

ჭაბუა ამირეჯიბი „დათა თუთაშხიას“ გამო არაერთგზის იყო წარდგენილი ნობელის პრემიაზე, მაგრამ, როგორც ცნობილია, ეს პრემია არც ერთხელ არ იქნა მინიჭებული მისთვის. მიზეზების ჩაძიება რომ დავიწყოთ, შორს წაგვიყვანს, მაგრამ ალბათ მაინც შორს გავარდნილი ავტორობის სათუოობის ხმა ნობელის კომიტეტამდეც მივიდოდა; და მეორეც, ალბათ კომიტეტმა თავი იმიტომ შეიკავა, რომ ნაწარმოებში მიუხედავად თავისი ზოგადკაცობრიული ჰუმანიზმისა, მაინც ამოიკითხეს ძალადობის აპოლოგია ქვეტექსტით, და რა თქმა უნდა, ეს ასეცაა. არაფერს ვიტყვი პირველ ვერსიაზე, ამის თაობაზე მომავალმა ილაპარაკოს, თუმცაღა ჩემთვის, როგორც მკითხველისთვის მნიშვნელობა არა აქვს სახელდობრ ვინ დაწერა ეს რომანი, მთავარია, რომ იგი ქართული კულტურისა და აზროვნების საგანძურში შევიდა. იდეალური ნაწარმოები ვინ ნახა, თვით ლევ ტოლსტოისაც უამრავი ლაფსუსები გაეპარა „ომსა და მშვიდობაში“. ეს ბუნებრივია. მაგრამ მივხედოთ ძალადობის ვერსიას:

1965 წელს ნობელის პრემია მიენიჭა მიხეილ შოლოხოვს რომანისათვის „წყნარი დონი“. ვერაფერს იტყვი, საუცხოო რომანია. თუ ზემოხსენებული პრინციპებით მიუდგნენ ჭაბუა ამირეჯიბს, ვითომ მ. შოლოხოვი რაიმეთი უკეთესი იყო ამირეჯიბზე?! იქნებ ავტორის ვინაობა არ დამდგარა კითხვის ნიშნის ქვეშ, ან ძალადობის აპოლოგია ქვეტექსტით გნებავს თუ პირდაპირი ტექსტით არაა მოცემული? მოცემულია და მერე როგორ; ავტორის ვინაობის შესახებ დავა-კამათი იყო და მერე როგორი და მთელი ათწლეულები გრძელდებოდა, სანამ საბოლოოდ არ დაადგინა ლიტერატურათმცოდნეობითმა ექსპერტიზამ შოლოხოვის ავტორობა წიგნზე და ამის შემდეგ მიენიჭა სწორედ ხსენებული პრემია მას.

ფული ვის არ სჭირდება და მითუმეტეს ბევრი ფული, მაგრამ სიტყვაზე რომ ვთქვათ, რა მოგებას მისცემს განსაკუთრებულს ჭაბუა ამირეჯიბს ნობელის პრემია?!

ერთია, რომ გაიზრდება მისი შემოსავლის წყარო. ახლა აღარაა ის პოლიტიკური სისტემა, რაც შოლოხოვის და თუნდაც ამირეჯიბის დროს იყო, ათასნაირ ფონდში რომ გადაარიცხვინებდნენ კუთვნილ თანხებს და „მშრალზე“ დატოვებდნენ ფაქტიურად, თუმცაღა ჩვენი უმწიფარა ხელისუფლების შემხედვარე ის კომუნისტური წყობაც ანგელოზად მოგეჩვენება. ასევე იყო წარდგენილი ნობელზე ოთარ ჭილაძე რომანისათვის „აველუმი“. მერე რა, რომ პრემია ვერ დაისაკუთრა და ვერ გახდა პირველი ქართველი, ვინც აიღებდა მას, მაგრამ სამშობლოში სახელი მაინც დიდი რამაა მწერლისთვის ამქვეყნად.

მე თუ მკითხავთ, ნობელის პრემია თუ ვინმეს ჭირდებია როგორც ეკონომიკური თვალსაზრისით, ასევე მსოფლიო მხარდაჭერის მხრივ, რათა დაცული ყოფილიყო მისი რეპუტაცია, ეს გრიგოლ რობაქიძე იყო...

ვითომ არ ეკუთვნოდა?

ან რატომ არ ეკუთვნოდა, თუ არ ეკუთვნოდა?

ჰიტლერისა და მუსოლინის გამო?

თუ ამ კრიტერიუმებით მივუდგებით საკითხს, განა რომენ როლინს ეკუთვნოდა ნობელის პრემია, ან პაბლო ნერუდას, ან ერნესტ ჰემინგუეის, ან სულაც მიხეილ შოლოხოვს?! რაღაც პერიოდში ხომ ისინი სულ ყველანი კომუნისტურ იდეოლოგიას ემსახურებოდნენ. რა სხვაობაა ნაციზმსა და კომუნიზმს შორის?! პრინციპული არაფერი, მიზანი ორთავესი ერთი იყო. გრიგოლ რობაქიძეს სწამდა სულით ხორცამდე ქართული რასის ფენომენი.

ვითომ არ დაუმსახურებია?!

და რისთვის - „გრაალის მცველნი“, „ქალღმერთის ძახილი“, „ჩაკლული სული“ რითაა რომელიმე ნობელიანტზე ნაკლები, თუ არა მეტი?!

იგი თავისი მნიშვნელობით ევროპაში ჯერ კიდევ XX საუკუნის 20-იანი წლების ბოლოდან მკვიდრდება. მასთან მეგობრობენ ევროპასა და მთელს მსოფლიოში სახელგანთქმული მწერლები თომას მანი და შტეფან ცვაიგი. ერთი შეხედვით ეს პრემია გარანტირებული უნდა ყოფილიყო მისთვის, მაგრამ... აი, ეს „მაგრამ“ თამაშობს გადამწყვეტს როლს, სადაც მიკერძოება დამღუპველია ერთისთვის, სხვისთვის კი მალამოა ზედგამოჭრილი ანალოგიური მსოფლიო მხარდაჭერის სახით. რა თქმა უნდა, აქ შური არაფერ შუაშია - 1933 წელს ნობელის პრემია მოანიჭეს ივან ბუნინს, მასაც ემიგრანტს, საბჭოეთიდან გაქცეულს. ეს ჟესტი იყო უპირველეს ყოვლისა პოლიტიკური და მსოფლიო თანაგრძნობის ნიშნად. „გველის პერანგის“, „ლამარას“, „ქართველი ასული მეგის“ ავტორს არავინ გაუწია მხარდაჭერა.

ერთიც ვთქვათ, მართალია, გემოვნებაზე არ დავობენ, - მაგრამ რატომ მაინცა და მაინც ბუნინი და არა გორკი? ვითომ გორკი რაიმეთი ჩამოუვარდებოდა ბუნინს?

არაფრით! დავსძენ და იმასაც ვიტყვი, რომ გორკიც იყო თითქმის მთელი 20-იანი წლები (საბჭოთა ხუნტის დამყარების შემდეგ) ემიგრაციაში და სწორედ რომ პოლიტიკურ ემიგრაციაში. მაქსიმ გორკის არ სჭირდებოდა მხარდაჭერა, მისი სამშობლოში დაბრუნებაზე ერთი თანხმობაც და მთელი დედამიწის 1/6 ნაწილი მის ფეხქვეშ გაეგებოდა, როგორც მოხდა მოგვიანებით. აი, ბუნინს კი მართლაც სჭირდებოდა ეს მხარდაჭერა. მაგრამ არავისზე ნაკლებ, იქნებ უფრო მეტადაც გრიგოლ რობაქიძეს სჭირდებოდა ეს თანადგომა და მსოფლიო აღიარება. ვინც მიიღო ეს პრემია, ყველამ დაიმსახურა დიდი შრომისა და შემოქმედებითი ტიტანობის გამო. ერთია, რომ ეჭვები მიღრღნის გონებას ტენდენციური მიკერძოების გამო. ეს არის და ეს.

კონსტანტინე გამსახურდიაც გაოცებული იყო, ჰემინგუეის როგორ მიეცით ნობელის პრემია „მოხუცი და ზღვის“ გამოო. ეს საკითხი პირადულია და სუფთა ადამიანური თვალსაზრისით გასაგებია.

## 5. სადღეისო მდგომარეობა ქართული მწერლობისა

საქართველოში, როგორც ყველაფერი, ისე მწერლობაც განიცდის კრიზისს, რადგან „ყველაფერში“ მწერლობაც შედის. თანდათანობით თითზე ჩამოსათვლელნი დარჩნენ ისინი, ვინც გასულ საუკუნეში ასე თუ ისე გაითქვეს სახელი და დამკვიდრდნენ როგორც მწერლები და პოეტები. სამაგიეროდ, როგორც ყოველთვის, მომრავლდნენ ახალთაობის მწერლები, რომელთაგან აბსოლიტური უმრავლესობა და განსაკუთრებით მამაკაცები მისდევენ პროზას, რადგან იგი უფრო სარფიანი გამოდგა მატერიალური თვალსაზრისით. მოთხრობას და რომანს ადვილად უპოვნიან გამოყენებას, წიგნთან ერთად მასზე ფილმებს იღებენ, ან ალტერნატიულ თეატრებში დგამენ სპექტაკლებად (სამწუხაროდ, აკადემიური თეატრებისთვის, თითო-ოროლა მოდური მწერლის გარდა, მწერლებისთვის კარი დახურულია, რადგან თეატრის მესვეურები კლასიკაზე მუშაობენ და თანამედროვე ქართულ მწერლობას არ სწყალობენ). აგრეთვე შემოსავლის წყაროდ გამხდარია სხვადასხვა კონკურსები, სადაც წამყვანი ადგილი პროზას ენიჭება. იგივე მოსაზრებით, რაც უკვე ზემოთ აღვნიშნე, ქართველ მამაკაც მწერალთა აბსოლიტური უმრავლესობა ლექსებს აღარ წერს, რადგან ლექსს სხვა გასაქანი არა აქვს, თუ არა მაღაზიის წიგნის თაროზე გაყვითლებისა. უკეთეს შემთხვევაში, თუ ბედი და პროდიუსერი მოწყალე იქნება, ერთ-ერთ რომელიღაც უხეირო სიმღერას ტექსტად დაედება და ვიღაც მომღერლადწოდებული ჩაწერს ფონოგრამაში და კომპიუტერი იმღერებს და შემდეგ კლიპსაც მიაყოლებენ ზედ. მაგრამ, როგორც მოგეხსენებათ, შოუ-ბიზნესი თითქმის არ სწყალობს ქართულ პოეზიას. მათთვის უმჯობესი და მომგებიანია ერთი-ორი გარითმული სტრიქონი ან თვითონვე შეთხზან, ან სადღაციდან მოიპარონ, ვიდრე პროფესიონალ პოეტებს გადაუხადონ ჰონორარი. და ესეც კი აღარ იქმნება საერთოდ ამ ბოლო დროიდან. მუსიკაც რომ მუსიკაა, იმასაც ევროპული ესტრადიდან იპარავენ და გაიძახიან ასეთი და ასეთი მომღერალ-შემსრულებლები გვყავსო. წავიდა დრო პეტრე ბაგრატიონ-გრუზინსკისა.

ეს საშინლად მტკივა.

ქართული პოეზია სამწუხაროდ ძარღვგამოცლილი შეეგება XXI საუკუნეს, ყოფილა პერიოდები, როდესაც საქართველოში პოეზია საერთოდ აღარ არსებობდა და არ იწერებოდა ლექსები, მაგრამ ქართული პოეტური სული ფენიქსივით აღსდგებოდა და თავის მძლავრ სიტყვას ამბობდა. რუსთველის შემდეგ დიდი პაუზა გაკეთდა პოეზიაში, მხოლოდ მეფე-პოეტებმა აღადგინეს ეს ტრადიცია ჩვენს რეალობაში, რასაც დავით გურამიშვილის ცეცხლში გატარებული სიტყვა მოჰყვა და მის შემდეგ დღემდე „რეკს ივერთა ჩანგი“.

დღესაც იგივე პრობლემა დაგვიდგა, უფრო მძიმე და კაბალური, ვიდრე მონღოლთა შემოსევის დროს იყო. გზისგასაყართან დგას დღეს ქართული პოეზია, ერთი გზა გალაკტიონის გზაა („დავდგეთ იქ, სადაც ქარიშხალია და სისხლიანი დგას ანგელოსი, ახალ გრიგალებს ვსწირავთ სიცოცხლეს, ჩვენ, პოეტები საქართველოსი“), მეორე კი დადუმებისა („როცა ზარბაზნები ქუხს, პოეზია დუმს“). იქნებ ამ ზარბაზნების გრიალში ძმები გრიმებივით „ჩექმებიანი კატის“ ზღაპარი გვეწერა. სხვა გამოსავალი აღარა აქვს მწერლობას, ილიასავით საადგილ-მამულო ბანკს ვეღარ დააფუძნებს, ვერც წერა-კითხვის განმავრცელებელ საზოგადოებას, ვერც გაზეთ „ივერიას“ დააარსებს, დღეს სხვა დროა. პარტია და საზოგადოება რომ შექმნან, სიცილს დააყრიან, გაგიჟდაო და ისეთ ჭორებს მოიგონებენ, თავადაც შეგრცხვება. ვერც გალაკტიონივით გახდები რევოლუციის ტრუბადური, თავი მოგეჭრება საშვილთაშვილოდ, და მიტომ, ესაოდა ნაციონალ-უმწიფარებს უმაგრებსო მხარს და სტვენით გაგისტუმრებენ კულისებში. რომ დადუმდე, ვის დაუდუმდე და ვის უნდა შეაყარო ნაცარი თვალში?!

მწერლობა უმაქნისი...

პოეზია უვარგისი...

ყოველ შემთხვევაში ძალა, რომელიც დააბალანსებს ეროვნულ პოტენციალს და მიმართულებას მისცემს, ყოველ შემთხვევაში სადღეისოდ არ ჩანს. ხოლო ვინც ჩანს, ისინი ან მოდას აყოლილი მწერლუკები არიან, რომლებიც მოდასთან ერთად შეიცვლებიან, ან კიდევ სწორი რაკურსიდან არ ჩანან.

ამიტომ საჭიროა პროფესიონალიზმი და არა ორიგინალობა. სწორედ რომ პროფესიონალიზმი გაიყვანს ნიჭიერებას ორიგინალურ გზებზე. ასე იყო ოდით, ასეა ახლაც და ასე იქნება მომავალშიც.

და კიდევ გალაკტიონი, მივუგდოთ მას ყური:

**„ჩვენ გამოვშორდით იმ ბურუსებს,**
**იმ თვალახვევას,**
**და არ ვეძლევით უსარგებლო**
**თავბრუდახვევას,**
**მხოლოდ ეს არის:**
**უსარგებლო როდი იქნება,**
**თუ პოეზიით განიცდება და შეიგნება,**
**თუ მიეჩვია სმენა კეთილ-ახმოვანებას,**
**ამით ლექსს ვერც დრო დააბერებს,**
**ვერ ხმოვანება,**
**უნდა იშრომოს ახალგაზრდამ, უნდა ილონოს,**
**იმ ხმოვანების ძლიერება რომ შეიგონოს.**
**მაშინ გადმოშლის, ლირიკისთვის**
**რაც ეგულება,**
**ჩვენი ეპოქა, მისი დიდი ღირებულება“.**

პროზაც ვერ არის უკეთეს მდგომარეობაში. ქართული თანამედროვე პროზაული ნაწარმოებები გაჯერებულნი არიან უხეში უხამსობით. გამართლებასაც პოულობენ ავტორები - მოთხოვნილებაა ასეთიო.

რომ არ ყოფილიყო მოთხოვნილება, როგორ შემოქმედებას აჩვენებდნენ?

ან თუა მოთხოვნილება, ვისი ბრალია, რომ ასეთი მოთხოვნილება წარმოიშვა მკითხველში?

დაწერე რამე ხეირიანი და მან თავზე დაგახია წიგნი, გინდა თუ არა უხამსობა დამიწერეო?

პასუხი ერთია: ამ „მოთხოვნილების“ უკან ისინი მალავენ თავიანთ უილაჯობას, უფრო მეტიც - თავიანთ უწიგნურობას.

შენ, ქართველო მწერალო, შენ ჩამოაყალიბე ეს ახალგაზრდობა ასეთად!

შენმა უხამსობამ და ბილწსიტყვაობამ მწერლობაში გამიბინძურა მკითხველი. მე აღარ წამიკითხავს, რადგან მისთვის ჩემი ენა უცხო იქნება, „ქურდულ-ბლატნოი“ ჟარგონებით არ იქნება ავსებული იგი, და მიტომ!

მე ბრალს გდებ შენ, ახალგაზრდა თაობის გარყვნაში და ამის სანაცვლოდ „საბას“ პრემიად ჩათვლილი იუდას ოცდაათ ვერცხლად სამშობლოს უღვთოდ გაყიდვაში!

## 6. ისევ ნობელის პრემია

დღევანდელი პოეტ-პროზაიკოსებისთვის ნობელის პრემია ეს არის ზეცაში ფრენა ანგელოზად, და არა ანგელოზივით.

იყო დრო, იყვნენ მგოსნები, რომლებიც მიელტვოდნენ ამ ჯილდოს და სინამდვილეში მატერიალური პირობების გაუმჯობესების გარდა სხვა რამ ხეირი არ ჰქონდა. ახლა კი ყველაფერი თავდაყირა დადგა. სამწუხაროდ დღევანდელ თბილისელ-მოდურ მწერლუკებს არ აწუხებს ეკონომიკური პრობლემები, არც სახელ-დიდების ძიება სჭირდებათ, მორთმეული აქვთ ლანგარზე. მსოფლიო სახელ-დიდება სჭირდებათ მხოლოდ, რომ განიმტკიცონ ის საეჭვო რეპუტაცია, რაც მათ სამშობლოში გააჩნიათ.

ღმერთმა მიხედოს, იქნებ წყალობის თვალით გადმოხედოს ნობელის კომიტეტმა და ამჯერადაც მაინც, -

**აკაკი-გამოვლილი,**
**ვაჟა-გამოვლილი,**
**გალაკტიონ-გამოვლილი,**
**გოგლა-გამოვლილი,**
**ტიციან-გამოვლილი,**
**პაოლო-გამოვლილი,**
**ლადო-გამოვლილი, -**

ვიღაცას ბედმა გაუღიმოს და მიენიჭოს ეს პრემია. გულწრფელად გავიხარებ მეც!

**მანუჩარ კაჭახიძე,**
**2007 წლის აგვისტო**













შარშანწინ, ენკენისთვეში (რიცხვი ზუსტად არ მახსოვს) დელისის მეტროსთან ორი ჩინელი გამოჩნდა. მხრებზე გულდაგულ გატენილი ნეილონის ყვითელი ტომრები მოეგდოთ, ერთმანეთს ჩინურად (ფხენიანური აქცენტით) ელაპარაკებოდნენ და წამდაუწუმ იცინოდნენ.

სიცილის დროს, ეტყობა, ისედაც წვრილი თვალები მთლიანად ეხუჭებოდათ და სანამ სიცილს არ დაამთავრებდნენ, ნაბიჯს წინ (და რასაკვირველია, არც უკან) არ დგამდნენ.

ერთი სიმაღლისანი იყვნენ. ორივეს ერთნაირად ეცვა - დაჭმუჭნილი სატინის ლურჯი კვართები და მოკლე, მომწვანო ხამის შარვლები. შიშველი ფეხები ხის ქოშებში წაეყოთ.

დაკვირვებული თვალი ამ ორი ჩინელის ერთმანეთისგან გარჩევას მაინც მოახერხებდა. ერთი, არც თუ იოლად შესამჩნევი ნიშნის მიხედვით, წინ მომავალს საულვაშის გასწვრივ ხალი ჰქონდა.

ორივენი მამაკაცები იყვნენ (ამ ნოველის ავტორი მკითხველს არაფერს ამადლის, მაგრამ სამართლიანობა მოითხოვს აღინიშნოს, რომ ავტორმა ტვირთის ქვეშ გადრეკილი, ერთნაირად წაკუზული სტუმრების სქესის დადგენა გულდასმით გარეგანი დათვალიერების შემდეგ მაინც შეძლო).

რომელი იყო ჩინელთა შორის ასაკით უფროსი, ხალიანი თუ უხალო? ამ სფინქსის გამოცანის ამოხსნა ავტორისთვის ბოლომდე საიდუმლოდ დარჩა.

ერთი რამ კი უდავოა. თუ ამოიცნობდა, რომელი იყო ასაკით უფროსი, მერე უმცროსის დადგენა აღარ გაუჭირდებოდა, მაგრამ კაცმა რომ თქვას, ორი ერთ თარგზე გამოჭრილი ჩინელის რაღაც ხუთი-ექვსი წლით (გინდაც, 10 იყოს) ასაკობრივ განსხვავებას ნოველის სიუჟეტის განვითარებისთვის გადამწყვეტი მნიშვნელობა არცა აქვს.

ჩინელებმა ხის ქოშების პაკა-პუკით, ღიმილ-სიცილით აუარეს გვერდი თავიანთ სევდიან ფიქრებში ჩაძირულ ინდმოვაჭრე ლტოლვილებს და მეტროს ზედა ჩასასვლელთან (ანუ, რაც იგივეა - ამოსასვლელთან) ქუჩის განაპირას გასაოცარი სინქრონულობით ჩამოიტომრეს. ფაცხა-ფუცხით გახსნეს, იქვე უწესრიგოდ მიყარ-მოყარეს ჩინური მაისურები (აწ და მარადის ჩინელთა გასაყიდ საქონელს მეტი განმარტებისთვის სიტყვა „ჩინურს" აღარ დავუმატებ), მარაოები, სათამაშო დურბინდები, პატარა ბალიშები, ლამაზად მოხატული რეზინის ბურთები, იეროგლიფებიანი ქუდები და გამჭვირვალე, ფერად-ფერადი საწვიმარი ლაბადებიც კი.

- ჰან ფქი ჯუნ სქონ ფით ჩუნ ჰქაი! - სხაპასხუპით მიაყარა ხალიანმა უხალოს და ისე ბედნიერ-გულიანად შესცინა, თითქოს მათი საქმე სულ მცირე ათასი დოლარით წინ იყო.

- თან ჰფი! - სიცილითვე უპასუხა მეგობარმა.

ვინც კი ახლომახლო ჩაივლიდა, ჩინელი ვაჭრები ერთადერთ სიტყვას ესროდნენ:

- ხუთი!

თუ მოქალაქე შეჩერდებოდა და ჩინური საქონლით ზრდილობისთვის მაინც დაინტერესდებოდა, ორივენი მორიგეობით იღებდნენ რაც ხელში მოხვდებოდათ და თავაზიანი ღიმილით იმეორებდნენ:

- ხუთი! ჰაი, ხუთი! ხუთი! ხუთი!

შთაბეჭდილება ისეთი რჩებოდა, რომ ჩინელებმა ქართულად „ხუთის" გარდა სხვა სიტყვა არ იცოდნენ.

ხუთ-ხუთ ლარად ჰყიდდნენ ყველაფერს - მაისურებს, მარაოებს, სათამაშო დურბინდებს, ჩინელი მზეთუნახავის გამოსახულებიან ბალიშებს, რეზინის ბურთებს და ფერად-ფერად საწვიმარ ლაბადებსაც კი.

ვერ გეტყვით, მყიდველი თბილისისათვის იმ დროს უჩვეულო ჩინურმა საქონელმა მიიზიდა თუ ყოვლისშემძენმა ხუთლარიანმა ვაჭრობამ.

ყოველ შემთხვევაში, მუშტარი მოხვავდა.

მუშტარს, ბუნებრივია, პატრულიც მოჰყვა.

სად იყო და სად არა, ვეებერთელა, უულვაშო პოლიციელი ზროდ აღიმართა ერთი ციცქნა ორი ჩინელის წინაშე.

- ხუთი! - შეჰღიმილა ხალიანმა ხელკეტიან სტუმარს.

პატრულმა ჯერ საქონელში ურია ხელკეტი ისე, როგორც ფლამუშს ურევენ ხოლმე დუღილის დროს, მერე სიცილით არაქათგაცლილ ჩინელებს შეხედა.

- ვინ ხართ? აქ საიდან გაჩნდით?!

- ხუთი! - მიუგეს ჩინელებმა და გაიცინეს.

- საბუთები! ვაჭრობის ნებართვა! - პატრულური კატეგორიულობით ასწია წარბი წესრიგის დამცველმა.

- ხუთი!

ერთმანეთს გადახედეს და შემკრთალად, საწყლად გაიცინეს ჩინელებმა.

ზორბა პატრული მანქანაში მჯდომ თანამებრძოლთან მივიდა.



# ჩინელები

- ვერ გავაგებიე ამ კვდარძაღლებს ვერაფერი. ჩინელები არიან.

- უთხარი, ამ შუა ქუჩაში რო გაგიშლიათ, თქვე კაი ხალხო, საქონელი, ზევით ეიწიეთ ტროტუარზე, გაზონთან-თქო.

- რა ენაზე ვუთხრა. რას გლახაობ, თუ ძმა ხარ, შენ.

- მაშინ მოკიდე ხელი და შენ ოუტანე, ზევით, ტროტუარზე, კიბესთან. რა ვქნათ აბა, ჩინელები არიან, შარში არაფერში ჩავვარდეთ.

პატრული შემობრუნდა, ჩინური საქონელი ელვის სისწრაფით, ერთმანეთში წაგრაგნა, მიიტანა და ტროტუარზე დადო.

- ხუთი! ხუთი! - იცინოდნენ ჩინელები.

შუადღისას უხალო ჩინელი სადღაც გაქრა, დაახლოებით ერთ საათში მობრუნდა სიცილით. ჯერ ეს ერთი სიცილი რიგიანად არ დაემთავრებინათ, რომ ხალიანმა უხალოს ჩინურად, როგორც ჩანდა, ახალი სასაცილო რამ უთხრა და ორივენი ახალი ძალით აჩინელ-ახარხარდნენ.

მერე სიცილ-სიცილით გაიქც-გამოიქცნენ. საპარიკმახეროს უკან ჭადრის ხესთან მიდგნენ და დიდხანს კოლექტიურად ფსამდნენ. თანაც თავიანთ პაწაწკინტელა ჩინურ მამაკაცურ ღირსებებზე პატატვრანი ხელები ჰქონდათ წაფარებული.

რომ მობრუნდნენ, გასაყიდი ავლადიდება განახევრებული დახვდათ.

სანამ ჩინელები ფსამდნენ, ქურდბაცაცებს და ციგან-მკითხავებს დრო ეხელთათ. ფეხზე დაეკიდათ ქართული სტუმართმოყვარეობის მრავალსაუკუნოვანი ადათი; ჩინური საქონელი ჩანთებში ჩქარ-ჩქარა ჩაეტენათ და მეტროში ჩაქცეულიყვნენ.

ჩინელებმა ამაზეც ბევრი იცინეს.

მეორე დღეს ჩინელებმა ისევ ამოჩემებულ ადგილას ქუჩაში გააჩაღეს ვაჭრობა.

პატრულმაც არ დააყოვნა.

სტუმრები ისევ ტროტუარზე გაზონთან აბარგვაჭრეს, ხოლო ხალიანი მანქანაში ჩაისვეს და პოლიციის არცთუ მთლად ქვეგანყოფილებაში მიიყვანეს.

რა კითხვები არ მისცეს (მათ შორის, რუსულ და ინგლისურ ენებზეც), საიდან არ შემოუარეს პოლიციის შეუმცდარმა გამომძიებლებმა ჩინელს, მაგრამ მისგან გულიანი სიცილისა და „ხუთის!" მეტი ვერაფერი გაიგეს.

ბოლოს ქაღალდი დაუდეს წინ, ხალიანმა ვერტიკალურად შვიდი ურთულესი იეროგლიფი მოხაზა და იეროგლიფებსდაჩერებულ პოლიციელთა მოწყენილ სახეებს რომ შეხედა, გულიანად გაიცინა.

რა ექნათ პოლიციელებს, „დამნაშავეს" უხეშად როდი მოექცნენ, ხალიანი უხალოსთან მოაბრუნეს და გამომშვიდობებისას ზრდილობიანმა მასპინძლებმა ჩინელებს ხელიც კი ჩამოართვეს.

გიორგობისთვის ბოლოს თბილისში ქარწვიმიანი დღეები რომ დაიწყო, ჩინელებმა ქუჩის პირას პროფესორ თავდუმაძისგან მომცრო საკუჭნაო დაიქირავეს.

საკუჭნაო პროფესორს ფოტოსაქმისთვის ჰქონდა ადრიდანვე ჩაფიქრებული და ისე პატარა იყო, რომ თაგვი კუდს ვერ მოიქნევდა. თუმცა, სხვა საკუჭნაოებთან შედარებით ის უპირატესობა ჰქონდა, რომ ფანერის კარი ქუჩის მხარეს ეღებოდა.

ჩინელებმა მალე ფანერის კარი რკინის კარით შეცვალეს და ფოტოსაკუჭნაოს ღია კარი ვიტრინად გამოიყენეს. ხოლო თვითონ როგორ ეტეოდნენ ამ ციცქნა ჯიხურში, ეს ცალკე ნოველის თემაა, ძვირფასო მკითხველო.

თოთხმეტ დეკემბერს ჩინელებმა საკუჭნაო-ჯიხურის წინ ტროტუარზე ნახვრეტებიანი კასპური აგურ-ცემენტი მოზიდეს და კედლის შენება დაიწყეს.

ჩინელებს შესაშური სისწრაფით ამოჰყავდათ კედელი.

გამვლელები იცინოდნენ, ჩინელები - ამჯერად არა.

მოვიდა პატრული.

ჩინელებს თავიანთი მწირი ქართული ლექსიკონისთვის ერთი მაგიური სიტყვა „დიახ" მიემატებინათ.

პოლიციელთა მკაცრ ახსნა-მოთხოვნაზე იმის შესახებ, რომ აქ კედლის ამოყვანა არ შეიძლება, ისინი გაფუჭებული პატეფონივით „დიახს" იმეორებდნენ.

ბოლოს, ილაჯგაწყვეტილმა პოლიციელებმა ნახევრადაშენებული კედლის დანგრევა დაიწყეს.

სასაცილო-სავალალო სურათი იყო. ერთი ბოლოდან ანგრევდნენ პოლიციელები, მეორე ბოლოდან ჩინელები „დიახ, დიახ" ყვიროდნენ და სწრაფად აშენებდნენ.

მერე ვიღაც შავჰალსტუხიანი მოვიდა.

- მოეშვით, ტელევიზიის სასაცილოდ ნუ გავიხდით თავს, საელჩოში დავრეკავ და თვითონ დაანგრევენო, - დაუგდო პოლიციელებს და „ჯიპში" მოკალათდა.

მომდევნო კვირებში, რასაკვირველია, ჩინური კედლისთვის ხელი არავის უხლია.

ბარემ აქვე გაუწყებთ, რომ ხალიან ჩინელს „ჩოან ლაი" ერქვა, უხალოს კი „ჩოან ჰლაი".

მარტი დაიწყო თუ არა, ჩოან ჰლაი მასთან სტუმრად ჩამოსულ თერთმეტ ჩინელთან ერთად სოფელ ლომისჭალას მიადგა. ჩოან ლაიმ კი დანარჩენ შვიდ ჩინელ ნათესავთან ერთად ვაჭრობა განაგრძო.

19 აგვისტოს სახალხო ტელევიზიამ გადასცა სიუჟეტი - „ჩინელები ლომისჭალაში". ჟურნალისტი ამაყად აცხადებდა: მუყაითმა ჩინელებმა ლომისჭალაში მზესუმზირის 3, კიტრის 2, პამიდვრის 4, ხოლო ბადრიჯნის 7 მოსავალი მოიყვანესო. სიუჟეტში ჩართულმა ცოცხულვაშა კახელმა სხვათაშორის თქვა: „მაიყვანდნენ სამპირ ბოსტნეულს შვილოსა, რატომაც არა, გამთენიისას გადიან და მთვარე რო შუბისტარს აშორდება, მაშინ გამოდიან ყანიდან. იმ დღესაც ძალით დავსვით სუფრასთან. ჯერ დედმამიშვილის სადღეგრძელო არ დაგველივნა, წამოხტნენ და სულ სიცილ-სიცილით გავარდნენ კარში. გავხედეთ და კეფაზე ირტყამდნენ წიხლებს, ინგრე გარბოდნენ, იმათ ქარიც ვეღარ დაეწეოდათ".

ოქტომბერში ჩოან ლაიმ თავის ამფსონებთან ერთად მეტროსთან პირდაპირ ტროტუარზე სამოვარი დადგა. გამვლელ-გამომვლელს ჩინური ჩაით და ბრინჯის ღვეზელით უმასპინძლდებოდა.

პოლიციელები თან ჩაის სვამდნენ და თან ჩოან ლაის ეხუმრებოდნენ - შენ ნამდვილად შენა ხარ, თუ შენი ძმა ხარო.

ნამდვილად მე ვარო, იცინოდა ჩოან ლაი და დახლში მოფუსფუსე თავისი ძმისკენ ჩოან ჰლაისკენ იშვერდა ხელს.

ამჟამად პროფესორ თავდუმაძის ფოტოსაკუჭნაოსთან დიდი ჩინური უნივერსალური მაღაზიაა, ხოლო, სადაც ჩოან ლაიმ სამოვარი დადგა - დიდი ჩინური რესტორანი.

უნივერსალურ ჩინურ მაღაზიაში დაახლოებით 49 ჩინელი მუშაობს, ჩინურ რესტორანში კი - დაახლოებით 157. აქ სიტყვა „დაახლოებით" იმიტომ გამოვიყენე, რომ ზუსტად თვით ჩინელებმაც არ იციან.

ამასწინათ დელისის მეტროსთან ასეთ სურათს წავაწყდი:

ყოფილ თავადს, ამჟამად გვაროვანთა ნებაყოფლობითი საზოგადოების ნამდვილ წევრს ვამეხ დადეშქელიანს თავისი სახსრებით კანონიერად აშენებულ სილამაზის სალონს და წიგნის მაღაზიას უნგრევდნენ.

ოპერაციას ერთი ბულდოზერი და სპეცნაზი „აწარმოებდა" სეირის მოყვარულ მოქალაქეთა თანდასწრებით.

მებულდოზერე ქვების სროლისა და გინების აკომპანიმენტით მშვიდად განაგრძობდა დაწყებულ საქმეს.

ნანგრევებზე დადეშქელიანი შეხტა და პლაკატი გაშალა.

„ხელები შორს კერძო საკუთრებისაგან!" - ეწერა მუყაოს ქაღალდზე.

თუმცა, ისე, როგორც სხვა პლაკატებმა, არც ამ პლაკატმა იმუშავა. პოლიციელებმა ყოფილი თავადი დადეშქელიანი თავის პლაკატიანად გასწიეს განზე და მისი სალონი მიწასთან გაასწორეს.

თავიანთ „კანონიერ" სავაჭრო ობიექტებთან - მაღაზია-რესტორნებთან გამწკრივებული ჩინელები შესცქეროდნენ ამ სავალალო სურათს და იცინოდნენ.

ქვენა ქარი ჰქროდა.

# ჩინელები ზუგდიდის სადგურში

**ამ ერთი კვირის წინათ სამეგრელოში ჩავედი, მშობლიურ სოფელში. ვითომდა 98 წლის ვადით იჯარით გაცემულ, სინამდვილეში კი, სამუდამოდ გაყიდული თბილისის რკინიგზის სადგურიდან მატარებელს გავყევი. გამთენიის ექვსის ნახევარზე ლოკომოტივი ზუგდიდის სადგურში შეხრიგინდა, ამხელა გზაზე მგზავრობით მგზავრებივით დაღლილმა ერთი ამოიქშინ-ამოიგმინა და გაჩერდა.**

რამდენიმე კაცი სოფლის ავტობუსის მოლოდინში ერთმანეთს გამოველაპარაკეთ. უცებ, თითქოს მიწიდან ამომძვრალიყოს, ჩვენს წინ შარვლის ცალტოტაკაპიწებული, თავის თავზე ორჯერ დიდ ზურგჩანთამოკიდებული ჩინელი დაერჭო და დაიწრიპინა:

**- მესტია? მესტია?**

დიდი მიხვედრა არ უნდოდა, რომ ეს ლიმონისფერი ჩინელი ჩვენსავით მატარებელს ჩამოჰყოლოდა და ახლა მესტიის ავტობუსს ეძებდა.

ერთ-ერთი მიკროავტობუსის მძღოლმა რუსულად აუხსნა, რომ მესტიის ავტობუსი 50 მეტრის მოშორებით დგება, მაგრამ ჯერ არ ჩამომდგარაო.

ვერ გაიგო.

- **მესტია? მესტია?** - აწრიპინდა ისევ და თვალების ფართოდ გახელა სცადა, მაგრამ არაფერი გამოუვიდა.

როგორც იქნა, ხელის, ფეხის, თავის, ტანის მოშველიებით მიასწავლეს ის ადგილი, სადაც მესტიის ავტობუსი უნდა ჩამომდგარიყო და ჩინელმა, რომელიც გიორგი არველაძეზე პატარა ტანისა იყო, ხტუნვა-ხტუნვით გასწია მითითებული ადგილისაკენ.

- **ამ უთენია, აქაც თუ ჩინელს გადავეყრებოდი, არ მეგონა!** - ჩავილაპარაკე ჩემთვის, მაგრამ სადგურის დისპეტჩერმა, რომელიც ჩემგან ორი კაცის მოშორებით იდგა, მაინც გაიგონა.

- **შენ რა გგონია, მარტო თბილისია სავსე ჩინელებით? აქ, იცი, რამდენნი არიან? ქვა რომ ააგდო, ჩინელს დაეცემა თავზე!** - საგანგაშო ინფორმაცია მომაწოდა დისპეტჩერმა.

- **მერე, თუ ასეა, ის დროა, ზუგდიდელები ქვებს კი არა, ლოდებს ისროდეთ ჰაერში!** - ურჩია ადგილობრივებს შუახანს გადაცილებულმა კაცმა, რომელსაც ჰაერში ლოდების სროლის იდეა დისპეტჩერის იმ ნათქვამმა გაუჩინა, ქვა რომ ააგდო, ჩინელს დაეცემა თავზეო.

- **ყოველდღიურად ხუთი ავტობუსი გადის აქედან მესტიაში და მხოლოდ ჩინელებით არის სავსე. მთავრობამ დანიშნა ეს ავტობუსები!** - თქვა ისევ იმ დისპეტჩერმა - **ამათი მაღაზიებით გაივსო მთელი ზუგდიდი!**

**- თქვენ იცით, რა მოხდა სომხეთში?** - დაიწყო ინტელექტუალური გამომეტყველების ჭაღარათმიანმა კაცმა, - **მთელმა სომხებმა პირი შეკრეს, რომ ჩინელების მაღაზიაში არ შესულიყვნენ და არაფერი ეყიდათ. ერთ თვეში იძულებული გახდნენ ჩინელები, რომ სომხეთიდან აყრილიყვნენ და აგერ, ა, საქართველოს მოასკდნენ. უნდა მოვილაპარაკოთ ჩვენც, არ ვიყიდოთ არაფერი ჩინელებისაგან და, ნახავთ, როგორ კისრისტეხით გაიქცევიან აქედან!**

**- ეეჰ, ჩემო ძმაო, სად არის მასე? ხალხი იმ დონეზეა მისული, ოღონდ იაფად რამე იყიდოს და ჩინელს და იაპონელს არ დაეძებს!** - თქვა იქვე მდგარმა სამარშრუტო ტაქსის მძღოლმა.

ეს საუბარი იყო, რომ უცებ, მორიგი ჩინელი მოკუნტრუშდა და ისეთივე წრიპინა ხმით იკითხა:

**- მესტია?**

ძლივს გააგებინეს, საით უნდა წასულიყო.

**- ა, კიდევ ერთი!** - ჩავილაპარაკე.

ამასობაში ჩემი სოფლის ავტობუსიც მოვიდა. წავედი. ავტობუსში ჩინელებზე ლაპარაკი არ ყოფილა.

●

ძვირფასო მკითხველო!

რაც მოგითხრეთ, გამხატვრულებული და გამოგონილი არ გეგონოთ, ასეთი საუბარი მართლაც შედგა ერთი კვირის წინათ ზუგდიდის ავტოსადგურში.

**საქართველოში ჩინელები დღითი დღე რომ მრავლდებიან და ჩვენს მიწა-წყალზე უფრო და უფრო იკიდებენ ფეხს, ეს შეუმჩნეველი უკვე არავისთვის არის. ჩინელებმა იყიდეს ყველა და ყველაფერი, რისი ყიდვაც შეიძლებოდა, თბილისის ცენტრში სოლიდური ფართებით, მაღაზიებითა და ქვების ობიექტებით დაწყებული, სამეგრელოს მივარდნილ სოფელ ლიაში ხის გადამამუშავებელი საამქროთი დამთავრებული!**

ერთი წლის წინ ერთი-ორი ჩინელი დააბოტებდა რუსთაველის გამზირზე. ცოტა ხანში მომრავლდნენ და მეტროს სადგურებთან იაფფასიანი სათვალეებით, ჩუსტებითა და ბიჟუტერიით ვაჭრობა დაიწყეს. კიდევ ცოტა ხანში მათი რიცხვი უფრო გაიზარდა და ქუჩის ვაჭრუკანა ჩინელები მაღაზიების მეპატრონეები გახდნენ. დღეს უკვე იმდენი არიან, ქართველებს ჯერ ვერა, მაგრამ საქართველოში მცხოვრებ სხვა ეროვნების წარმომადგენლებს კი სჭარბობენ.

**საინტერესოა, ამ ქვეყანაში, სადაც ქართველ კაცს გასაქანი არა აქვს, რომ მცირე ბიზნესი და მეწარმეობა წამოიწყოს, როგორ მოახერხა ამდენმა ჩინელმა სამეწარმეო საქმიანობის უფლების მოპოვება, მაღაზიებისა და რესტორნების გახსნა და ქართველების მოსამსახურეებად დაყენება?**

> **ჩინელებს**
> **აქ სიცოცხლეს**
> **აუ, რა სჯობს,**
> **ღმერთო,**
> **სულ აქ დამარჩინე,**
> **ქართველებო,**
> **გაუმარჯოს,**
> **საქართველოს**
> **გადამრჩინელს.**
>
> ჯანსუღ ჩარკვიანი

თუმცა, რა გასაკვირია, საქართველოში ხომ, **ქართველების გარდა,** ყველას უფლებებს იცავენ, ეროვნული უმცირესობები არიანო. **ალბათ, ქართველების უფლებებს მაშინ დაიცავენ, როცა ქართველი საქართველოში ეროვნული უმცირესობა გახდება, ამ საბედისწერო დღეს კი დიდი დრო არ გვაშორებს!!!**

საქართველოდან 2 მილიონამდე ქართველია გასული. 3 მილიონი სულ ვართ, ანუ მილიონზე ცოტა მეტნიღა დავრჩით საქართველოში ქართველები. დანარჩენი სომხები, აზერბაიჯანელები, რუსები, თურქები, ჩინელები არიან. სახლდებიან და შენდებიან ჩვენს ნასახლარებზე.

შაჰ აბასს ამაზე უარესი არაფერი გაუკეთებია საქართველოსთვის. 400 ათასი ქართველი აყარა და ირანის სხვადასხვა პროვინციაში გადაასახლა. აქ კი, წალკოტ ადგილებში ათასი ჯურის ხალხს ასახლებდა. **დღეს 400 ათასი კი არა, როგორც გითხარით, 2 მილიონამდე ქართველია იძულებული, საქართველოს გარეთ ირჩინოს თავი.** ამ კუთხით შაჰ აბასის დრო გაგვიხადეს სანატრელი.

ახლა ჩინელების შემოყვანის ახალ გზას მიაგნეს. **დანგრეული ჰოლანდიური ავტობუსების ნაცვლად, ჩინური ავტობუსები შემოჰყავთ, იმ ავტობუსებს კი ჩინელი მძღოლები და ხელოსნები მოჰყვებიან!**

წარმოიდგინეთ, მინიმუმ 1000 ავტობუსი რომ შემოიყვანონ და იმ ავტობუსს მინიმუმ თითო მძღოლი და ხელოსანი მოჰყვეს, დამატებით **ორი ათასი ჩინელი** გვყავს გარანტირებული!

**ეს ქვეყანა ქართველებისათვის არ უნდათ.**

**ამას მხოლოდ ქართველების მტერი ხელისუფლება ჩაიდენს.**

**ამას მხოლოდ დაუძლურებული და ღირსებააყრილი ერი მოითმენს.**

**ჯაბა ხუბუა**

## ამონარიდი ადრინდელი წერილიდან:

მომრავლებულ ჩინელებს შიშით უყურებენ თბილისელი მოქალაქეები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ჩინურმა ექსპანსიამ შეიძლება ახლო ხანებში მკვეთრად შეცვალოს თბილისის დემოგრაფიული სურათი.

ეს შიში რომ უსაფუძვლო არ არის, ამას ადასტურებს ის პროცესებიც, რომლებიც მთელ მსოფლიოში მიმდინარეობს - თითქმის ორმილიარდიანი ჩინური მოსახლეობა, ვერ ეტევა რა თავის ისტორიულ ტერიტორიაზე, აბობოქრებულ ზღვასავით გადმოდის თავისი აუზიდან და ახალ სივრცეებს ეძებს ფეხის მოსაკიდებლად.

ჩინურ საფრთხეზე უკვე ღიად ლაპარაკობენ ევროპის ქვეყნებში და ჩვენს მეზობელ რუსეთშიც, სადაც არაოფიციალური მონაცემებით, ჩინელთა რიცხვმა ოც მილიონს გადააჭარბა.

არადა, რუსეთშიც მათ ისევე დაიწყეს, როგორც დაიწყეს ჩვენთან - პატარ-პატარა მაღაზიებით, პატარა-პატარა რესტორნებით და კაფეებით, რომლებიც თანდათან შეიკრა ერთ მძლავრ ქსელად.

გაჩნდნენ ჩინური წარმომავლობის კრიმინალური დაჯგუფებები, რომლებიც ნარკოტიკებით ვაჭრობენ, ძარცვავენ, აყაჩაღებენ, ქურდობენ, აკონტროლებენ სექსბიზნესს და ა.შ.

არამარტო კრიმინალური დაჯგუფებები, პრობლემებს ქმნიან მრავალრიცხოვანი ჩინელი არალეგალებიც, რომლებიც სერიოზულ კონკურენციას უწევენ ადგილობრივ მოსახლეობას - ესაა ყველაზე იაფფასიანი მუშახელი, რომელიც ნებისმიერ პირობებზე თანხმდება.

- ჩინელები კმაყოფილდებიან მინიმალური საარსებო პირობებით. ერთ ოთახში ზოგჯერ ოცი, ოცდაათი ადამიანი ცხოვრობს, რა თქმა უნდა, ყოველგვარი ჩაწერის და სათანადო დოკუმენტაციის გარეშე. ძნელია, დაადგინო, რით ირჩენენ თავს ეს ადამიანები, რით ცხოვრობენ - მათ არა აქვთ პროფესია, არ იციან ენა, მაგრამ როგორღაც მაინც ახერხებენ თავის გატანას, უნდა ვივარაუდოთ, რომ კრიმინალური საქმიანობით, - ასკვნიან რუსი სამართალდამცავები, რომლებსაც კარგა ხანია, ჩინელები მოურჩენელ თავის ტკივილად ექცათ.



# შვიდი „რატომ“ აშშ-ს პრეზიდენტს ბ-ნ ჯორჯ ბუშს



**ბატონო ჯორჯ ბუშ! თქვენ, როგორც დემოკრატიული ზესახელმწიფოს პრეზიდენტს, მოგმართავთ საქართველოდან, ქვეყნიდან, რომელშიც დემოკრატიის დასამყარებლად თქვენ ძალისხმევასა და ფინანსებს არ იშურებთ, თუმცა, საქართველოს ხელისუფლება თავისი აშკარად არაადეკვატური მოქმედებებით ფრთებს აკვეცავს და ჩანასახშივე აშთობს თქვენს ამ ძალისხმევას.**

ამჯერადაც საქართველოს ხელისუფლების ვანდალური და ბარბაროსული საქციელის შესახებ გამცნობთ, რომელიც **ცალსახად და პირდაპირ უნდა შეფასდეს ძალისმიერ, პოლიციურ შეტევად სიტყვის თავისუფლებაზე, თავისუფალ მასმედიაზე!**

ამა წლის 10 აგვისტოს, დილის 5 საათზე, თბილისში, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობაში ყოველგვარი წინასწარი გაფრთხილების გარეშე შეიჭრნენ **საქართველოს საპატრულო პოლიციისა** და **დედაქალაქის ზედამხედველობის სამსახურის თანამშრომლები** და იქ განთავსებული ასზე მეტი რედაქციისა და ტელეკომპანიის კუთვნილი ქონების ქუჩაში გამოყრა დაიწყეს. **ეს ყველაფერი მოხდა სასამართლოს დადგენილების გარეშე** და **პოლიციის თანამშრომელთა აგრესიისა და უხეშობის ფონზე.** სხვებზე რომ აღარაფერი ვთქვათ, ჩვენი გაზეთის პარტნიორი რედაქციის მთავარ რედაქტორს **ლაშა ნადარეიშვილს** შენობაში უკანასკნელად შესვლის უფლებაც კი არ მისცეს.

**ბატონო პრეზიდენტო,** ხელისუფლების მიერ განხორციელებული ამ სამარცხვინო და ძალადობრივი აქციის შემდეგ ღია ცის ქვეშ აღმოჩნდა უამრავი ჟურნალ-გაზეთი და ორი დამოუკიდებელი ტელევიზია.

**ამის გამო უჭერს მხარს ამერიკის შეერთებული შტატები საქართველოს ხელისუფლებას? ისინი ყოველ ფეხის ნაბიჯზე აპელირებენ და იკვეხნიან თქვენი აბსოლუტური მხარდაჭერით.**

საქართველოს ხელისუფლებამ **სიცოცხლეს გამოასალმა უდანაშაულო ახალგაზრდა სანდრო გირგვლიანი, რომლის ნამდვილი მკვლელები - შინაგან საქმეთა სამინისტროს მაღალჩინოსნები დღემდე არ არიან დასჯილნი.**

საქართველოს საპატრულო პოლიციის თანამშრომლებმა ქუჩაში დახვრიტეს სრულიად უდანაშაულო 19 წლის ამირან რობაქიძე. მას ხელებაწეულს ესროლეს და იღლიაში მოარტყეს ტყვია. რობაქიძის მკვლელები დღემდე დაუსჯელნი არიან.

**გვაინტერესებს, რატომ უჭერს მხარს ამერიკული დემოკრატია მკვლელების ხელისუფლებას? თუ არ უჭერს, მაშ, რატომ იჩემებენ ისინი თქვენს სრულ მხარდაჭერას?**

**გვაინტერესებს, რატომ უჭერს მხარს ამერიკის შეერთებული შტატები იმ ხელისუფლებას, რომელიც პოლიციის ძალითა და ხელკეტებით უპირისპირდება საკუთარ ხალხს, ბულდოზერებით უნგრევს ადამიანებს კერძო საკუთრებას და სპეცრაზმის საშუალებით აძევებს საკუთარი ბინიდან? განა ამერიკული დემოკრატია სწორედ კერძო საკუთრების ხელშეუხებლობას არ ეფუძნება?**

**ბატონო ამერიკის პრეზიდენტო!** გვაინტერესებს, რატომ უჭერთ მხარს ხელისუფლებას, რომელმაც ქვეყნის სათავეში მოსვლიდან სულ რაღაც სამ თვეში რეგისტრაციაში გაატარა იეღოველთა სექტა, დაარბია მართლმადიდებელი მრევლი და სატვირთო მანქანით შეანგრია ეკლესიის კარები? სულ ახლახან კი, ამაღლების დღესასწაულზე მშენებარე ეკლესია დაანგრია?

გვაინტერესებს, **რატომ მფარველობს ამერიკული დემოკრატია ხელისუფლებას, რომელიც 2 ათასი ლარი გირაოს სანაცვლოდ კაცის მკვლელ პატრულის თანამშრომლებს პატიმრობიდან ათავისუფლებს, ადამიანის დანით გაკაწვრისთვის კი 14 წლის მოზარდს 7 წლით თავისუფლების აღკვეთას უსჯის?**

**„ვარდების რევოლუციამ“ 2004 წლის გაზაფხულზე მინისტრ ბარამიძის უშუალო ხელმძღვანელობით, ვერტმფრენებიდან დაბომბა სვანური სოფელი ეცერი და დახვრიტა ბორკილდადებული ომეხ აფრასიძე, რომელიც მერე რუსული ე.წ. „შტიკნოჟებით“ აჩეხეს და მკვდარს მოაჭრეს მარჯვენა ხელის შუა თითი, რათა მიცვალებულისთვის ოქროს ბეჭედი მოეპარათ...**

**კავკასიის პატარა სახელმწიფოს - საქართველოს პატარა დიქტატორმა მიხეილ სააკაშვილმა 2006 წლის 27 მარტს სპეცსამსახურების მიერ პროვოცირებული ე. წ. პატიმრების ბუნტის დროს ორთაჭალის ციხის საკნებში ავტომატებით ჩაახოცვინა უიარაღო პატიმრები, რომელთა რაოდენობა დღემდე** უცნობია.

**2005 წლის თებერვალში საიდუმლო ვითარებაში გარდაიცვალა მიხეილ სააკაშვილის უახლოესი თანამებრძოლი, პრემიერ-მინისტრი ზურაბ ჟვანია, რომლის სიკვდილის მიზეზების დადგენით სააკაშვილის ხელისუფლებას თავი არ შეუწუხებია, თუმცა, მიცვალებული დიდი პატივით დაასაფლავეს პანთეონში.**

**ბატონო ამერიკის პრეზიდენტო!** თქვენ მიგაჩნიათ, რომ ყველა ეს ზემოთ დასახელებული ფაქტი დემოკრატიის ჩარჩოებში ჯდება? თვლით, რომ ეს არის ის დემოკრატიული პრინციპები, რომლის დაცვისთვისაც საქართველო ნატოსა და ევროკავშირში უნდა გაერთიანდეს? **თუ ასეა, მაშინ, აფსუს, ნაქებ ამერიკულ დემოკრატიას. ხოლო თუ ასე არ არის და თქვენ მხარს არ უჭერთ ამ ყველაფერს, მაშინ ერთხელ მაინც რატომ არ სტკიცეთ თუნდაც მწარე საყვედური საქართველოს ხელისუფლებას? მაშინ რატომაა აღიარებული საქართველო თქვენს მიერ წარმატებულ საგარეო პროექტად?**

აშშ-ის სახელმწიფო მდივნის თანაშემწე, საქართველოს გუბერნატორად და ქართული დემოკრატიის ძიძად წოდებული მეთიუ ბრაიზა იმისთვის დადის ხშირ-ხშირად საქართველოში, რომ საქართველოს ხელისუფლებას ზემოთქმული ქცევები მოუწონოს?

**განა ამისთვის გადიან კონსულტაციებს საქართველოს ხელისუფლების წარმომადგენლები საქართველოში ამერიკის შეერთებული შტატების ელჩთან ბატონ ჯონ ტეფტთან?**

**ბატონო ამერიკის პრეზიდენტო!** მიხეილ სააკაშვილის ხელისუფლებაში მოსვლის შემდეგ დაიწყო ტოტალური შეტევა თავისუფალ მასმედიაზე. ე.წ. „ვარდების რევოლუციის“ შემდეგ საქართველოში ხელისუფლების უხეში წეხოლის შემდეგ დაიხურა ტელეკომპანია **„იბერია“, „მეცხრე არხი“, „202“,** მწვავე ხასიათის პოლიტიკური თოქ-შოუ **„არჩევანის ზღვარზე“ და „თავისუფალი თემა“,** დაიხურა **ჟურნალი „ომეგა“, გაზეთები „ახალი ეპოქა“** და **„დილის გაზეთი“.**

**თქვენ მიგაჩნიათ, რომ ასე მოკლე ხანში დემოკრატიული ხელისუფლების პირობებში მასმედიის ამდენი საშუალების ერთბაშად გაუქმება დემოკრატიული მოვლენაა და ამას მხარს უჭერთ?**

**ბატონო პრეზიდენტო!** ეს ფაქტი ქართველმა საზოგადოებამ უკვე შეაფასა როგორც მიხეილ სააკაშვილის დაავადმყოფებული, კურდღლისტუჩა, ელამი და ენაბლუ რეჟიმის ავაზაკური თავდასხმა თავისუფალ სიტყვაზე.

ამერიკული დემოკრატია დგას წყალგამყოფზე. ვის მხარეს დაიჭერს იგი, დემოკრატიის მტერი საქართველოს ხელისუფლების თუ კიდევ ერთხელ ჩაწიხლული ქართველი დემოკრატიის?

# „სამშობლოდან“ გამოყრილები და სამშობლოდან გასაყრელები!

## ფრთხილად!

**„ნუ გეშინიათ მკვლელების, მათ მხოლოდ მოკვლა შეუძლიათ, ნუ გეშინიათ მოღალატეების, მათ მხოლოდ ღალატი შეუძლიათ. გეშინოდეთ გულგრილი ადამიანების, რადგან მათი ჩუმი თანხმობით ხდება ყველა ამაზრზენი დანაშაული დედამიწაზე“.**

ეს სიტყვები ჯონ სტეინბეკს ეკუთვნის

**გულგრილობა** მართლაც საშინელი სენია, მაგრამ ადამიანები გულგრილებად არ იბადებიან - ისინი თანდათან ხდებიან **გულგრილები** მრავალ სხვადასხვა მიზეზთა გამო.

პესიმისტები გუშინდელი ოპტიმისტები არიანო, ნათქვამია.

**გულგრილებიც,** ყოველ შემთხვევაში მათი დიდი უმრავლესობა, გუშინდელი გულმხურვალე ენთუზიასტები არიან, რომლებიც დაიღალნენ წინააღმდეგობით, ბრძოლით, პროტესტით და დამარცხებას შეგუებულებმა ყველაფერზე ხელი ჩაიქნიეს.

დღეს ჩვენ ხელჩაქნეულ საზოგადოებაში ვცხოვრობთ, რომელიც არც შეურაცხყოფაზე რეაგირებს და არც ტკივილზე.

**იქნებ ვინმემ მაგრად შეანჯღრიოს ეს ქვეყანა და მაჯა გაუსინჯოს - ხომ ცოცხალია? ხომ კარგად არის?**

●

**ათი აგვისტოს შემდეგ ხელში კალმის აღება გამიჭირდა... ათი აგვისტო, მოგეხსენებათ, გამომცემლობა „სამშობლოს“ შენობიდან ჟურნალისტთა გამოპანღურების „ისტორიული“ დღეა. მაგრამ, ჩემი აზრით, ეს დღე მხოლოდ ამ გამოპანღურებით არ არის ღირსსახსოვარი და მნიშვნელოვანი.**

პირადად ჩემთვის ამ დღეს მთელი სიმძაფრით დაისვა კითხვა: - **კი მაგრამ, რისთვის ვწერ, ვისთვის ვწერ, ვისთვის ვიკლავ თავს და ვის გამო ვუვარდები გველეშაპს ხახაში?**



დროშა, რომელიც კაპიტოლიუმის თავზე „ასავალ-დასავალისა“ და მისი მთავარი რედაქტორის ლაშა ნადარეიშვილის სახელზე აფრიალდა, ქუჩაში გამოყრილ სარედაქციო ინვენტარს გადააფარეს

# თავდადებული ერი თავდადებულ ერად არ აქციონ!

**საქმე ის არის, რომ იმ დღეს მილიონიანი ქალაქის მოსახლეობის ერთი პროცენტიც კი არ მოვიდა იმ ადამიანების გამოსასარჩლებლად, უბრალოდ, თანაგრძნობის გამოსახატავად, რომლებიც ამ მოსახლეობის პრობლემებზე ლაპარაკობენ, წერენ, მათ სათქმელს ამბობენ, მათი სახელით იბრძვიან, მათი უკეთესი აწმყოსა და მომავლისათვის იხარჯებიან.**

მილიონის ერთი პროცენტი ათი ათასია. ათი ათასი კი არა, **ათასი კაციც არ მოსულა იმ დღეს ალყაშემორტყმული „სამშობლოს“ შენობასთან.**

მეფეებს ერთი განსაკუთრებული სტატუსის მქონე მომსახურე პერსონალი ჰყავდათ - მეფხანველები.

**მე მგონი, ამ საზოგადოებას ჩვენც მეფხანველებად ვჭირდებით - ჩვენ ვწერთ, ესენი გულს იფხანენ.**

ათი აგვისტოს შემდეგ, დარწმუნებული ვარ, ბევრი იტყვის: - **ამიერიდან თქვენ თვითონ მოიფხანეთ, ბატონებო,** - გინდ გული იფხანეთ, გინდ სხვა რამ...

**ათ აგვისტოს** ნამდვილად დამენანა ყველა ის დღე, რომელიც ჩემს უპირველეს და უმთავრეს საქმეს, ლექსების წერას დავაკელი. არადა, ერთად რომ შევკრიბოთ ეს დღეები, ძალიან ბევრი წელიწადი გამოდის.

თურმე, რა ჭკვიანები ყოფილან ის ჩემი კოლეგები, ქვეყანა რომ თავზე ექცეოდათ და ესენი კიდევ, თავიანთ ბუნაგებში შეკტილები, რითმებს უჩხიკინებდნენ - თითქოს რაც მათ გარშემო ხდებოდა, მათ არ ეხებოდათ.

**რაო, როგორ თქვა სტეინბეკმა - გულგრილი ადამიანების ჩუმი თანხმობით ხდება ყველა უბედურება ამ ქვეყანაზეო.**

ასეა თუ ისეა, ჭკვიანები მაინც ის ჩემი კოლეგები ყოფილან და მე ვყოფილვარ იდიოტი.

ძალიან მოვინდომებდი და მეც დავჭკვიანდებოდი, მაგრამ, ვიცი, არაფერი გამომივა - აწი რა დროს ჩემი დაჭკვიანებაა, ამიტომ კიდევ ერთხელ გავიმეორებ ათასჯერ ნათქვამს: - **სამშობლოდან გიპირებენ, ქართველებო, გასახლებას და ფრთხილად იყავით!**

●

**უნდა დავეთანხმო ხელისუფლების მიერ არაერთგზის გაჟღერებულ ოპტიმისტურ განცხადებას, რომ საქართველო აცილებლად იქნება მდიდარი ქვეყანა.**

დიახ, მოვა დრო და საქართველო აუცილებლად იქნება მდიდარი ქვეყანა, მაგრამ ამ მდიდარ საქართველოში ქართველები ყველაზე ღარიბები, ყველაზე საბრალონი, ყველაზე დაჩაგრულნი იქნებიან.

ყველაფერი აქეთკენ მიდის, ყველაფერი ამ მიზნის განსახორციელებლად კეთდება.

**ქართველებს არ სჯერათ, თორემ ნამდვილად არსებობს პროექტი, რომლის მიხედვითაც საქართველოს მთლიანი მოსახლეობის რაოდენობა მილიონ-ნახევარს არ უნდა აჭარბებდეს, ამ მილიონ-ნახევარში კი ქართველთა რიცხვი 600-700 ათასს არ უნდა აღემატებოდეს.**

მსოფლიო ბანკმა ამასწინათ გამოკვლევა ჩაატარა - გაირკვა, რომ შობადობა კლებულობს, სიკვდილიანობა მატულობს. კვლავ დიდია მიგრანტთა რიცხვი, ანუ ყველაფერი გეგმის მიხედვით ვითარდება.

როგორც ჩანს, ჯანდაცვის აწ უკვე ყოფილ მინისტრს, ჭიპაშვილს, წაკითხული ჰქონდა გლობალისტების სათაო ოფისიდან გამოზავნილი ის ინსტრუქცია, რომელიც საქართველოში დემოგრაფიული „რეფორმების“ განხორციელების დაწვრილებით მითითებებს შეიცავდა და ამიტომაც ახარა ხარება დღეს პატრონებს - მალე დაგვერევა ფრინველის გრიპი და საქართველოს მოსახლეობა ორმოცი პროცენტით შემცირდებაო.

იმჟამად ფრინველის გრიპმა დაგვინდო და გადავრჩით, მაგრამ, არა უშავს, სხვა უარეს „გრიპს“ შეგვყრიან და დასახულ ამოცანას უსიკვდილოდ შეასრულებენ.

**საქართველოს დიდი ხანია ამზადებენ არა დამოუკიდებელ და სუვერენულ სახელმწიფოდ, არამედ სატრანზიტო დერეფნად, შავი ფულის გასარეცხ სავაჭრო ცენტრად, მაგრამ ქართველებს არც ეს სჯერათ და, როგორც ჩანს, მანამდე არ დაიჯერებენ, სანამ ამ დერეფანში არ გამოდგამენ ჩოხა-ახალუხში გამოწკეპილებს, როგორც ტურისტების მოსაზიდ ეგზოტიკურ არსებებს.**

ქართველებს არ სჯერათ, რომ უკვე არ არიან ის ქართველები, რომლებიც მათზე რიცხობრივად ასჯერ მეტ მტერს არ უშინდებოდნენ და უთანასწორო ბრძოლაში იხოცებოდნენ, ოღონდ საკუთარი ღირსება, მეობა, სინდის-ნამუსი დაეცვათ, ვიღაცის მონები და ხელის ბიჭები არ ყოფილიყვნენ.

**დღეს ქართველთა დიდი ნაწილი თავისუფლებაზე კი არა, მაძღარ მონობაზე ოცნებობს - თანახმაა, ხეხოს სხვისი ტუალეტი, რეცხოს სხვისი ჭუჭყიანი საცვალი, ზიდოს სხვისი ღამის ქოთანი, ოღონდ მაძღრად იყოს...**

აქ, სამშობლოში, ამის ნაკლები საშუალებაა და ამიტომ გარბის სხვაგან, სხვის სამშობლოში, თუმცა, შორს არ არის ის დრო, როცა სამშობლოშიც უხვად გაჩნდება მსგავსი სამუშაო ადგილები და ეს გამოცდილი და პარქტიკაგამოვლილი ქართველი აქაც ხალისით დაუდგება ლაქიად გაზულუქებულ უცხოელს.

●

**- საქართველო შეთხზული ქვეყანაა, - მითხრა ერთმა მეგობარმა პოეტმა - საქართველო მითია, ლეგენდაა, ხოლო რეალობაში ვინც ვართ და რაც ვართ, ბოლო ოცმა წელიწადმა შესანიშნავად დაგვანახვა.**

ვაითუ, მართლაც სწორს ამბობს ის ჩემი მეგობარი და ამდენი ხანია, მითსა და ლეგენდას ვებღაუჭებით?

**- საქართველო ილიამ და მისმა თანამოაზრეებმა შეთხზეს,** - არ ცხრება ჩემი მეგობარი და ახალ-ახალ არგუმენტებს იშველიებს ნათქვამის დასამტკიცებლად.

ამ არგუმენტებს აქ არ გავიმეორებ, თუმცა, მათში უხვადაა სიმართლის მარცვალი.

კი ბატონო, იყოს შეთხზული, მაგრამ ხომ შეიძლება, ყველამ ერთად მოვინდომოთ და ამ პროექტს, ამ „თხზულებას“ შესაბამისი ფორმა და რეალური სახე მივცეთ?

კაცობრიობის ისტორია განა ამაზე არ არის აგებული? ვიღაც ერთი, ხალხის და ღვთის რჩეული, ჯერ თვითონ თხზავდა მისი ერის სანუკვარ სახელმწიფოს, მერე კი მთელი თაობები აშენებდნენ მას.

**ჩვენ როდის უნდა დავიწყოთ ილიას მიერ „შეთხზული“ საქართველოს აშენება?**

**„ქართული“ სინგაპურის, „ქართული“ დუბაის, „ქართული“ ტაილანდის კი არა, ილიას საქართველოს, ქართველების საქართველოს მშენებლობა როდის უნდა დავიწყოთ?**

●

**„ჩვენ თავდადებული ერი ვართ, ბალიშზე თავ დადებული ერი.**

**თავ დადებულმა ერმა არ იცის, რომ იმ თავის მოჭრას უპირებენ, ბალიშზე რომ უდევს ნეტარად...**

**... ბოლოს და ბოლოს, სულ ბალიშზე დადებული თავი რისი მაქნისია გინდ გქონია, გინდ არა...**

**წაგვჭრიან ამ თავს, მაგრამ სულ უთავოდაც ხომ არ დაგვტოვებენ - უთავოდ დარჩენილ კისერზე ვინმეს თავს დაგვადგამენ და თავდადებულებიდან თავდადგმულებად ვიქცევით“.**

ეს ფრაგმენტი, რომელიც ერთი ჩემი ადრინდელი წერილიდანაა, იმდენჯერ მოხსენდება, რამდენჯერაც მეთიუ ბრაიზა ჩამოქაქანდება საქართველოში და საკონტროლოდ მიჩენილ ქართულ რეზერვაციას თვალს მიავლ-მოავლებს - ხომ კარგად და ხომ ჭკვიანად ხართ მანდო.

ნუ ნერვიულობთ თქვენ, ბატონო მეთიუ, მეტი რომ არ შეიძლება, ისე ჭკვიანად ვართ - **თავდადგმულებს** და **თავგადანერგილებს** რომ ეკადრება, ისე ვართ...

●

**სულ ვფიქრობ ხოლმე: - იმ დროს, როდესაც მურვან ყრუ, ჩინგიზ ხანი, თემურ ლენგი, შაჰ აბასი და ძმანი მათნი მოღვაწეობდნენ, ტელევიზია, რადიო, ინტერნეტი რომ ყოფილიყო, ხმლით, ალბათ, არც ისინი დაგვიწყებდნენ ჟუჟვას - ისინიც ისე მოიქცეოდნენ, როგორც ეს ახალი ეპოქის მურვან ყრუები, ჩინგიზ ხანები, თემურ ლენგები და შაჰ აბასები იქცევიან** - ჯერ ტკბილი მასლაათით გამოგვილაყებდნენ ტვინს, შეგვიყოლიებდნენ, შეგვიქცევდნენ, მერე ოქრო-ვერცხლსაც დაგვანახვებდნენ შორიდან და ასე ნელ-ნელა, ხვევნა-კოცნასა და ტკბილ მუსაიფში გადაგვაგვარებდნენ, გადაგვაჯიშებდნენ, დაგვიმონებდნენ, ხარკს დაგვადებდნენ...

**ხმლით მოსული მტრის ნუ გეშინიათ, ცოდნით, ხერხით, ოქრო-ვერცხლით მოსული მტრის გეშინოდეთო, - აკი გაგვაფრთხილა დიდმა ილიამ, მაგრამ სხვა რა დაგვიჯერებია მისთვის, ეს რომ დაგვეჯერებინა?**

●

**საქართველოში არჩევნების ციებცხელების სეზონი იწყება... თითქოს მართლაც გვქონდეს რაღაც არჩევანი, ისე ვიქაჩებით და ვიჭაჭებით.**

ჩვენი გონება ვერა და ვერ ჩაწვდა იმ აზრს, რომ მნიშვნელობა იმას კი არა აქვს, **პეტრეს ნაცვლად პავლეს აირჩევ თუ პირიქით,** არამედ იმას, მონობას ირჩევ თუ თავისუფლებას, ყოფნას ირჩევ თუ არყოფნას, ღირსეულ სიცოცხლეს თუ უღირს არსებობას?

**ჯერ ეს არჩევანია გასაკეთებელი, მერე კი ყველაფერი თავისით დალაგდება.**



ასე გამოიყურებოდა „ასავალ-დასავალის“ რედაქცია თბილისის ზედამხედველობის სამსახურის „ვაჟკაცობის“ შემდეგ

**ვახტანგ ხარჩილავა**
*7 სექტემბერი, 2007*

**აგვისტოში იზეიმა საქართველომ ყველაზე დიდი გამარჯვება - დიდგორი და სწორედ აგვისტოში დაიწყო აფხაზეთის სისხლიანი ომი, რომელიც ყველა დროის უპირველესმა მოღალატეებმა და ავანტიურისტებმა თავიანთი სამშობლოს წინააღმდეგ გააჩაღეს!.. აგვისტოში იფეთქა 1924 წლის აჯანყებამ, ქართველმა ბოლშევიკებმა სისხლში რომ ჩაახშვეს და იური იანაევის მეთაურობით 1991 წლის 19 აგვისტოს შეიქმნა მოსკოვური „გკჩპ“ - რუს პუტჩისტთა სამხედრო ხუნტა, რომელმაც საქართველოს დამაქცევარი ქართველი პუტჩისტები თუ ხუნტისტები მალევე შვა...**

**1907 წლის 30 აგვისტოს ილია ჭავჭავაძე მოკლეს წიწამურთან და ზუსტად ასი წელი გვაშორებს ამ საბედისწერო თარიღს...**



# ილიას მკვლელობიდან ასი წლის შემდეგ

**„ასის წლის წინათ“** - წერდა თავის დროზე ილია, საქართველოში რუსეთის იმპერიის შემოსვლის მნიშვნელობაზე რომ ესაუბრებოდა ქართველ ხალხს და დღეს, ასი წლის შემდეგ, როცა არათუ რუსეთი, არამედ მსოფლიოს უკლებლივ ყველა იმპერია და მაჩანჩალა სახელმწიფო ჩემს სამშობლოში შემოჭრილა და დაფუძნებულა, ილიას დროინდელი საქართველოს ტკბილი ზმანება ცხადსა თუ სიზმარში არ მშორდება!..

**საისტორიო წიგნებში, ბუკლეტებსა თუ ცნობარებში დღემდე მივუთითებთ, რომ ილია 12 სექტემბერს მოკლეს, რომ 30 აგვისტო, მისი მკვლელობის ნამდვილი დღე, თურმე „ძველი სტილია“ და ამდენად საჭიროა „ახალი სტილითაც“ გამოვასალმოთ სიცოცხლეს საქართველოს უგვირგვინო მეფე.**

როგორც დიდგორის ომში გამარჯვების თარიღია ერთადერთი და მთელმა ქვეყანამ იცის, რომ **1121 წლის 12 აგვისტოს** ქართველებმა დავით აღმაშენებლის მეთაურობით მსოფლიოს, **„ძლევაჲ საკვირველი“** უჩვენეს, წიწამურთან ჩვენი დაცემის თარიღიც ერთი უნდა იყოს და **ილიას მკვლელობიდან ასი წლის შემდეგ მაინც შევფიცოთ ერთმანეთს, რომ მეორეჯერ - 12 სექტემბერს აღარასოდეს მოვკლავთ საქართველოს სინდის-ნამუსს!**

12 სექტემბერი კიდევ სხვა ტკივილია და თუკი უბედურების აწონა შესაძლებელია, 1795 წლის 12 სექტემბერს უფრო დიდი საშინელება ტრიალებდა საქართველოში, ვიდრე ილიას მკვლელობა იყო!..

**დიახ, 1795 წლის 12 სექტემბერს საჭურისი აღა-მაჰმად-ხანი სოღანლუღთან იდგა და საქართველოდან გასაქცევად ემზადებოდა, როცა ბუჩქებში მოსაშარდად ქალივით ჩაცუცქულს ხელქვეითებმა მოენეების მოსვლა ამცნეს. ირანის შაჰმა სასწრაფოდ მიიღო მოულოდნელი სტუმრები, რომლებიც თბილისელი სომხები - არღუთინსკი და არარატიანცი აღმოჩნდნენ. სწორედ მათ მიახარეს მრისხანე და ულმობელ საჭურისს - ერეკლეს მეზარბაზნენი არ ჰყავს, ქალაქი დაუცველია და თბილისს შეუტიეო!..**

**იმ დღიდან საქართველოს ისტორია რუსეთის უზარმაზარი იმპერიის ჩრდილქვეშ იწერება...**

ილია იმიტომ კი არ იყო ზეკაცი, რომ „ოთარაანთ ქვრივი“ ან „კაცია ადამიანი?!“ დაწერა, **ქართველი ერის ისტორიაში ილია პირველი ლიდერი და წინამძღოლია, რომელმაც რუსეთის იმპერიასთან ბრძოლაში სწორი სტრატეგია შეიმუშავა და საქართველოს გადარჩენის საქმეში წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებით, საადგილმამულო ბანკით, თეატრალური საზოგადოებით, „ივერიითა“ და „საქართველოს მოამბით“ უფრო მეტი გააკეთა, ვიდრე ალექსანდრე ბატონიშვილმა, 1832 წლის შეთქმულების უკლებლივ ყველა მონაწილემ ან ნებისმიერმა იმ თოფიანმა ქართველმა, რომელსაც რუსის ჩექმის სიმყრალემ ხელში იარაღი აიღებინა.**

**ილია ჭავჭავაძე მიხვდა,** რომ რუსეთი, რომელიც მართლმადიდებლობის დროშითა და მოყვასის ნიღბით შემოვიდა საქართველოში, არც ირანი იყო და არც ოსმალეთი, რომელთა საუკეთესო არმიები ხშირად მეშის ბურთივით აუგდიათ ჰაერში გაგიჟებულ ქართველებს.

**ილია გრძნობდა რუსეთის სიდიადესა და დაცემას, მაგრამ ყველაზე უფრო კარგად იმას ხედავდა, რომ უზარმაზარი იმპერიიდან თავის დაღწევის მიზნით შეიარაღებული ქართველების ხუნცული შესაძლოა, სავალალო შედეგებით დამთავრებულიყო.**

საქართველოს ჭეშმარიტად უგვირგვინო მეფემ **ლელთ ღუნიას** ათქმევინა - **„ჩვენი თავი ჩვენადვე გვეყუდნეს!..“** და რიგით მოხევეს ამ სიტყვებით დაახატვინა თავისუფლების მიწიერი ფორმულა.



1907 წელი. ქართველი ერი ილიას ცხედარს მთაწმინდაზე მიაბრძანებს

**ილიას რომ დასცლოდა, მაჰათმა განდის მსგავსად, აქტიური, მაგრამ მშვიდობიანი წინააღმდეგობით აუცილებლად გაათავისუფლებდა საქართველოს და ჩვენი ქვეყნის დამოუკიდებლობას ზეკაცი ილია ჭავჭავაძე უფრო დაიცავდა, ვიდრე დაწყევლილი სოციალ-დემოკრატია, რომელმაც 1918 წლის 26 მაისს იძულებით გამოაცხადა საქართველოს თავისუფლება.**

სხვათაშორის, საქართველოს ეროვნული მოძრაობის წარმატება ხალხის უსაზღვრო აქტიურობასთან ერთად იმანაც განაპირობა, რომ **ზვიად გამსახურდიამ და მერაბ კოსტავამ ოთხმოციანი წლების მიწურულს სწორედ ილიას დროშაააფრიალეს რუსთაველის პროსპექტზე!..**

ვიდრე ქართველი ერი აქტიური, მაგრამ მშვიდობიანი წინააღმდეგობით აპროტესტებდა რუსეთის იმპერიის აღვირახსნილობას საქართველოში და თავისუფლებას ითხოვდა, საქართველო იმარჯვებდა. მაგალითად, უიარაღო საქართველომ 9 აპრილის ღამეს გაიმარჯვა და სისხლიან იმპერიას კაცობრიობის წინაშე მშვიდობის მტრედის ნიღაბი ჩამოგლიჯა, მაგრამ როგორც კი საქართველომ იარაღი აისხა, აფხაზეთში რუსეთმა სასაკლაო მოგვიწყო!..

ზუსტად ერთი წლის წინ დავწერე და ახლაც გავიხსენებ ერთ დეტალს იმ საშინელი 1907 წლის 30 აგვისტოს ქრონიკიდან, როცა წიწამურთან ილია გამოასალმეს სიცოცხლეს!..

**იმ დღეს, თბილისიდან ეტლით მომავალ ილიასა და მის მეუღლეს - ოლღა გურამიშვილს მოურავი - დიმიტრი ჯაში წყაროსთან უნდა დახვედროდა სტრაჟნიკთან ერთად. დილის 10 საათი სრულდებოდა, მაგრამ ჯაში საგურამოდან ფეხს არ იცვლიდა... პირიქით, კაკლის ხეზე ამძვრალიყო დიმიტრი ჯაში და წიწამურისკენ იცქირებოდა სმენადგაკრეფილი - თოფის გასროლის ხმას ელოდა!..**

**ბერდენკამაც მალე დაიქუხა და ჯაშიც კმაყოფილი ჩამოხტა ხიდან, რაკი წიწამურთან ილია მოეკლათ!..**

ამ ამბის გახსენებით იმის თქმა მინდა, ძვირფასო მკითხველო, რომ, **დიმიტრი ჯაშის მსგავსად მავანი და მავანი სუნთქვაშეკრული ელოდა გურამ შარაძის სიკვდილს, სიკვდილს იმ კაცისას, ვინც ილიას ცხოვრების, მოღვაწეობისა და შემოქმედების კვლევას მთელი თავისი შეგნებული სიცოცხლე მიუძღვნა.**

**მოკლეს გურამ შარაძე და ილია ჭავჭავაძეზე არც არავინ ლაპარაკობს... კაცი არ ჩანს, ვინც ამ დაბეჩავებულ საზოგადოებას შეჰყვირებს და გამოაფხიზლებს... ახლა საქართველოში რამდენიმე ათეული ყვითელმაისურიანი ახალგაზრდა გაჰყვირის მხოლოდ და ისიც ჩვენთვის გაუგებარ ენაზე - „კოკორითი ფანდარასტ“!**

ილიას მკვლელობიდან **„ასის წლის შემდეგ“** საქართველოს მდგომარეობა ერთიორად დამძიმებულია - ქვეყანამ ამ ხნის განმავლობაში ტერიტორიების ნახევარზე მეტი დათმო, ქართველობა შემცირდა, ხიზნად, ემიგრანტად, დევნილად იქცა...

**ილიასეულ წმიდათაწმიდა მაქსიმას - „მამულს, ენასა და სარწმუნოება“-ს დღევანდელმა საქართველომ სატანური ტრიადა - „დოლარი, წამალი და ბორდელი“ დაუპირისპირა, რასაც შედეგიც სატანური მოჰყვა და საქართველოში 300 ათასი ნარკომანი, უამრავი წამალი და კიდევ უფრო მეტი მძაფრი ერთმანეთშია არეული...**

როცა ილია ჭავჭავაძემ **„ბედნიერი ერი“** დაწერა, საქართველო ასეთი დაცემული და გაუბედურებული ჯერ კიდევ არ იყო!..

საინტერესოა, დღეს რომ ცოცხალი ყოფილიყო, რას ეტყოდა საქართველოს უგვირგვინო მეფე ქართველ ხალხს...

ნებისმიერ შემთხვევაში, საუბარს, ალბათ, ძველებურად დაიწყებდა ზეკაცი და გაოგნებული იკითხავდა - **„რა გითხრათ, რით გაგახაროთ“?**

**დიტო ჩუბინიძე**

## ილია ჭავჭავაძე
## ბედნიერი ერი

**ჩვენისთანა ბედნიერი**
**განა არის სადმე ერი?!**
**მძიმე ყალნით,**
**ლამაზ ფალნით**
**მორთული და მშვენიერი;**
**უწყინარი,**
**უჩინარი,**
**ქედდრეკილი, მადლიერი;**
**უშფოთველი,**
**ქვემძრომელი,**
**რიგიანი, წესიერი;**
**ყოვლად მთმენი,**
**ვით ჯორ-ცხენი,**
**ნახედნი და ღონიერი.**

**ჩვენისთანა ბედნიერი**
**განა არის სადმე ერი?!**
**ყველა უნჯი,**
**ყველა მუნჯი,**
**გულჩვილი და ლმობიერი;**
**თვალაბმული,**
**თავაკრული,**
**პირს ლაგამი ზომიერი;**
**ყველა ყრუი,**
**ყველა ცრუი,**
**ჭკვადამჯდარი, გულხმიერი;**
**მცირე, დიდი,**
**ყველა ფლიდი,**
**ცუღლუტი და მანკიერი.**

**ჩვენისთანა ბედნიერი**
**განა არის სადმე ერი?!**
**მტვერწაყრილი,**
**თავდახრილი,**
**ყოვლად უქმი, უდიერი;**
**უზლუდონი,**
**გზამრუდონი,**
**არ გამტანი და ცბიერი;**
**მტრის არ მცნობი,**
**მოყვრის მგმობი,**
**გარეთ მხდალი, შინ ძლიერი;**
**არ რის მქონე,**
**არ რის მცოდნე,**
**უზრუნველი და მშიერი.**

**ჩვენისთანა ბედნიერი**
**კიდევ არის სადმე ერი?!**

*29 აგვისტო, 1871 წ.*



# ილია ხარ? ზვიადივით ძველ ხიბულაში მოგკლავენ, ზვიადი ხარ? წიწამურთან ჩაგისაფრდებიან!!!

**ილია ჭავჭავაძის მკვლელების წინასწარი დაკითხვის ოქმებსა და სასამართლოსთვის მიცემულ ჩვენებებს ვინც გაეცნობა, მაშინვე მიხვდება, რომ საქართველოს უგვირგვინო მეფის მკვლელობა წლების განმავლობაში მზადდებოდა და წიწამურთან ბერდენკა თოფების დაქუხება სულაც არ ყოფილა მოულოდნელი..**

პირიქით, დოკუმენტური მასალებიდან კარგად ჩანს, რომ **მეგობრები და კეთილისმსურველები ილიას საგურამოში გაჩერებას არ ურჩევდნენ,** იგი მოსალოდნელი უბედურების შესახებ პეტერბურგშიც კი გააფრთხილეს, ხოლო ტრაგედიამდე რამდენიმე დღით ადრე უსაყვარლესი მეუღლე - ოლღა გურამიშვილი საშინელ წინათგრძნობას, ცუდ სიზმარსა თუ ათასგვარ რამეს იმიზეზებდა, რათა ილიასათვის საგურამოში წასვლა გადაეფიქრებინა...

სამწუხაროდ, ქალბატონი ოლღა ვერაფერს გახდა...

**ილიას სვლა თბილისიდან წიწამურამდე ეს არ იყო აკაკის მოგზაურობა რაჭა-ლეჩხუმში, როცა სახელგანთქმულ მგოსანს ყოველ ფეხის ნაბიჯზე ნადიმებს უმართავდნენ და მაქმანებით გაწყობილ ბალიშებზე თავმიდებულ მოხუცს ულამაზესი ქალიშვილები ნანას უმღეროდნენ.** ეს იყო სვლაგეზი სიკვდილეთისაკენ და ილიამ შესაძლოა, გამოსცადა კიდეც ქართველი კაცის გონების სიბრმავე და სიგიჟე, როცა ჩასაფრებული მკვლელებისაკენ თავაწეულმა გასწია...

პირველი ტყვიის გავარდნისთანავე ზეკაცს დაუყვირია თითქოს, - **„რას სჩადიხართ, ილია ვარ!..“**

თითქოს სწორედ ამის გაგონებას უცდიდნენო, მეორეჯერ დაიჭექა ბერდენკამ და საქართველოს სინდის-ნამუსი მოცელილი ბალახივით დაენარცხა მიწას.

ილიას ტყვია შუბლში არ მოხვედრია.. ჯერ კიდევ ცოცხალსა და, ვინ იცის, იქნებ გონებაზეც მყოფს, დაჭრილს **ბიბლა ბერბიჭაშვილი წამოადგა თავზე და ბერდენკის კონდახით შუბლი ჩაუმსხვრია.**

***კუბოში ჩაწოლილს შუბლზე მუხის ფოთოლი ეფინა...***

***მუხასავით მაგარი კაცი მოგვიკლეს ქართველებს...***

ილია აღესრულა მესიის სიკვდილით, - თავისი ერის ხელით, მშობელი ხალხის მიერ სამართლიანად განდიდებული და ღმერთკაცად აღიარებული.

**განა ინგლისთან ომში დაჩოქილი საფრანგეთისთვის ღმერთად მოვლენილი ჟანა დ' არკი ფრანგებმა არ გამოასალმეს სიცოცხლეს?..**

ძაღლიშვილი **ბიბლა ბერბიჭაშვილი** საბჭოთა სუკის უძლიერესმა გამომძიებლებმაც კი **ვერ გამოტეხეს და ვერ ათქმევინეს, რომ ბერდენკის ტყვია სწორედ მან დაახალა ილიას.** ერთადერთი, რაც ამ უწიგნურმა მენახშირემ პროცესზე აღიარა, ის გახლდათ, რომ თავჩაქინდრულმა ამოღეროა - **არ ვიცოდი, თუ ილია ასეთი დიდი კაცი იყოო!.**

მიუხედავად საყოველთაო გლოვისა და ტრაგედიისა, მიუხედავად იმ უზარმაზარი პროცესიისა, რომელიც ილიას დაკრძალვის დღეს - 1907 წლის 9 სექტემბერს, სიონის ტაძრიდან მთაწმინდისკენ დაიძრა, **ქართველმა ერმა ვერ გაითავისა წიწამურის ტრაგედია.**

საქართველო უკვე ისე იყო მოწამლული სოციალ-დემოკრატიის ბოდვითი იდეებით, რომ **ილიას მკვლელობას ერი შინაგანად შეგუებული შეხვდა** და ამის უპირველეს დასტურად გაზეთ „ისრის“ ის ნომერი გამოდგება, სადაც ილიას ტრაგიკული აღსასრულის შესახებ ერთ-ერთი პირველი ცნობაა გამოქვეყნებული... აბა, ყური მიუგდეთ ამ ცნობას - „საგურამოს გზაზე მოუკლავთ ილია ჭავჭავაძე და დაუჭრიათ მისი მეუღლე...“

**წიწამური ერთ-ერთი ის გამორჩეული ადგილია საქართველოში, რომელსაც ძველმა ბერძნებმა ჯერ კიდევ ანტიკურ ეპოქაში გამოუძებნეს ბერძნული სახელი.** თუკი შორაპანს **„სარაპანისი“** უწოდეს, ოჩამჩირეს - **„გიენოსი“**, ბიჭვინთას - **„პიტიუნტი“**, სოხუმს - **„დიოსკურია“**, ქუთაისს - **„კუტაია“** ან **„აია“**, ნოქალაქევს - **„არქეოპოლისი“**, რიონს - **„ფაზისი“**, არაგვს - **„პელორი“**, ხოლო მტკვარს - **„კურასი“**, - **წიწამურს „სევსამორა“-თი უხმობდნენ ელინები...**

დღემდე თავს ვიმტვრევ და ვერ ამიხსნია, რით დააინტერესა ჯაგნარითა და ვიწრო ხევ-ხუვებით დაფარულმა სევსამორამ, ანუ წიწამურმა ძველი ბერძნები, რომ ილიას მკვლელობის ადგილს ჯერ კიდევ ორი ათასი თუ ორი ათას ხუთასი წლის წინ მიაპყრეს საგანგებო ყურადღება კეთილშობილმა და ყოვლისმცოდნე ელინებმა...

ეტყობა, ისინი შინაგანად გრძნობდნენ, რომ აქ, თბილისის ცხვირწინ, - სევსამორასთან, ანუ წიწამურთან, ოდესღაც მართლაც უნდა „დამთავრებულიყო დიდი ეპოქა“.

**როგორც გაბრიელ გარსია მარკესის „გამოცხადებული სიკვდილის ქრონიკაში“ მთელმა სოფელმა, ისე მთელმა საქართველომ იცოდა და ერი გრძნობდა, რომ რაღაც საშინელი მკვლელობა უნდა მომხდარიყო, მაგრამ საქართველომ დაუშვა წიწამურის ტრაგედია!**

**ილიამ წმინდა გამარჯვება მოიპოვა სომეხ ვაიმეცნიერებზე, რომლებსაც „ქვათა ღაღადით“ თავს ლაფი დაასხა, ილია წარმატებით იგერიებდა რუსეთის იმპერიის განათლებული და ცბიერი ჩინოვნიკების შემოტევებს, ქართველ ერს ჩაყლაპვას რომ უპირებდნენ, მაგრამ ილია უძლური აღმოჩნდა უწიგნური და ვერაგი სოციალ-დემოკრატების მიერ აგორებული ე.წ. იმ შავი პიარის წინაშე, რომელსაც ზოგიერთი ტვინნაღრძობი ახლაც უსირცხვილოდ იმეორებს, - „ილია გლეხებს წყალს არ აძლევდა“, „ილიამ ეს ქნა“, „ილიამ ის ქნა“, „ილიამ გლეხები გააწკეპლინა“..**

არ გეცნობათ, ძვირფასო მეგობრებო, სპეცსამსახურების შავბნელი მეთოდების მარადიულობა?

განა ზვიად გამსახურდიასაც ზუსტად ასე არ ებრძოდნენ?

აბა, კარგად გაიხსენეთ, რა ჭორებს ავრცელებდნენ ნაძირალები ამ თექვსმეტი თუ თხუთმეტი წლის წინ, - **„ზვიადი მანიაკალური მიდრეკილებების მქონე ადამიანია, ბავშვობაში, თურმე, კატის კნუტებს ტომარაში გამოამწყვდევდა და მერე ფეხით სრესდა!“ „ზვიადმა შავნაბადაზე სამოცდაათი გვარდიელი ჩაახოცვინა,“ „ზვიადმა გკჩპ-ს დასახვრეტთა სია გაუგზავნა“... „ზვიადი ღამით ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მამის საფლავთან მივიდა, საფლავს წიხლებით სცემდა და თან ყვიროდა - კონსტანტინე, ხომ ხედავ, რა მაგარი ვარ“!..**

ზვიად გამსახურდიას მკვლელობასაც გრძნობდა საქართველო...

ცნობილია, რომ წიწამურის ტრაგედიამდე **სამი წლით ადრე,** გურიაში, სოფელ ბახვში, ცნობილი ტერორისტები და სოციალ-დემოკრატები შეიკრიბნენ, სადაც **ილიას მკვლელობის გადაწყვეტილება მიიღეს...**

**ვერდიქტი ზვიად გამსახურდიას მკვლელობის შესახებაც,** ალბათ, სწორედ მაშინ გამოიტანეს, როცა ეროვნული მოძრაობის მზე შუბისტარზე იდგა. ეს პერიოდი ზუსტად ემთხვევა 1990 წლის შემოდგომას...

**სამი წლის შემდეგ** ხობის რაიონის სოფელ ძველ ხიბულაში ზვიად გამსახურდია მოკლეს!..

ილიას მკვლელობის შემდეგ ქვეყნის დამოუკიდებლობა გამოაცხადეს და ჩაიბარეს **ილიას იდეურმა მტრებმა,** რომლებმაც ვერ შეძლეს ქართველი ერის გაერთიანება და 1921 წლის რუსული აგრესიის აღკვეთა!..

ამ ორი დიდი ქართველის ცხოვრება და ბედი ერთი ამოსუნთქვით იკითხება და თითქოს ერთი შემოქმედის ხელით გახლავთ დაწერილი!..

**ილია ხარ? - ზვიადივით ძველ ხიბულაში მოგკლავენ!..**

**ზვიადი ხარ? - წიწამურთან ზუსტად ისევე ჩაგისაფრდებიან, როგორც ილიას!..**

**დიტო ჩუბინიძე**






# სავალალო ამბავი

## რევაზ მიშველაძე

ნატალია ბაზილევსკაია რუსი არისტოკრატის ქალიშვილი გახლდათ, აკაკი ბრწყინვალე ქართველი თავადის როსტომ წერეთლის თვალის სინათლე ბიჭი.

შესახედავადაც ორივენი მოხდენილები იყვნენ და იფსკვნეს ჯვარი.

მთავარი მიზეზი მათი შეუღლებისა, რასაკვირველია, სიყვარული იყო, მაგრამ, ღმერთო შეგცოდე, ცოტა-ცოტა - როგორც პოლიტეკონომიის უნიჭო ლექტორი გვეტყოდა ხოლმე - „მატერიალურმა წახალისებამაც" წაუბიძგათ:

ჩრდილოეთის მშვენიერ ასულს რომ მაღალი, ხუჭუჭთმიანი ქართველი თავადი მოეწონა, იმ დროს მამაპაპური სიმდიდრე მთელს რუსეთის იმპერიაში ასიდან სამს თუ ჰქონდა შერჩენილი.

ბაზილევსკების ფული უკვე გადაეწოვა პეტერბურგელი გილდ-ვაჭრების ქისას, ორი კაპიკი, რაც დარჩენოდა, სადავო და სადავიდარაბო გამხდარიყო, ხოლო როსტომ წერეთელს (მკითხველს ჩემზე უკეთ მოეხსენება) თავისი ქონება უკვე კარგა ხნის წინ დაემღერებინა.

როცა ამური ზეობს, მოტრფიალენი კუჭზე არ ლაპარაკობენ, ხოლო აკაკიზე უკეთ ვინ იცოდა, რომ „სიყვარული ყველასათვის ვალია" და იგი „განურჩევლად იმონებს, კაცია თუ ქალია".

ისე, ჩვენს შორის დარჩეს, გულის სიღრმეში ხანდახან გაჰკრავდა ხოლმე ფიქრი:

არისტოკრატკა გოგოა, პეტერბურგის მაღალ წრეებთან დაახლოებული, შევირთავ. ჯერ ერთი, ნახევრადმშიერი მეგობრები ცოტას ამოვისუნთქავთ და მერე, იმპერიის დედაქალაქის ძნელად შესაღწევ სალონებთან დამაკავშირებსო.

ულამაზეს ნატაშასაც გამოუწია გულმა ზღაპრული კავკასიისკენ. როგორც აკაკი მეუბნება, წერეთლების გვარი გავლენა-სიმდიდრით საქართველოს საუკეთესო გვართა სამეულში შედის, დავუკავშირებ ბედს კავკასიას, ამ მზიან-ხილიან კურორტ ქვეყანაში ზაფხულობით ჩავალ და თითქმის გაკოტრებულ ოჯახსაც ხელს მივაშველებო.

გავიდა თაფლობის თვეები და ახალყოილთა თავებში სხვანაირი ფიქრი გაკრთა. რა მეჩქარებოდაო, დაიწუწუნებდა ხოლმე აკაკი მაშინაც კი, როცა მთელი საქართველო „უგვირგვინო მეფეს" და „საქართველოს ბულბულს" ეძახდა. ხოლო ნატალია ბაზილევსკაიას, როგორც კარგად აღზრდილი ქალის, წერილები აშკარა სინანულს ნაკლებად შეიცავს, მაგრამ ყველა წერილი თითქმის ერთნაირი შინაარსისაა - ლოლია უკვე დიდია და, როგორც გინდა, (თუნდაც ქვა გახეთქე) იშოვე ფული და გამოგვიგზავნეო.

საქართველოს ბულბულს მთელი სიცოცხლის მანძილზე სიღარიბის ჭია ხრავდა და კვირაში სამი დღე თუ „თორნიკე ერისთავს" წერდა, სამი დღე იმასაც ფიქრობდა, ფული რა გზით ეშოვა.

რედაქციები რომ ორ კაპიკს გადმოუგდებდნენ, სასტუმროს (ბინა სხვიტორის გარდა არსად ჰქონდა; არც ქუთაისში და არც თბილისში) და საჭმლის ფულად ძლივს ჰყოფნიდა. თუ რამე გადარჩებოდა, ბანქოში აგებდა.

მთელი სიცოცხლის მანძილზე ბანქოს თამაშობდა და არაფერი მოუგია, მაგრამ ჯიუტად არ ეშვებოდა.

ზაფხულობით მეუღლე და შვილი სხვიტორში ეწვეოდნენ. ნატალიას საქართველოში მუდმივად ცხოვრებას ვერ გააგონებდი.

პირველ ხანებში აკაკის აძალებდა პეტერბურგში გადმოსვლას, მაგრამ მგოსანი ერთსა და იმავეს პასუხობდა: რა გავაკეთო ჩემი ქართული ლექსებით მანდო.

მერედამერე მიხვდა ცოლი, რომ აკაკის პეტერბურგისკენ ვერ გადაქაჩავდა და აღარც იჟინებდა მაინცდამაინც. ერთადერთი, რასაც არ იშლიდა, ფულის გაუთავებელი მოთხოვნა იყო. თანაც ზოგიერთ წერილში მოთხოვნაში აქა-იქ მუქარაც გაერეოდა ხოლმე.

ზაფხულობით ჩამოდიოდა-მეთქი, ნატალია სხვიტორში და, მართალია, წერეთელთა საგვარეულო სახლის აივნიდან მერჯევს და მოდინახეს საათობით შესცქეროდა, მაგრამ მწვანე სანახებს რომ თვალს მოაშორებდა, ახლომახლო არაფერი მოსწონდა. არც უშნო, მოუწყობელი სახლი, არც ქართული წიწაკიანი კერძები და არც ხელნაწერს მიჭიჭინებული წვეროსანი ქმარი.

ერთადერთ მოსამსახურეს აიძულებდა, ჩიხურადან ყოველდღე 15 კოკა წყალი მოეტანა და აგურის დიდი აბაზანა გაევსო, რათა კნეინას ყოველდღე მინერალურ წყალში (როგორც თვითონ ეძახდა) ებანავა. ჩიხურა კი საკმაოდ შორს იყო და საწყალი მოსამსახურე წელში წყდებოდა, სანამ ახირებულ ქალბატონს აბაზანას გაუვსებდა.

ვერცერთი საქმე ბოლომდე ვერ მიგყავსო, დაიწყებ და შუაგზაზე მიატოვებო, ქართველი და ასეთი უნიათო არ გამიგიაო, ჩაუღაპარაკებდა ხოლმე ბუზღუნა ცოლი და თავგაბეზრებული აკაკი დღეებს ითვლიდა, როდის გაისტუმრებდა ოჯახს პეტერბურგში.

ნატალია ბაზილევსკაიას ნათქვამში ცოტა სიმართლეც ერია.

აკაკი წარმატებით სწავლობდა ქუთაისის გიმნაზიაში, მაგრამ სწორედ მაშინ, დამამთავრებელ „ეგზამენებამდე" რომ ხუთიოდე თვე იყო დარჩენილი, გიმნაზია მიატოვა და საჩხერეში დაბრუნდა.

რატომ ჰქენი ესო, რომ ჰკითხეს ახლობლებმა, ძმასავით სამხედრო სამსახურში მინდა შესვლა და ამ გამოცდებით რაზე გავიწვალო თავი, გიმნაზიის დიპლომი აღარაფერში დამჭირდებაო, უპასუხა.

არადა, დაჭირდა.

ერთი წლის შემდეგ პეტერბურგს გაემგზავრა. სამხედრო სამსახურში შესვლა არც უფიქრია, იქ ქართველ სტუდენტებს შეხვდა და უნივერსიტეტში შესვლა გადაწყვიტა.

უნივერსიტეტში გიმნაზიის დიპლომი მოთხოვეს და რაკი არა ჰქონდა, თავისუფალ მსმენელად ჩარიცხეს.

აკაკიმ ოთხის ნაცვლად ორ წელიწადში გაიარა საუნივერსიტეტო კურსი - ყველა გამოცდა მაღალ ნიშანზე ჩააბარა და დეკანმა განუცხადა - წადი, ჩააბარე რომელიმე გიმნაზიაში ექსტერნად გამოცდები, ცნობა მოგვიტანე და დიპლომს გამოგიწერთო. კარგი, ასე მოვიქცევიო, დაყაბულდა დეკანს აკაკი, მაგრამ არც ამჯერად შეასრულა სიტყვა. გიმნაზიის საგნები არ ჩააბარა და ამის გამო არც უნივერსიტეტის დიპლომი მიუღია.

იცოდა თუ არა ბაზილევსკაიამ, რომ აკაკი ორივე სასწავლებლიდან უდიპლომოდ გამოვიდა, ჩვენთვის უცნობია.

ვერცერთი საქმე ბოლომდე ვერ მიიყვანეო, კნეინა სხვა საქმეებზე მიანიშნებდა: ერთ-ერთი „ბოლომდე მიუყვანელი საქმე" ჭიათურის მარგანეცის საქმე იყო, მაგრამ ამ საქმის ჩავარდნაში" აკაკი არ იყო დამნაშავე და ეს ნოველაც იმიტომ იწერება, რომ პოეტს თანამეცხედრის უსაფუძვლო ბრალდება ავაცილოთ.

ცხოვრებაში ორი რამის იმედი ჰქონდა - ბანქოში ფულის მოგების და მარგანეცის შავი ქვისა.

არცერთმა არ გაუმართლა.

მარგანეცის საქმე ასე იყო:

ბავშვობიდან ახსოვდა: ერთხელ მამამისმა სოფელ წირქვალიდან ხორბლის მომტანი დატუქსა: ხომ გითხარი, შე კაცო, ქვა-გუნდა არ შეაყოლო-მეთქი. ეგ ხორბალი კაცს აღარ ეჭმევა, სხვა კოდში ჩაყარე ქათმებისთვისო.

ქვა-გუნდა რა არიო, აკაკიმ იკითხა (მაშინ თორმეტი წლის იყო).

ქვა-გუნდა, შვილო, შავი ქვაა, ჭიათურის სოფლებში ყველგან ჰყრია. თუ ხორბალს შეჰყვა, ფქვილს აშავებს და კუპრივით შავი პური ცხვებაო.

მოგვიანებით პეტერბურგში სტუდენტობის დროს „სამეფო ჟურნალში" პროფესორ აბიხის სტატია წაიკითხა: შავი ქვა ანუ მარგანეცი ძვირფასი მინერალია, ჯერჯერობით მხოლოდ გერმანიაში, რეინის პირას მოიპოვებენ. იქაც მადანი უკვე ილევა და რა ეშველება მსოფლიოს უმარგანეცოდ, არ ვიციო, წუხდა აბიხი. ეჭვი მაქვს, შავი ქვა საქართველოშიც უნდა იყოსო, დასძენდა.

აბიხის სტატიის წაკითხვისას სტუდენტს ქვა-გუნდა გაახსენდა, მაგრამ ამაზე ფიქრი დიდხანს არ გაჰყოლია, მითუმეტეს, რომ არ იცოდა, ქვა-გუნდა თუ მარგანეცი აღმოჩნდებოდა.

მერე, როცა საქართველოში დაბრუნდა, უსახსრობის გამო ქმარი არაერთხელ მოიჭირა და პეტერბურგიდან ნატალიის წერილებმაც იმატა (ჰე, რას მერები ახლა; ცოლშვილს რომ მოეკიდე, რჩენა რომ უნდოდა, არ იცოდიო?!), მაძიებელ გონებაში კვლავ ამოუტივტივდა ჭიათურის შავი ქვა.

თბილისიდან გეოლოგი სვიმონოვიჩი ჩამოიყვანა.

სვიმონოვიჩმა ერთი თვე დაჰყო საჩხერე-ჭიათურაში.

აკაკი გვერდიდან არ მოშორებია. პირველ დღესვე ლუპით დახედა თუ არა, გეოლოგმა მაშინვე ახარა პოეტს: წყალი არ გაუვა, სწორედ მარგანეციაო.

დანარჩენ 29 დღეს სვიმონოვიჩი და მისი გულუხვი მასპინძელი დასეირნობდნენ ჭიათურის სოფლებში. აკაკის იმის გაგება სურდა, ბევრი იყო თუ არა მადანი. ბახუსის მოყვარულ სვიმონოვიჩს კი, ჩანს, გაუტკბა „ძველმავი", „უსახელოური", ნუშში გამომცხვარი ჭადი და კეცში შემწვარი ვარიები.

გაირკვა, რომ ჭიათურაში ლამის ულევი მადანი იყო და ვინც მარგანეცის მოპოვებას დაიწყებდა, თვითონ ხომ გამილიონერდებოდა, ქვეყანასაც ააღორძინებდა.

საქმის დასაწყებად ფული იყო საჭირო. აკაკის ყველაფერი ჰქონდა (ნიჭი, ჯანმრთელობა), ფულის გარდა.

ჩამოუარა იმერელ თავადებს.

დაიწყებდა თუ არა შავ-ქვაზე ლაპარაკს, მისი მოგვარენიც კი საეჭვოდ შეხედავდნენ, პირში არ ეუბნებოდნენ, მაგრამ ერთმანეთს რომ შეხვდებოდნენ, ქირქილებდნენ: - „როსტომ წერეთლის ბიჭი შეშლილა, რაღაც შავ-ქვაზე ბოდავს. ფული მთხოვა. ჯერ ერთი, სადა მაქს, კიდეც რომ მქონდეს, შავ-ქვაში რავა ჩავდებ. არადა, გარეგნულად რა მშვენიერი ბიჭია, რატომ უნდა მოსვლოდა ეს ამბავიო".

არ გეგონოთ, რომ რაც ახლა წაიკითხეთ, ნოველის ავტორის ფანტაზიის ნაყოფია. თვითონ აკაკი წერეთელი წერს:

„ნაცნობები და ნათესავები სამძიმარს ეუბნებოდნენ მამაჩემს. - ვაი, რა შვილი გადაგერია და რაღაც ეშმაკის გაჩენილ შავ-ქვას დასდევსო".

იმერეთში რომ ვერა გააწყო რა, აკაკი თბილისში ჩამოვიდა. ამილახვარ-ორბელიან-მაღალაშვილები, რასაკვირველია, ზრდილობის გულისთვის ყურადღებით უსმენდნენ, მაგრამ ფულის ჩადებაზე რომ მიდგებოდა საქმე, ხელებს ასავსავებდნენ - იცოცხლე, ეგ კარგი საქმე იყოს, თავადიშვილო, მაგრამ ჩვენ ფული ვინ მოგვაშავა, ჩვენ მხოლოდ სახელი და დიდებაღა შეგვრჩა. ფული თბილისში მხოლოდ სომეხ სოვდაგრებს აქვთ და იმათ მიმართეო.

მიმართა აკაკიმ სომეხ ვაჭარ ზაბუროვს. ფულის მეტი რა მაქვსო, სომეხმა, მაგრამ შავ-ქვაში რომ ფული გადავყარო, მარტო შენ კი არა, მეც გიჟად გამომაცხადებენო. უფრო ხაღდი რამე მოიფიქრე და მოდიო, კრიალოსნის მარცვლით აუწყა ზაბუროვმა.

აქ არაფერი გამოდისო და დაჯდა წერად აკაკი.

აგზავნის საზღვარგარეთ წერილებს: ასე და ასეა საქმე. საქართველოში უამრავი მარგანეცია. ჩამოდით და თქვენც აშენდებით, მეც და ჩემი ღატაკი ხალხიცო.

ამასობაში თორმეტი წელი გავიდა. გააფთრებული ბაზილევსკაია პეტერბურგიდან ფულს გაორკეცებული ენერგიით ითხოვს.

თორმეტი წლის განმავლობაში საზღვარგარეთიდან აკაკიმ თავისი ხარჯით (ნასესხები ფულით) რვა კომპანია ჩამოიყვანა. ევროპელები ბუტბუტით ათვალიერებდნენ ჭიათურის მიუვალ სოფლებს („საცალფეხო გზაც არსად იყოო", - წერს აკაკი), მაგრამ საბოლოოდ უარს ამბობდნენ შავიქვის რეწვაზე ორი მოტივით: ჯერ ერთი, საურმე გზამდე მარგანეცის ჩამოტანა ოთუსბირი დაგვიჯდება და მეორეც: აქ, როგორც ვხედავთ, ველური ხალხი ცხოვრობს, „ადამიანს ისე სჭრიან თავს, როგორც ხახვსო".

„აი, მაგ უკანასკნელზედ კი ბოდიში მოიხადეთო", წყრებოდა აკაკი, ჩემი ხალხი უძველესი კულტურის მქონე ხალხია და უზატონოდ არავის მიმართავსო.

ერთი სიტყვით, ბოლოს პეტერბურგში (ისევ ჩვენი „მხსნელი" პეტერბურგი) შინაგან საქმეთა მინისტრ მაკოვამდე მიაღწია აკაკიმ და მაკოვმა შესთავაზა - შავი ქვა, როგორმე პეტერბურგამდე (რა პატარა მანძილია?!) ჩამომიტანე და საზღვარგარეთ მე გავგზავნიო.

პეტერბურგამდე კი არა, სამ ვერსზე - ჭიათურის სოფელ წირქვალიდან საურმე გზამდე ვერ ჩამომაქვსო, ცრემლი მოერია აკაკის.

აბა, რა გიყო, გენაცვალე, მე წყალში მოდგაფუნე თვეზის მუშტარი არ გახლავარო, მაკოვმა.

კიდევ კარგი, ხელშეკრულება არ გაფორმდა, თორემ აკაკის ვალებს ხუთი იმდენი დაემატებოდა. ერთ თვეში მაკოვმა თავი მოიკლა. რასაკვირველია, არა შავი ქვის მიზეზით.

ბოლოს მაინც გამოძებნა „განთიადის" ავტორმა კომპანიონი - გვარად ოსტრიაკოვი.

ოსტრიაკოვს მთლად მილიონერი არ ეთქმოდა, მაგრამ შეძლებულ კაცზე მეტი იყო.

შეთანხმდნენ: აკაკის ფოთში ოთხი თვის განმავლობაში ნახევარი მილიონი ფუთი მარგანეცი უნდა ჩაეტანა და ფოთიდან „პარახოდით" (აკაკი სწერს ასე) ოსტრიაკოვი წაიღებდა. თითო ფუთ მარგანეცში აკაკი სამ აბაზს მიიღებდა, ხოლო, ვინც პირობას გატეხდა, უნდა გადაეხადა „შტრაფი" (აკაკის ტერმინია) ასი ათასი ფრანკი.

დატრიალდა აკაკი. ჯერ ანდრონიკაშვილის ქვრივს, სალომე წერეთელს მიადგა; შენს ეზოში შავი ქვაა, უნდა გავიტანო და მიწა იჯარით მომეციო. გასამრჯელოდ წელიწადში 500 მანეთს მოგცემო. სიხარულისგან ცას ეწია ქალბატონი სალომე. რად გინდა იჯარა, ჩემო აკაკი, ხუთას მანეთად მთელ ეზოს საკუთრებად მოგყიდიო. იუარა აკაკიმ. შენ არ იცი, რა სიმდიდრეა შენს ეზოში, მე ვერ ვისარგებლებ შენი უმეცრებით, ამიტომაც იჯარით ვიღებ მიწას წელიწადში 500 მანეთადო.

ქმრივი გაკვირვებული და გახარებული დარჩა.

ფოთში „პარახოდი" იცდის.

აკაკის ნასესხები ფული ხელში უჭირავს, მაგრამ გზამდე შავი ქვის ჩამომტანი ვერ იშოვა.

ბოლოს ვიღაც ღვთიან-მადლიანი ვაშაძე მოძებნა.

ვაშაძემ ასეთი პირობა დაუდო: სოფლიდან საურმე გზამდე თითო ფუთ შავ ქვას ზურგით ჩამოვიტან (ღლონდ ღამით ვივლი, რადგანაც აზნაურობის მაძიებელი ვარ და მრცხვენიაო), საურმე გზიდან ცხენით შორაპანში ჩავიტან და იქიდან მატარებელს დავუდებ ფოთში წასაღებადო.

აეწყო საქმე!

აკაკის სიხარულს საზღვარი არა აქვს. ოთხი-ხუთი გზობა ჰქონდა ვაშაძეს გაკეთებული, მეტი არა, რომ გამთენიისას სხვიტორში მიადგა აკაკის.

თავის სძინავსო, მოსამსახურემ.

რა დროს ძილია, დანა პირს არ მიხსნის, როგორმე გააღვიძეთო, ვაშაძემ.

გაიგონა ეს ლაპარაკი აკაკიმ და აივანზე გამოდგა თეთრნიფხავპერანგისამარა.

ბატონო, გზაზე გლეხები გადამიდგნენ. სად მიგაქვს ე შავი ქვაო. მე ვუთხარი, აკაკი წერეთლის შავი ქვაა, სალომე წერეთლის ეზოდან მომაქვს, იჯარით აქვს აღებული აკაკის-მეთქი. აკაკი და სალომე არ ვიცით ჩვენო. აკაკის ჩვენს ხარჯზე უნდა გამდიდრებაო, შემომიბღვირეს.

ჩვენ რა შუაში ვართო? აკაკიმ ამოიხვნეშა.

მეც ეგ ვუთხარიყე, თქვენ რა შუაში ხართ-მეთქი, კაცი პატიოსნად იჯარის ფულს იხდის და ფოთში თავისი ხარჯით აგზავნის მარგანეცს-მეთქი. კი მარაო, ე გზა (საცალფეხო ბილიკზე თქვეს) ხომ სოფლის არიო, ამ გზას რო თელავთ, ფული არ გვეკუთვნისო? შემომიბღვირეს. საერთოდ ეგ მარგანეციც ჩვენია, ხალხისაა, ყოველ ფუთზე თითო აბაზი მოგვეც, თვარა, არ გაგატარებთო.

- რამდენიო? აკაკის გაეცინა, - რა ფული ეგულებათ ჩემთან. ვალებით ვარ გაძეძგილი.

მეც ეგ ვუთხარიყენ, კაცი ყელამდე ვალებშია-მეთქი. ერთი სიტყვით, წადი, შენს დამქირავებელს ფული გამოართვი და დაგვირიგე, თორემ ამ გზაზე უტვირთოდაც რომ შეგვხვდე, თავს გაგიტეხავთო. ის ქვა იქვე დამაგდებინეს, ერთი მაგარი პანღური ამომკრეს და გამომიშვეს. მე იქ ამსვლელი აღარა ვარ. იმ ოთხი გზობის (მეხუთეს არ ვთვლი, თუმცა, ნახევარზე ჩამოტანილი მქონდა) რაც მეკუთვნის, გამისტუმრეთ და ღმერთმა ხელი მოგიმართოთო, ვაშაძემ.

რა ექნა, ჩაუთვალა პოეტმა აზნაურობის მაძიებელს ოთხი ფუთი მარგანეცის ჩამოტანის ხარჯი.

არადა, დრო უღმერთოდ გარბის.

ფოთში „პარახოდი" იცდის და, თუ აკაკიმ მარგანეცი დროზე (ოთხ თვეში) არ ჩაიტანა, „შტრაფი" ასი ათასი ფრანკი უნდა გადაიხადოს.

აწრიალდა. მიდგა-მოდგა სასოწარკვეთილი პოეტი და ივანე მუხრანსკის შეუამხანაგდა.

ივანე მუხრანსკიმ სპარსეთიდან შვიდი აქლემი ჩამოიყვანა და აქლემაკიდებული შავი ქვა საცალფეხო ბილიკებით ჭიათურამდე ჩამოჰქონდათ.

სამი დღის შემდეგ აბლავლებული დაბრუნდა მთავარი მეაქლემე. ქარავანში მხოლოდ ხუთი აქლემი ჩანდა.

დანარჩენები რა იქნენო, ერთდროულად იყვირეს აკაკი წერეთელმა და ივანე მუხრანსკიმ. კლდეზე გადამიჩეხეს ორი აქლემი, ბატონო, ადგილობრივმა გლეხებმა და შემოგითვალეს, თუ ფულს არ მოგვიტანს, დანარჩენ აქლემებსაც იმ ორის გზას გავუყენებთო. იქნებ, თქვენ ახვიდეთ და მოურიგდეთ გლეხებსო, მექარავნემ.

ავიდა ცხენით აკაკი.

უძველესი კულტურის წარმომადგენლებმა აკაკის „თორნიკე ერისთავი" და „განთიადი" ფეხებზე დაიკიდეს. თვით აკაკის მოვუსმინოთ: „მორიგებაზე რომ მიდგა საქმე, იმდენი მოითხოვეს, რომ სიზმრადაც არ მინახავს ამდენი ფული".

დაბრუნდა სხვიტორში გულჯავრიანი აკაკი წერეთელი.

სამუდამოდ დაწყევლა შავი ქვა და თავისი უიღბლო „მრეწველობასაც" გამოეთხოვა.

ცოლი რომ წერდა, ქვა გახეთქე და ფული იშოვეო; ქვა გახეთქა, მაგრამ გახეთქილი შავი ქვა ფოთამდე ვეღარ ჩაიტანა.

სიბრაზისგან ენაგამშრალი ივანე მუხრანსკი თავის გზაზე წავიდა.

აქლემები? ნახევარ ფასში მიყიდეს ვიღაც ყაზანელ უზბეკს.

ისევ ფოთს მივუბრუნდეთ.

ქოში უკუღმა ჰყარა ოსტრიაკოვმა, ოთხი თვის მერე ცარიელი „პარახოდი" რომ ტივტივებდა ფოთის პორტში.

სასამართლომ გაითვალისწინა აკაკის, როგორც საზოგადო მოღვაწის, პოპულარობა, მისი გამოუცდელობა მრეწველ-კაპიტალისტის ამპლუაში, თანაც აკაკის ადვოკატმა უამრავი საბუთი მოიტანა ჭიათურელი გლეხების თვითნებობის დასამტკიცებლად და აკაკი წერეთელი, რასაკვირველია, „შტრაფისგან" მთლიანად არ გაათავისუფლა, მაგრამ ასი ათასი ფრანკი ხუთი ათას ფრანკზე ჩამოუყვანა.

ეს კი პატარა საქმე როდი იყო (აშენდა იმ მოსამართლის ოჯახი, თორემ აკაკის მამაპაპეული სახლიც ვალში გაიყიდებოდა და ჩვენ დღეს, აკაკის მადლიერ შთამომავლობას, სხვიტორში დიდი პოეტის სახლ-მუზეუმი არ გვექნებოდა).

ისიც უნდა დავძინო, რომ განაჩენის თანახმად, ის ხუთი ათასი ფრანკიც აკაკი წერეთელს ერთბაშად კი არ უნდა გადაეხადა, არამედ - ნაწილ-ნაწილად ლექსებსა და პოემებში (განსაკუთრებით პოემები) აღებული ჰონორარის კვალობაზე.

ამბობენ, ოსტრიაკოვი ორი წელი ელოდაო აკაკის ჰონორარის პროცენტებს, მაგრამ რაკი ორ წელიწადში კაპიკიც ვერ მიიღო, იმ ხუთი ათას ფრანკზეც ხელი ჩაიქნია.

●

ასე უიღბლოდ დამთავრდა აკაკისთვის მარგანეცის საქმე.

თხის პატრონს (მარგანეცის პირველ აღმომჩენს), რომ იტყვიან, თხის კუდიც არ ერგო.

საქართველოს „უგვირგვინო მეფემ" პირადი ცხოვრება ვერა და ვერ აიწყო.

სულ დავიდარაბაში იყო, თავი რომ გაეტანა.

ხომ უზარმაზარი საქვეყნო ტვირთი ჰქონდა ზურგზე მოკიდებული; ხომ ქვეყანას პატრონობდა. ამისთვის ხან აპატიმრებდნენ („ხუმარას" რედაქტორობისთვის ციხეში ჩასვეს), ხან სამართალში აძლევდნენ („ინტერნაციონალის" თარგმნისთვის)...

ამის პარალელურად სამოქალაქო საქმეებზეც ხშირად ჩანდა სამართლის კარზე.

სისხლს უშრობდა თავის მეგობარ მოსამართლეს - ანაპოდისტე მაჩაბელს ახალ-ახალი საჩივრებით.

თუმცა, თითქოს მოჯადოებულ წრეში ტრიალებსო, ანაპოდისტემ ვერცერთი საქმე ვერ მოაგებინა.

ქართველი ერი? საზოგადოება?

საზოგადოება როდის იყო, მისთვის თავგადაკლულ მოღვაწეზე რომ წუხდა.

საქართველო აკაკის ხედავდა ქუჩაში ამაყად, გამართულად მიმავალს, ხედავდა ლექსის თქმის დროს, ან სუფრაზე ყანწით ხელში (სხვათაშორის, არ სვამდა და არც თუთუნს ეწეოდა) და ეგონა, ასე ლაღად, ლამაზად მიედინებოდა აკაკის ცხოვრება.

ამას რა უჭირს, გენაცვალე, ჩვენ ვიკითხოთო, იტყოდნენ მოქალაქენი და ჩაუვლიდნენ.

ჩვენ დედამიწაზე ყველაზე კარგად რაც გამოგვდის, ესაა იუბილეს გადახდა და მკვდრის დატირება.

1908 წლის 7 დეკემბერს თბილისში ზღაპრული იუბილე გაუმართეს.

ღირსეულად დააფასეს საქართველოს ბულბული.

სავანიდან ის აკვანიც კი ჩამოუტანეს, რომელშიც ძიძამ გაზარდა.

ფრაკში გამოწყობილ ბულბულ-კონფერანსიეს (გვარს არ დავასახელებ) „მშვენივრად „მიჰყავდა" საიუბილეო საღამო.

ოპერის თეატრი პოეტის თაყვანისმცემლებს ვერ იტევდა.

კულისებში ვაჟა-ფშაველა გამოჩნდა. კონფერანსიეს მხარზე ხელი დაადო - აკაკის ლექსი უნდა ვუძღვნა, მე ვაჟა-ფშაველა ვარო.

გიცნობთ, ბატონო ვაჟაო, კონფერანსიემ.

ერთი კი მრავალმნიშვნელოვნად ახედ-დახედა მთის არწივის გამოხუნებულ ჩოხას და ხანჯალსაც შეავლო თვალი.

შებრუნებისას ვაჟამ ერთხელ კიდევ შეაჩერა: - მე ქვემოთ ვიქნები, კარებთან, დარბაზიდან ვეტყვი, ასე უფრო ეფექტური იქნებაო.

ბატონი ბრძანდებით, წამყვანმა.

ვინ არ დაასახელა, ვინ არ გამოიყვანა თმაგადაგლესილმა მერცხალფრაკა კონფერანსიემ, ვაჟა ავიწყდება.

პოეტი დგას და თავის რიგს ელის.

იუბილე დასასრულს უახლოვდებოდა, როცა ვაჟა-ფშაველა გამოუცხადებლად, „ვეფხვივით, გამოხსლტა სცენაზე" (ზუსტად ასე იგონებს ბაბილინა ხოსიტაშვილი) და აკაკი წერეთელს ლექსი სტყორცნა.

იყო სხვა კურიოზიც:

დიდებული ბანკეტი გაუმართეს აკაკი წერეთელს. ენაწყლიანი თამადა, საყოველთაო სიყვარულის გამოცხადება, ხვევნა-კოცნა...

დამთავრდა ბანკეტი.

მონადიმენიც, საიუბილეო კომისიის წევრებიც მიმოიფანტნენ და აკაკი მარტო დარჩა.

ეტლითაც კი არ გაისტუმრეს შინ გენიალური იუბილარი.

გამოვიდა გალავინსკზე, ცოტა ხანს ფეხით იარა და მერე ეტლს უხმო. სასახლის ქუჩაზე დათიკო სარაჯიშვილთან მიმიყვანეო, მეეტლეს უბრძანა.

მეეტლემ აღვირები აიქნია და ცხენები პაკაპუკით გაუყენეს გალავინსკს ერევნის მოედნისკენ.

პოლიციამ ოპერასთან გზა გადაკეტა. სამი საათი უსაქმოდ ვიდექიო, მეეტლემ.

ერთი მითხარით, ბატონო, რა ხდებოდა, ვინ ჩამოვიდა პეტერბურგიდან, რას დღესასწაულობენ, ვისთვის შეიკრიბა ამდენი ხალხიო.

აკაკიმ შუბლზე ხელაბანდი გადაისვა, გაიღიმა და თვალმოჭუტვით მიუგო მეეტლეს:

ვისთვის და ჩემთვისო.

მეეტლემ სიცილი ვერ შეიკავა.

არა, მე მართლა გკითხებითო.

სიყრმის გეფიცები, მართლა ჩემს დაბადებას ზეიმობდნენო.

მეეტლე ჩაბჟირდა.

- რა მასხარა ყოფილხართ, ბატონო - სული რომ მოითქვა, უცნაურ მუშტარს ერთხელ კიდევ გამოხედა და ცხენებს შეუძახა.

1908 წლის 14 დეკემბერს ქუთაისში გადაუხადეს იუბილე.

ბეჟან წერეთლის სახლიდან გამოდის თეთრწვერა ბიბლიური გარეგნობის პოეტი. თეთრი ყვავილებით სავსე, თეთრცხენებიან ეტლში ჯდება. კოფოზე თეთრ ჩოხა-ახალუხში გამოწყობილი მეეტლე ზის - გვარად მელია.

ქუთაისის თეატრამდე ორასიოდე მეტრში ეტლს ახალგაზრდები შემოეხვივნენ და ცხენების გამოხსნა დაიწყეს.

რას შვრებითო, გაწყრა მელია.

ეტლში ჩვენ უნდა შევებათ და ასე მივიყვანოთ საყვარელი პოეტი თეატრამდეო.

არა, ბატონო, ამაზე არ მოვლაპარაკებულვართ. მგოსანს რომ რამე მოუვიდეს, ვინ აგებს პასუხსო, მელიამ.

ვინ მოუსმინა.

პოეტისადმი უბრალო ხალხის თაყვანისცემას ხომ საზღვარი არა აქვს.

შეებნენ და დაძრეს ეტლი ბიჭებმა.

აკაკიმ ფერი დაკარგა. თავის ნათლულს უხმო:

„ამ საფეხურზე დადექი, ვინიცობაა ეტლი გადაბრუნდეს, ხელი მტაცეო. საშინელი მშიშარა იყო აკაკი. თეთრი ხიდი უნდა გაევლოთ და ეშინოდა, რიონში არ გადამჩეხონო. ნათლული ძალიან ღონიერი ყმაწვილი იყო და იმის იმედი ჰქონდა, გზაში თურმე სულ „მამაო ჩვენოს" ლოცულობდა" - იგონებს ნიცა ბაგრატიონი-წერეთელი.

მიდიოდა უცნაური ეტლი ქუთაისის ბულვარისკენ.

მიჰყვებოდა უკან ორცხენშუა ჩამდგარი მეეტლე. იქით-აქეთ ლაგამით ეჭირა მეეტლეზე უფრო გაოცებული, ლამაზთვალება, თეთრი ცხენები.

ეტლში შებმული ყმაწვილები მღეროდნენ და თეთრ ხიდზე ისე ხალისიანად ბრაციბრუცობდნენ, რომ, მართლაც, შეიძლებოდა, ნამეტანი სიყვარულით ხიდიდან გადავარდნოდათ ერისთვის დამაშვრალი პოეტი.

გრანდიოზული იუბილე რომ დამთავრდა (რასაც სამასკაციანი სათავადაზნაურო ბანკეტი მოჰყვა რიონისპირას, სოლომონ მეფის სასახლეში), დაღლილი აკაკი ისევ ბეჟან წერეთლისას მიიყვანეს.

იქ იყო ჩამომხტარი.

აკაკი საძინებელში განმარტოვდა, დავიღალე, ცოტა თვალს მოვატყუებო.

მასპინძლები (მათ შორის ივანე იოსელიანიც იყო) სასტუმრო ოთახში დარჩნენ.

უცებ კიბე ამოირბინა ჩოხოსანმა, შუახნის კაცმა:

ბატონ აკაკისთან სასწრაფო საქმე მაქვს, უნდა ვნახოო.

ივანე იოსელიანმა უარი უთხრა; დაღლილია, ისვენებსო.

ერთი წუთით შემიშვით, სასიხარულო რამ უნდა ვაცნობოო, უცნობმა.

შემოუშვითო, აკაკიმ დაიძახა.

შეუშვეს.

მართლაც, ხუთიოდე წუთში გამოვიდა სტუმარი, მასპინძლებს მადლობა დაუგდო და კიბე ჩაირბინა.

დაეჭვებული მასპინძლები საძინებელში შევიდნენ.

„აკაკი გაფითრებული დგას შუა ოთახში.

- ხედავთ, რა ჩაიდინა ამ საძაგელმა? ახლავე ფული, თორემ გაგათავებო, ხანჯალზე ხელი წაივლო.

- მერე, ბატონო?

სიბრაზისგან პირი გაგვიშრა.

- რა მექნა, უხმოდ ამოვიღე უკანასკნელი ხუთი თუმანი და მივართვი.

მოხუცი პოეტი სულს ძლივს ითქვამდა".

(ივანე იოსელიანის მოგონებიდან).

არ უნდა ლაპარაკი, ძალიან უყვარს ხალხს თავისი პოეტი, თავისი კეთილი მრჩეველი, თავისი გულის მესაიდუმლე.

მაგრამ რაღა თავისი იუბილე ჩამწარეს, რაღა იუბილის დღეს გაძარცვეს? უცნაური ერი ვართ ქართველები. ზომა არ ვიცით არაფერში.

●

აკაკი წერეთელს ორჯერ დაეცა დამბლა - 1905 წელს და 1915 წელს.

პირველი სისხლისჩაქცევისგან პოეტი განიკურნა პარიზში. ვერ დავუკარგავ; ნატალიამ და ლოლიამ უპატრონეს. პარიზიდან თავის მეგობარს კოტე აბდუშელიშვილს წერდა: - ოჯახმა ექიმები დამახვია, მაგრამ რაღა დროს ჩემი მკურნალობაა, ამ სიშორეზე არ უნდა წამოვსულიყავიო.

მეორედ, 1914 წლის შემოდგომაზე შეუძლოდ იგრძნო თავი და ცოლშვილს შეუთვალა, ჩამოდითო.

თბილისში ბინა დავიქირავოთ და ეს ზამთარი მაინც გავატაროთ ერთადო, ნატალიამ.

იქ ექიმების მეთვალყურეობის ქვეშ გვეყოლებიო.

სწორედ თბილისში, ოჯახურ გარემოში ყოფნამ მოუღო ბოლო.

ცოლთან შელაპარაკება მოსვლია და, როგორც ივანე იოსელიანი იგონებს, პუშკინის ქუჩაზე „გრანდოტელში" გადასულა. ძლივს მიუგნიათ. ცივ ოთახში ტანგაუხდელი იწვა ავადმყოფი.

საჩხერეში წამიყვანეთო, ტუჩების ცმაცუნით გაუგებინებია ახლობლებისთვის.

ჩამოუყვანიათ სხვიტორში, ცოტა გამოკეთებულა, მაგრამ ერთ თვეში ისევ ჩაქცევია სისხლი.

დამბლა ვერაგი ავადმყოფობაა.

1915 წლის 26 იანვარს გარდაიცვალა აკაკი, 75 წლისა.

მადლიერი საზოგადოების მიერ დიდი მოღვაწის დაფასების კიდევ ერთი მაგალითი გამახსენდა. შემეძლო სადმე ზევით ჩამემატებინა, მაგრამ რა მნიშვნელობა აქვს, აქვე მივაწერ:

სიბერეში აკაკი წერეთელს ქუთაისის ბანკმა პენსია დაუნიშნა, მაგრამ როგორც შენ არ მიგიღია იმ პენსიიდან ერთი კაპიკი, მკითხველო, ისე - არც აკაკის.

სამი წლის განმავლობაში ცოტა წერილი როდი აფრინა ბანკის მესვეურებთან: თქვე კაი ხალხო, გაზეთებში რომ სულ მადლობა მაძახებინეთ, ან მომეცით პენსია, ან მომიხსენითო.

ბანკი დუმილით პასუხობდა.

არც სამი წლის მერე მოეშვებოდა პოეტი ბანკს, მაგრამ სიკვდილმა შეუშალა ხელი.

# ნ ე რ გ ე ბ ი
# ქართული ტრადიციების სიმბოლოა!

**ყველას კარგად გვახსოვს რეზო ჩხეიძის არაჩვეულებრივი ფილმი „ნერგები“, ბაბუა-შვილიშვილის ამაღელვებელი მოგზაურობა ხეჭეჭურის ნერგების საშოვნელად. აქ კარგად არის ასახული ქართველი კაცის ბუნება-ხასიათი, ზნეობა, ღირსება, მიწის სიყვარული. არასდროს ისე აქტუალური არ ყოფილა ამ ფილმში წამოჭრილი თემატიკა, როგორც დღეს, როდესაც სოფლები დაცარიელდა, ხოლო მიწას სისხლის ფასი დაედო...**





ბაბუა და შვილიშვილი - რამაზ ჩხიკვაძე და მიშიკო მესხი





ლია კაპანაძე



ჯემალ ღაღანიძე





მიშიკო მესხი



სესილია თაყაიშვილი



კახი კავსაძე

**ჯემალ ღაღანიძე,** ***მსახიობი:*** - ფილმში ბატონმა რეზომ მიმიწვია. ჩემთვის სცენარი თავიდანვე ცნობილი იყო. როლების განაწილება რთულად მიმდინარეობდა, უამრავი მსახიობი ისინჯებოდა. არაერთს გადაუღეს სინჯები იგივე ბაბუა ლუკას როლზე. ბოლოს რეზომ რამაზზე შეაჩერა არჩევანი და არც შემცდარა. არაჩვეულებრივად შეასრულა ეს როლი. რამაზი იმერელი კაცია, ამ კუთხის ცხოვრება მისთვის კარგად არის ცნობილი. **რამაზის გმირის ყოველი მოძრაობა, ჟესტი, მოქმედება ისეთია, როგორიც უბრალო გლეხისა, მიწიდან ამოზრდილი ბერმუხისა, რომელმაც ძალიან კარგად იცის სოფლის ცხოვრების ყველა წვრილმანი.** ნამდვილი იმერელი კაცი ზუსტად ისეთივეა, როგორიც რამაზის გმირი. „ნერგები“ საინტერესო ფილმია, რამაზის შემოქმედებაში ერთ-ერთი ნათელი წერტილი, რომ არაფერი ვთქვათ თეატრზე.

რამაზთან ერთად არაერთხელ ვყოფილვარ სოფელში. უყვარს ბუნება. თბილისშიც, თავის სახლთან, შესანიშნავი ბაღი გააშენა, **უყვარს ცხოველები.** ყოველთვის ჰყავდა სახლში ძაღლი, სიამის კატა. რამაზი თბილი, სათნო ადამიანია, შეუძლებელია, ეს ყველაფერი არ უყვარდეს. ის დაჯილდოებულია საუკეთესო თვისებებით - უსაზღვროდ კეთილია, დიდი იუმორის მქონე. ბატონმა რეზომ კარგად იცოდა მისი ყველა ეს თვისება, ამიტომაც შეაჩერა მასზე არჩევანი.

რაც შეეხება ხეჭეჭურს, რომელსაც ჩვენი გმირი ეძებს, მსხლის ჯიში გახლავთ, რომელიც გვიან იძლევა ნაყოფს. გასინჯული მაქვს, წვნიანი, გემრიელი მსხალია. იმერეთში ბევრი მოსახლის ეზოში დგას. **ჩემს სოფელში - ღანირშიც ბევრია ხეჭეჭურის ხე.** სხვათაშორის, მე და ეროსი მანჯგალაძე ერთი სოფლიდან ვართ. მახსოვს, ეროსის იუბილეზე (ბანკეტზე), სწორედ ხეჭეჭურის შესახებ ვსაუბრობდით.

მიყვარს ეს ფილმი, აქ არის არაჩვეულებრივ მსახიობთა მთელი არმია, გარდა ამისა, აქ თამაშობდა ჩემი მეგობრის, ფეხბურთელ მიხეილ მესხის შვილი მიშიკო მესხი, რომელსაც მოფერებით კოკოს ვეძახდით. ჩვენს ხელში გაზრდილი ბავშვი იყო, საყვარელი ბიჭი. მიშა მესხთან ვმეგობრობდით მეც, რამაზიც, ეროსიც. **არცერთ ჩვენგანს რეკომენდაცია არ გაგვიწევია, რომ რეზოს ამ ფილმში მოეწვია უმცროსი მიშიკო მესხი.** რეზომ თვითონ გააკეთა არჩევანი. სხვათაშორის, უფროს მიხეილ მესხს ვენათესავებოდი კიდეც - ჩემი ხელისმომკიდე იყო ქორწილში. ესე იგი, მეჯვარე. მე, ეროსი, მიშა და რამაზი ყოველთვის ერთად ვიყავით, ერთად ვატარებდით დროს, ვქეიფობდით. მიშა ძალიან ხელგაშლილი კაცი იყო, ჩვენ კი, მსახიობებს, დაბალი ხელფასი გვქონდა. სწორედ ამ ხელფასის აღების დღეს მოვიდოდა თეატრში, გელოდებით, ჩქარა აიღეთ ხელფასი, საქეიფოდ წამიყვანეთო. მაგრამ **ვიცოდით, რომ თვითონ გვეპატიჟებოდა, მართლა ჩვენს ფულს კი არ ელოდა.** მაშინ დიღომში იყო ახალი რესტორნები, სახინკლეები, იქ მივდიოდით, ვქეიფობდით. მე და მიშა მანქანის საჭესთან ფოკუსებს ვატარებდით. ეროსის ვეხუმრებოდით. მიშა საჭეს ხელს გაუშვებდა, ეროსისკენ უკან მიბრუნდებოდა. მე კი ჩუმად მარცხენა ხელით საჭე მეჭირა. - „ცირკაჩები“ ხართო - იცინოდა ეროსი...

ეს პატარა მიშა მესხი არაჩვეულებრივი ბიჭი დადგა, ისიც ფეხბურთელი (უფროს მიხეილ მესხს პირველი ქორწინებიდან ჰყავდა), ნიჭიერი. თუმცა, მასთან ურთიერთობა აღარ მქონდა, მარტო ფეხბურთის მოედანზე ვხედავდი ხოლმე. მახსოვს, ერთხელ მეგობრებთან ერთად რესტორანში ვიყავი. **მოვიდა ჩემთან ულამაზესი ბიჭი, თვითონ გამომეცნაურა,** ის პატარა კახა იყო „ნერგებიდან“, უმცროსი მიხეილ მესხი. სამწუხაროდ, ისიც სრულიად ახალგაზრდა წავიდა ამ ქვეყნიდან.

არ შემიძლია, არ გავიხსენო ქალბატონი სესილია თაყაიშვილი, უნიჭიერესი მსახიობი, მისთვის არ არსებობდა პატარა და დიდი როლები, ყველგან შესანიშნავ სახეს ქმნიდა. აქაც ხომ პატარა როლი აქვს, ნახეთ, რა სახე შექმნა. აღარაფერს ვიტყვი, „ნატვრის ხესა“ და „დათა თუთაშხიაში“ შესრულებულ როლებზე. ბედნიერი კაცი ვარ, რომ სესილია თაყაიშვილს ვიცნობდი. მახსოვს, როდესაც „არ დაიდარდოს“ ვახმოვანებდი, რამდენიმე დღე მომიწია მასთან ერთად მუშაობა (ჩვენ სხვადასხვა თეატრებში ვთამაშობდით). ის დღეები დაუვიწყარია ჩემს ცხოვრებაში, სწორედ მაშინ გავიცანი და, ასე ვთქვათ, მაშინ შევიგრძენი ეს ადამიანი, მისი უბადლო ნიჭიერება, იუმორი.

შესანიშნავად ითამაშა კახი კავსაძემ, რომელიც ასევე ჩემი ძმა და მეგობარია. ცოტა იავადმყოფა, ოპერაცია გაიკეთა, მაგრამ, საბედნიეროდ, ყველაფერი კარგად დამთავრდა, მალე დაბრუნდება საქართველოში. მის პროფესიონალიზმსა და ნიჭიერებაზე მის მიერ შესრულებული როლები მეტყველებენ. როგორც პიროვნება, კახი უანგარო მეგობარი და სამაგალითო ადამიანია. ღმერთს ვთხოვ, კახი კარგად და ჯანმრთელად ამყოფოს... არ შემიძლია ზურიკო ქაფიანიძის დამსახურება არ აღვნიშნო. ბევრ ფილმში გვითამაშია ერთად. წმინდა, სუფთა ქართული მენტალიტეტის მსახიობია, პატრიოტი თავისი ქვეყნისა და ამას კიდეც გამოხატავს თავის ფილმებში. მოქეიფე, ლხინის მოყვარული კაცია, მაგრამ ახლა ცოტა უავადმყოფია, ამასწინათ რესტორანში შევხვდით ერთმანეთს, მიამბო თავისი პრობლემის შესახებ. საბედნიეროდ, დღეს კარგად არის.

„ნერგები“ ხშირად უნდა აჩვენონ ტელევიზიით, **ხალხს უნდა შეახსენონ, საიდან მოვდივართ, რომელი მიწის შვილები ვართ, როგორი იყო ჩვენი ზნე და ხასიათი. ეს წამალივით გვჭირდება დღეს. ყოველთვის უნდა შეგვეძლოს ქართული ტიპაჟების ხილვა ტელეეკრანზე.** ამასწინათ მკითხეს, როგორ მოგწონთ ეკრანზე „ცისფერებს“ რომ აჩვენებენო - რატომ უნდა მომეწონოს? ამის ჩვენება ხომ ქართველ კაცს სახეს აკარგვინებს. **რა არის ამ ახალგაზრდების გაუთავებელი თამაში „ცისფერების“ როლში?!** თეატრში ქალების როლებს მამაკაცები როგორ არ ასრულებდნენ, მაგრამ მაშინ, როცა რაღაც კომედია იდგმებოდა, როცა აუცილებელ საჭიროებას წარმოადგენდა. **ახლა კი კონცერტს ისე არ ჩაატარებენ, კინოს ისე არ გადაიღებენ, ამაზე რომ არ იყოს ყურადღება გამახვილებული და ვიღაც კაცი ქალის როლს არ თამაშობდეს.**

„ნერგების“ გადაღებიდან თითქმის 35 წელი გავიდა. ყველას დიდხანს სიცოცხლეს ვუსურვებ და არა მარტო მათ, საერთოდ, ქართული ხელოვნების მოღვაწეებს. მათი გამოჩენა ეკრანზე ყოველთვის სასიხარულოა.

**ლია კაპანაძე,** ***მსახიობი:*** - „ნერგებში“ ბატონმა რეზო ჩხეიძემ მიმიწვია. შევხვდით, როლის შესახებ მესაუბრა, საერთოდ, ამ ფილმის თემატიკაზე. სცენარი გამატანა. რა თქმა უნდა, წავიკითხე, გმირის სახე, ხასიათი წარმოვიდგინე. შემდეგ, როდესაც ისევ შევხვდი ბატონ რეზოს და გმირის შესახებ ვესაუბრე, მითხრა, ეს ყველაფერი კარგი, მაგრამ, რასაც ახლა მიყვებით, ამ როლის შესატყვისი არ არისო. იმ ქალბატონის ეპიზოდურ როლზე ვესაუბრებოდი, ვის ოჯახშიც მიდიან ბაბუა და შვილიშვილი ღამის გასათევად, სადაც მიცვალებულია დასვენებული. თურმე, ბატონ რეზოს ჩემთვის შემოუთავაზებია მთავარი როლი, მაგრამ, რატომღაც, სცენარი რომ წავიკითხე, მეგონა, ეს ეპიზოდური როლი შემომთავაზა. თანაც ეს როლი უფრო მომეწონა. წარმოიდგინეთ სცენა: დაძაბული სიტუაციაა, სახლში მიცვალებულია, ამ დროს სრულიად უცხო ადამიანები მიდიან მათთან თხოვნით, ღამე გაგვათევინეთო. სტუმრებს მოასვენებენ და ეს უკანასკნელნი მხოლოდ დილით გაიგებენ, რომ, თურმე, ოჯახში მიცვალებული ასვენია. სხვათაშორის, ფილმში ეს ეპიზოდი მეტად შთამბეჭდავია. თვითონ ბატონმა რეზომაც მითხრა, თქვენზე უკეთ ამ როლს მართლაც ვერავინ შეასრულებდაო. რა თქმა უნდა, ის როლი, რომელსაც ბატონი რეზო მთავაზობდა, გაცილებით დიდი იყო, ანაზღაურებაც მეტი მექნებოდა, მაგრამ მე ეპიზოდური, მაგრამ შთამბეჭდავი როლი ვარჩიე.

„ნერგების“ გახსენება დღეს ნამდვილად აქტუალურია. თბილისში დაბადებული და გაზრდილი გახლავართ. დედის სოფელში - კავთისხევში ყოველ ზაფხულს ვისვენებდით მე და ჩემი და. **სოფელს თავისი ეშხი ჰქონდა, თავისი რომანტიკით გამოირჩეოდა. სამწუხაროდ, დღეს ეს იდუმალება და რომანტიკა დაიკარგა.** სოფელი დაცარიელდა, ჩამოდიან სოფლიდან, **ყიდულობენ თურქულ პროდუქტს, ყიდიან, ვაჭრობენ და თავისი სოფელი აღარ უნდათ, თავისი მატერიალური დოვლათი. ეს ტრაგედიაა ქვეყნისთვის.** დიახ, გაიხსენეთ ეს ფილმი - მოხუცი ნერგების ჩამოსატანად მიდის, თან მიჰყავს შვილიშვილი, რათა აზიაროს ქართულ ტრადიციას - **ხეჭეჭურის ძებნა ხომ სიმბოლოა ქართული ცხოვრების წესისა და ადათის, რაც სიმდიდრე აქვს ქართველ კაცს, ის რომ არ დაკარგოს, შთამომავლობამ რომ არ გაანადგუროს წინაპრების მოტანილი. ასეთი ფილმებით აღზრდილი თაობა უფრო ჰუმანური იქნება, ვიდრე შოუებზე გაზრდილი.**

ფილმში შესანიშნავი მსახიობები მონაწილეობენ. ახალგაზრდა რამაზ ჩხიკვაძე იმ ხნის ბაბუას როლს ასრულებდა, დღეს რა ასაკისაც არის. ძალიან კარგად ითამაშა. ვუსურვებ, დიდხანს იყოს ამ ქვეყანაზე და გაახაროს მაყურებელი. საუბედუროდ, მიშიკო მესხი ნაადრევად წავიდა ამ ქვეყნიდან. ჯანმრთელობას ვუსურვებ კახი კავსაძეს, რომელიც ჩემი პარტნიორია ამ ფილმში. ბატონ რეზოს ვუსურვებ, კიდევ გადაიღოს ფილმი ჩვენი მონაწილეობით. მან მიმიწვია თეატრალურ ინსტიტუტში ერთ-ერთ სპექტაკლში, პატარა როლს ვასრულებ სტუდენტებთან ერთად. ბედნიერი ვარ, რომ ისეთ დიდ რეჟისორთან, როგორიც რეზო ჩხეიძეა, კიდევ ერთხელ მიწევს მუშაობა.

---



ყოველ დილით ზაზა გოძიაშვილი მიჩიგანის შტატის ქალაქ მიდლენდის ,,Mid Michigan Pain Institute''-ში მიდის სამუშაოდ, თუმცა იქ ის არავის ემსახურება, თავად არის ამ კლინიკის ხელმძღვანელიც და დამაარსებელიც.

კლინიკა 2007 წლის მარტში გახსნა, მაგრამ მანამდე ბევრი ისწავლა. საქართველოში სამედიცინო ინსტიტუტი 1998 წლის 21 ივნისს დაამთავრა. დამთავრებიდან ზუსტად ერთ კვირაში ამერიკაში, მიჩიგანის შტატში ჩამოვიდა ძმასთან. რეზიდენტურაში ჯერ ქირურგია, შემდეგ კი ანესთეზია ისწავლა და ანესთეზიასა და ტკივილის მენეჯმენტში ბოარდი, უმაღლესი სერტიფიკატი კლინიკურ მედიცინაში, ჩააბარა.

დღესდღეობით ზაზა ტკივილის ექიმია. ტკივილის მენეჯმენტი მედიცინის ახალი დარგია, და ბევრმა ამერიკელმა ექიმმაც კი არ იცის თუ როგორ დაეხმაროს პაციენტს, რომელსაც ტკივილი აწუხებს.

,,მინდოდა რომ ხალხს გაეგო რა არის ტკივილის მენეჯმენტი, ამ ქალაქში არავინ ყოფილა ჩემამდე, ვინც ამ საქმით იყო დაკავებული'' - ამბობს ზაზა.

ამერიკის შეერთებულ შტატებში მხოლოდ 3400 პროფესიონალი ტკივილის ექიმია, მათ შორის ერთადერთი ქართველი, ზაზაა. მის კლინიკაში მოდიან პაციენტები, რომელთაც ქრონიკული ტკივილი აწუხებთ, მნიშვნელობა არა აქვს, კიბოთია ეს გამოწვეული თუ რადიკულიტით. ზაზა მათ ტკივილს და შესაბამისად ცხოვრებას უმსუბუქებს. მაგრამ, იგი უკმაყოფილოა პაციენტების რაოდენობით.

,,დღეში 10 პაციენტი თუ ვნახე, ის კარგი დღეა'' - ამბობს ის, თუმცა ისიც არ ავიწყდება რომ კლინიკის გახსნიდან სამი თვის განმავლობაში დღეში ხანდახან მხოლოდ ერთი თუ ორი პაციენტი ყავდა. ზაზა ხუმრობს რომ ამის მიზეზი მისი დასამახსოვრებლად ძნელი გვარია.

,,ჩემს გრძელ გვარზე ამერიკელებს ხომ ენა ებლანდებათ'' - იცინის ზაზა.

მიზეზი კი სულ სხვაა. კლინიკის დაარსებისას ზაზა ამ ქალაქში არავის იცნობდა და კლინიკისთვის რეკლამაც კი არ გაუკეთებია. ის რომ დღეს პაციენტების რიცხვმა იმატა, მისი ნიჭისა და თავდაუზოგავი შრომის შედეგია. დღეს ზაზას რთული გვარი უკვე ბევრმა ამერიკელმა დაიმახსოვრა.

ამ ქალაქში კიდევ სამი ადამიანია ვინც ზაზას გვარს ატარებს, მისი მეუღლე თეონა და 9 თვის ტყუპი ვაჟები, დიმიტრი და ვასილი. თეონა თერაპევტია და მეზობელ ქალაქში, საავადმყოფოში მუშაობს. ამ ორ ქართველს ერთმანეთი შორეულ ამერიკაში შეუყვარდათ.

თეონა რეზიდენტურაში სწავლობდა მიჩიგანის შტატში, როდესაც მეგობარმა ზაზას მამის დაბადების დღეზე დაპატიჟა. ზაზას მშობლები მოიხიბლნენ მისით.

,,ძალიან მინდოდა რომ ქართველი რძალი მყოლოდა'' - ამბობს ზაზას დედა, ქალბატონი ზაირა.

და ნატვრაც აუსრულდათ. იმ დღიდან ერთი წლის თავზე ზაზამ და თეონამ ჯვარი ბერძნულ მართლმადიდებლურ ეკლესიაში დაიწერეს. ქორწილი კი ვიწრო წრეში, ორმოცდაათი ქართველი სტუმრის გარემოცვაში აღნიშნეს.

თეონა ბავშვობიდან ოცნებობდა ამერიკაში სწავლაზე. ზაზას ძმამ შეუწყო ხელი შტატებში წამოსვლისათვის, თეონას კი არავინ დახმარებია.

თეონა იხსენებს, რომ როდესაც ის მეთერთმეტე კლასში სწავლობდა, საქართველოში დიდი ბუმი იყო ამერიკაში სასწავლებლად წამოსვლაზე. მისი მშობლები ცდილობდნენ იგი გაცვლითი პროგრამით ამერიკაში გაეშვათ. იმის იმედით რომ თეონა ამერიკაში გაემგზავრებოდა, მეთერთმეტე კლასში ის აბიტურიენტი არ ყოფილა. სამწუხაროდ მისი ამერიკაში სასწავლებლად წასვლა ვერ მოხერხდა.

,,დავრჩი მოუმზადებელი და მისაღებ გამოცდებამდე მქონდა მხოლოდ ერთი თვე'', - იხსენებს თეონა.

მას იმ წელს ინსტიტუტში მოხვედრის იმედი აღარ ჰქონდა, თუმცა, მამის დაჟინებული თხოვნით პედაგოგებთან სახლში მომზადება დაიწყო.

მამას სურდა რომ თეონას სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ესწავლა, მაგრამ თეონას გული ,,აიეტი-ტვილდიანის'' ინსტიტუტისაკენ უწევდა, მიუხედავად იმისა, რომ ,,აიეტში'' მოხვედრა და სწავლა საკმაოდ რთული იყო. იქ ხომ ყველა საგანი ინგლისურ ენაზე ბარდებოდა და შესაბამისად ამავე ენაზე ისწავლებოდა.

მისაღებ გამოცდებამე დარჩენილი ერთი თვის განმავლობაში თეონა დღე და ღამეს სწავლაში ასწორებდა. დღეში ორჯერ ქიმიისა და ბიოლოგის პედაგოგებთან დადიოდა, რომ როგორმე ერთი წლის მასალა ერთ თვეში აეთვისებინა.

,,აიეტიში'' ძირითადად იმავე კოლეჯის მოსამზადებლის აბიტურიენტები, ან ამერიკიდან გაცვლითი პროგრამებიდან დაბრუნებული მოსწავლეები ხვდებოდნენ. თეონა არცერთ კატეგორიას არ მიეკუთვნებოდა. მიუხედავად ამისა, მისმა თავდაუზოგავმა შრომამ ნაყოფი გამოიღო და თეონა ,,აიეტი-ტვილდიანის'' ინსტიტუტში მოხვდა. შემდეგ 6 წელი ისწავლა და ექიმის დიპლომი აიღო.

აიეტის კოლეჯის წარმატებით დამთავრების შემთხვევაში რამდენიმე სტუდენტს ეძლევა ამერიკის შეერთებულ შტატებში რეზიდენტურაში სასწავლებლად გამგზავრების შანსი. ამისათვის ტვილდიანი თავად ატარებს შესარჩევ გამოცდას, რომელიც იდენტურია იმ გამოცდის, რომელიც შტატებში, რეზიდენტურაში მოსახვედრად ბარდება. ტვილდიანს სურს დარწმუნებული იყოს, რომ მისი სტუდენტები საუკეთესოდ ჩააბარებენ გამოცდებს ამერიკაში.

კოლეჯის დამთავრებისთანავე, 2002 წელს თეონამ ეს გამოცდა წარმატებით ჩააბარა. მისი კურსიდან მხოლოდ სამმა სტუდენტმა აიღო 100 დან 75 ზე მეტი ქულა. 2003 წელს თეონა ქალაქ საგინოში გამოემგზავრა რეზიდენტურაში სასწავლებლად და არამარტო კარიერაში, არამედ პირად ცხოვრებაშიც მიაღწია წარმატებას.

,,ყველა დასახულ მიზანს მივაღწიე'', - ამბობს თეონა.

დღეს ზაზა და თეონა მიდლენდში ცხოვრობენ და წარმატებულ სამედიცინო საქმიანობას ეწევიან.

ზაზას ამ ქალაქში საკუთარი კლინიკა აქვს, თეონა კი მეზობელ ქალაქში, საგინოში საავადმყოფოში მუშაობს თერაპევტად. საავადმყოფო, Health Delivery Incorporation 1965 წელს დაარსდა. იქ ძირითადი სამედიცინო გამოკვლევები 5 დოლარი ღირს იმ ადამიანებისათვის ვისი შემოსავალიც წელიწადში 15000 დოლარზე ნაკლებია. ძირითადად ასეთი მექსიკელი ემიგრანტები ან შავკანიანები არიან.

თეონას და ზაზას დატვირთული სამუშაო გრაფიკის გამო ბავშვებს ამერიკელი ძიძა უვლის. თეონას დედა და ძმა, ზაზას მშობლები და ძმა შტატებში ცხოვრობენ, მიუხედავად ამისა ორივეს სურს სამშობლოში, საქართველოში დაბრუნება.

,,ყველაფერი სხვანაირია შენ ქვეყანაში. რა თქმა უნდა იქ ისე დაცული ვერ იქნები, როგორც აქ ხარ, მაგრამ რაც მექნება იმას შევეგუები. რაც არ უნდა ფუფუნებაში ცხოვრობდე, ჩემი სამშობლო მაინც ყველაფერს მირჩევნია'', - ამბობს თეონა.

ზაზასაც ძალიან ენატრება სამშობლო, ის ხომ საქართველოში თითქმის 11 წელია არ ყოფილა.

,,მინდოდა მესწავლა აქ ის, რის სწავლასაც საქართველოში ვერ მოვახერხებდი. ძალიან გამიმართლა პროფესიულად'' - ამბობს ის.

ახლა კი უნდა ცოდნა ქართველ კოლეგებს გაუზიაროს. რამდენიმე კვირის წინ თავისი მონაცემები საქართველოში გააგზავნა, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს და ,,აიეტს'' თანამშრომლობა შესთავაზა. პასუხი დადებითი მიიღო, თუმცა რა ფორმით შედგება თანამშრომლობა ჯერ არ იცის. სურვილი კი დიდი აქვს, რომ საქართველოში მედიცინის ახალი დარგი, ტკივილის მენეჯმენტი დააფუძნოს.

,,მნიშვნელობა არა აქვს ქართველია თუ ჩინელია, ტკივილი ყველა ეროვნების ადამიანს ერთნაირად აუბედურებს. მინდა რომ ქართველმა ექიმებმა იცოდნენ, როგორ დაეხმარონ ასეთ პაციენტებს'' - ამბობს ზაზა.

ჯერ ამერიკიდან ითანამშრომლებს, და მერე დრო აჩვენებს დაბრუნდეს თუ არა ოჯახთან ერთად საქართველოში.

**ანი ასათიანი**






# იწყება „გრინ-კარტის" ლატარიის გათამაშება!

2007 წლის 3 ოქტომბრიდან იწყება და 2 დეკემბერს დასრულდება განცხადებების შეტანა „გრინ-კარდ"-ის ლატარიაზე. ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დადგენილი ახალი წესების მიხედვით, განცხადებების შეტანა შესაძლებელია მხოლოდ ინტერნეტით და მხოლოდ მკაცრად ფორმატირებული სკანირებული სურათით. გაზეთ „მამულის" რედაქცია შეგივსებთ განცხადებებს კანონის მოთხოვნების სრული დაცვით, სკანირებულ სურათთან ერთად შეიტანს ინტერნეტით, და მოგცემთ ამობეჭდილ ოფიციალურ დამამტკიცებელ საბუთს ლატარიაზე თქვენი განცხადების შეტანის შესახებ. შემოსული თანხა მთლიანად მოხმარდება გაზეთ „მამულის" დაბეჭდვის ღირებულების დაფარვას.




სურათი და მონაცემები თქვენს საკონტაქტო ტელეფონის ნომერთან ერთად უნდა გამოაგზავნოთ რედაქციის მისამართზე:

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

## ნატო გუგულაძე გივი ლუტიძე



„ბევრი იარა, თუ ცოტა," 28 აგვისტოს, ღვთისმშობლის დღესასწაულზე, ბედმა ძალიან, ძალიან ლამაზად დააკაკუნა თქვენს კარზე. დალოცვილ იყოს ღვთისმშობლის მადლით შექმნილი ოჯახი, სულ მალე ავსებულიყოს პატარების ჟრიამულით და ზღვა ბედნიერებით! მარადიული ყოფილიყოს გრძნობა, რითაც დღეს შეერთდით!

**„მამულის" რედაქცია**

ვამზადებ ინგლისურში ნებისმიერი ასაკისა და დონის მსურველებს. სურვილის მიხედვით პრაქტიკის გაკვეთილები ჩატარდება ტელეფონის საშუალებით.
718-784-1337 ლელა

ცნობილი „საიოს" მაღაზია
Discount Store Plus




T-Mobile cingular WESTERN UNION GIROSOL La Nacional

ტურისტული სააგენტო
Georgia-USA Travel
ავიაბილეთები საქართველოდან და საქართველოში და მსოფლიოს ნებისმიერი ქვეყნის მიმართულებით
დღისით: 917-974-7166
საღამოს: 718-621-6846
ფაქსი: 718-621-6846
ელ.ფოსტა: mnc7@earthlink.net
1950 86th street, 2FL
Brooklyn, NY 11214



[illegible]
მიძღვნა
შვილს
გიორგი
ურატაძეს

## სადიდებელი
**(შვიდსტრიქონედი)**

ვინც ღვთისმშობლის სხივებთან დამარქა მარადის,
და ვინც გადამიშალა ველ-მინდვრები მარაბდის;
ვინც ქართული ფიალა ქართველურად დასცალა;
ვისაც მზე დიდგორულის დანახვა არ დასცალდა...
წმინდა გრაალისათვის თავდადებულ რაინდებს...
მტერი ჯოჯოხეთშიც კი რომ აროდეს დაინდეს,
გორგასლიან დროშისთვის გული ბრძოლით დაიდნეს,-
ბჭენი სამომავლონი
ქარტეხილთა გამძლონი-
სამეფოის მაღლობნი!!!
კარდუს ცამდი მქებელი
ფერით ფრთიან თოვლისა.
შევსვათ პირველყოვლისა
უფლის სადიდებელი!!!!
ვინც მამღერა სამღერი საუკუნის ჯაფითა
და არწივი ცეცხლთვალა ცას რომ გადააფრინა,
ჩემი რაში ჭიხვინა ცხრა მთას რომ გადაახტა
და ვინ იცის მის მხედარს რა დღეები აყარა.
მზე-ჭაბუკის კვართიან ციურ გვირგვინს ჩაისვეტს,
ამირანი ბორკილებს ამაღამვე აიწყვეტს
და ცვარ-ნამი შეათრობს სამარეში აიეტს!...
საქართველოს მგოსნები-
ფუძის ანგელოზები,
ცრემლთ-შობილი ლოცვები...
ჩანგის ჟღერა შუქურ-თმით
ვაზის ხვეულ ჩუქურთმით
ვსვათ სასმური ფესვების
ცეცხლის აზარფეშებით.
ვინც გელათის ხატება შემაყვარა მარადის,
ვინც მიამბო დიდება გარდასული მარაბდის,-
ალგეთის ლეკვს ძუ-მგელი სისხლით ლონეს აწოვდა!!!
ხარის რქებზე სანთლები მოუსვენრად იწოდა...
თეთრ გიორგის მახვილით ვინც სამშობლოს იცავდა
და სიკვდილის პირთამდე ვისაც მაინც ღვიძავდა
და გალეწილ კალოდან „ოროველას" იძახდა,-
ეს დღე იყოს ამიერ
სოფლის დღეთა წამიერ-
ერის მრავალჟამიერ!
უფლის ნებით მართული
მარჯი პატიოსნების,
გენი გვირგვინოსნების-
ხელმწიფება ქართული!!!

თუ გაზეთში დაბეჭდილ ტექსტებში შეცდომებს ნახავთ, იგულისხმეთ, რომ ის დაშვებულია განზრახ. ჩვენს გაზეთს სურს, რომ ყველას ასიამოვნოს. ხომ არიან ისეთი მკითხველებიც, რომლებიც მხოლოდ შეცდომებს ეძებენ და ტკბებიან, როცა ასეთს ნახულობენ?

რედაქციის შტატში არც კორექტორია, არც სტილისტი, არც მორიგე რედაქტორი... ამიტომ შეცდომების დაშვებისათვის საყვედურს ბრძანებით გამოვუცხადებთ კომპიუტერს.




### მილოცვები

დაბადების დღეს ვულოცავთ **ჟანუკა თავბერიძეს.** სიხარულს, ბედნიერებას და ულევ სიხარულს ვუსურვებთ.

**მეგობრები ნიუ-ჯერსიდან**

* * *

ჩვენს ძვირფას **გია ხუციბერიძეს.** ვულოცავთ დაბადების დღეს, ჯანმრთელობას, ბედნიერებას და ულევ სიხარულს ვუსურვებთ.

**მეგობრების სახელით:**
**მანუჩარ კაჭახიძე**

* * *

**თემურ ივანეიშვილს,**

ვულოცავთ დაბადების დღეს, შემოქმედებით წარმატებებს, ბედნიერებას, სამშობლოში მალე დაბრუნებას ვუსურვებთ.

**„მამულის" რედაქცია**

* * *

**გოგა გოგილაშვილს,**

ვულოცავთ პირველ ნაბიჯებს შემოქმედებით გზაზე, პირველი პოეტური კრებულის „გულის ძახილის" პრეზენტაციას ნიუ იორკში.

გვეამაყება ჩვენო გოგა, რომ შენში ასეთი დიდი დოზითაა სამშობლოს სიყვარული, მონატრების ტკივილი, და ქართველთათვის ესოდენ საამაყო ქალის სიყვარულის, თუ გაღმერთების გრძნობა თუ უნარი..

გვიგულეთ მარად შენს გვერდით!

**„მამულის" რედაქცია**

### განცხადება

**იყიდება**

თბილისში ოროთახნახევრიანი ბინა ზაზა ბენდელიანის ქუჩაზე (ტელევიზიის წინ), საერთო ფართი 58 მ$^{2}$, ფასი $57.000
ტელ: 201-421-7310 ნანა

### სამძიმარი

უახლოესი მეგობრები ნანა და ზეინაბ ნაკაშიძეები, ნინო ხარაბაძე, მანანა ასათიანი, ნინო დვალიშვილი, როლანდი ნუცუბიძე და ნატო კამლაძე თანაუგრძნობენ ინა ჭიქაბერიძეს მამის

**ბ-ნ ზურამ ჭიქაბერიძის**

გარდაცვალების გამო

ნინო და ზურაბ მჭედლიშვილები, ნაირა ლორია ღრმა პატივისცემით თანაუგრძნობენ ლუდა ახალაიას შვილის

**თენგო ბერუაშვილის**

გარდაცვალების გამო

გაზეთ „მამულის" რედაქცია თანაუგრძნობს **ზაირა ჩოხელს** უდიდეს მწუხარებაში დის გარდაცვალების გამო




ასავალ დასავალის პარტნიორობით

მამული

რედაქტორ-გამომცემელი
მანუჩარ კაჭახიძე

EDITOR & PUBLISHER
MANUCHAR KATCHAKHIDZE

MAMULI
P.O. Box 13121,
Jersey City, NJ 07303

www.mamuli.com
editor@mamuli.com
Tell: 347-724-0770

საქართველოში „მამულს“ წარმოადგენს
საგამომცემლო სახლი „ასავალ-დასავალი“
ლაშა ნადარეიშვილის პატრონაჟით

ჩვენი გაზეთის შემდეგი
ნომერი გამოვა 27 ოქტომბერს